ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

5 იანვარი **ოთხშაბათი** 2011

№003 (13300) ფასი 60 თეთრი

## ბიჭი, რომელმაც გააქრო კაცი

მაიკონის დამაქცევარ ბეილს გარეთ დიდი რიგი უდგას



9

## ევროპამ ღიმილი დაკარგა




რონალდინიომ გრემიო გადაწყვიტა

9

## სამედიცინოს მკურნალი დაუნიშნეს

ნუგზარ კანდელაკი საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

12




## შერმადინი და ბოისა ევროლიგის მარაქაში

ქართველთა ოლიმპიას მაქაბი და ბარსელონა გამოცდიან

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა

16

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

# სენტიმენტალური მომენტი
## რა გახდა ერთი კაცური მადლობა?!

საქართველოს ჩემპიონი "ოლიმპი" გუშინ რუსთავის სტადიონზე შეიკრიბა და მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. ვარჯიშს არ ესწრებოდა მთავარი მწვრთნელი **თორნიკე მაისურაძე**, რომელსაც საამისო ოჯახური მიზეზი ჰქონდა. გუნდი მისმა ასისტენტმა **არმაზ ჯელაძემ** ავარჯიშა.

გუნდი სრული შემადგენლობით გამოცხადდა, არ იყვნენ მხოლოდ მეკარე **გრიგოლ ჭანტურია** და თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი**, რომლებიც გუნდიდან პირველი ეტაპის შემდეგ გაუშვეს.

ჭანტურია 2010 წელს "ოლიმპიდან" მეორედ დაითხოვეს: ჯერ წინა სეზონის დასრულების შემდეგ, დეკემბერში კი მეორედ და, სავარაუდოდ, კარიერას დაასრულებს. 37 წლის მეკარემ რუსთავული კლუბისთვის ბევრი გააკეთა, მაგრამ ფეხბურთიდან მადლობის უთქმელად გაუშვეს, გაცილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს საქართველოში უშნო ტრადიციად იქცა – არადა, კაცს ეროვნულ ნაკრებში უთამაშია, ქართულ ფეხბურთს წლები შეალია, ბევრი ახალგაზრდა სწორედ მის გვერდით იზრდებოდა, "ოლიმპის" წარმატებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო და მაინც, შრომა არ დაუფასდა, თითქოს ფეხბურთში საერთოდ არაფერი გაუკეთებია. ამას მხოლოდ ჭანტურიას გამო არ ვამბობთ, ქართულ კლუბებს მსგავსი „ლირიკა" ზედმეტად მიაჩნიათ.

თავდამსხმელი გიორგი ბერიაშვილი კი ზაფხულამდე უგუნდობისთვისაა განწირული. გიორგიმ სეზონი თბილისის "ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო და გასული წლის ზაფხულში ვეტერინართა უკრაინულ შეკრებაზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ კლუბი დატოვა. რუსთაველებმა ამის შემდეგ დაიმატეს, მაგრამ მისი ოლიმპური კარიერა ხანმოკლე გამოდგა – "ოლიმპის" თავკაცებმა დეკემბერში კარისკენ მიუთითეს.

ასე რომ, მაისამდე გიორგის სხვა კლუბში თამაშის იმედი არ უნდა ჰქონდეს – ფიფა ფეხბურთელს სეზონში ორზე მეტ კლუბში გამოსვლას უკრძალავს.

არ ვარჯიშობს თავდამსხმელი **რევაზ ბარაბაძეც**, რომელიც გასული წლის მიწურულს კვლავ დაშავდა და მკურნალობს.

გუნდში სხვა ცვლილებები არ არის, რაც შეეხება **ლექსო კვახაძეს** და **დენის დობროვოლსკის**, გუშინ ორივემ კლუბთან ერთად ივარჯიშა, მაგრამ ერთ-ერთი მენეჯერი გვიმტკიცებს, რომ ოლიმპელ მცველსა და ნახევარმცველს ყაზახეთში გადასვლას სთავაზობს. რა გამოვა აქედან, მალე შევიტყობთ.

ჯერ "ოლიმპში" ხმაურიანი ტრანსფერები არ განხორციელებულა. გუშინდელ ვარჯიშზე მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა მიიწვიეს.

ცნობილია რუსთაველთა მოსამზადებელი გეგმები: "ოლიმპი" 20 იანვარს შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრება, სადაც 12 დღეს დაჰყოფს და ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს.

*"გადაწყვეტილია, რომ ორ შეხვედრას ავსტრიის ბუნდესლიგის კლუბებთან გავმართავთ, ერთს რუმინულ ან ბულგარულ გუნდთან, ბოლოს კი, სავარაუდოდ, თურქეთის დაბალი ლიგის რომელიმე კლუბს ვეთამაშებით"*, - გვითხრა "ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

# დინამო
## რაც ჯერ არ...

თბილისის "დინამო" დიდი ცვლილებების მოლოდინშია. თუმცა კლუბის ჯერაც არაოფიციალური ახალი მეპატრონე **რომან ფიფია** და ხელმძღვანელები, **მურთაზ შელია** და **მიხეილ ჯიშკარიანი** მნიშვნელოვან საკადრო ნაბიჯებზე არაფერს ამბობენ. ფიფია კლუბის გადაფორმებას შემდეგ გეგმავს დიდ საკადრო ცვლილებებს.

ჯერ კლუბში ოფიციალურად არც **რამაზ მუმლაძის** მისვლა დასტურდება. თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ **კახა კაჭარავამ** "დინამოს" დუბლებში მუშაობა შესთავაზა.

გუნდიდან ჯერ არავინ წასულა, მიმსვლელიც მხოლოდ ერთის - **შოთა კაშია.** სიახლეა სამედიცინო პერსონალში – ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილმა ექიმმა **მერაბ ვარძუკაშვილმა გია მაზავრიშვილი** შეცვალა. იგი ბოლო წლებში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ექიმი გახლდათ.

ჯერ არ გადაწყვეტილა, დარჩება თუ არა კლუბში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი ლორია.** დეკემბრიდან მოყოლებული გვესმის, რომ 24 წლის პერსპექტიულ მეკარეს უცხოეთში იწვევენ. დაგვისახელეს გერმანული და იტალიური კლუბები, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერი გარკვეულა. ისევე როგორც **ალეკო კოშკაძეზე**, რომლის ტრანსფერიც დეკემბერში ლამის განხორციელებულად გამოაცხადეს.

თუმცა სიახლეები აუცილებლად იქნება და თან მეტად სერიოზული – რაც მთავარია, არის დიდი და რეალური იმედები. რომან ფიფია კლუბში დიდი რეფორმების გატარებას გეგმავს. ფეხბურთელებიც ამის იმედად არ ჩქარობენ წასვლას. არადა, ბოლო წლებში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

## ...და რაც ჯერ

თბილისის „დინამო" ნაახალწლევს 3 იანვარს შეიკრიბა. გუნდის თავკაცმა **კახა კაჭარავამ** ახალ თანაშემწე **ზაურ სვანაძესთან** ერთად გუშინ ორჯერ ავარჯიშა გუნდი.

დინამოელთა შორის ახალი სახეებიც გამოჩნდნენ. გუნდს დაუბრუნდა ნახევარმცველი **შოთა კაშია.** მან ჩემპიონატის პირველი ეტაპი ცხინვალის „სპარტაკში" გაატარა, დაცვაშიც ითამაშა, ნახევარდაცვაშიც და 18 შეხვედრაში ერთი ბურთი გაიტანა.

კიდევ ერთი ახალი, 24 წლის მარცხენა მცველი **გიორგი ფოფხაძეა**, რომელიც ჭაბუკობაში სწორედ „დინამოში" თამაშობდა, შემდეგ „თბილისში" გადავიდა, მერე პირეოსის „ოლიმპიაკოსს" მიაშურა. 2006 წლიდან დანიურ „ვიბორგში" იყო და 92 შეხვედრა ჩაატარა. მას ახალგაზრდულ ნაკრებში 15 მატჩი, ხოლო ეროვნულში 7 შეხვედრა უთამაშია. ფოფხაძით ავსტრიული „შტურმი" და დანიური „ოლბორგი" არიან დაინტერესებული. „დინამოში" მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი რამდენიმე დღეში გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ჩემპიონატი

# გუბერნატორი არც ისე გოროზია: კი ბატონო, დაგეხმარებითო
## წურწუმიას საკითხი: ზაიაში ვარ მე...

ზუგდიდის „ბაიას" მძიმე დღეები უდგას, სეზონის პირველი ნახევარი რის ვაივაგლახით ჩაამთავრა. ნოემბერში გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის იყვნენ ჩვენში ცნობილი მოთამაშეები, **გია მეგრელაძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი და დავით ქიქვეიშვილი.** გუნდიდან სულ 11 ფეხბურთელი წავიდა. თუმცა „ბაიადან" „მიგრაცია" ამით არ დასრულებულა. დეკემბრის ბოლოს გავრცელდა ცნობა, რომ მეგრელაძესთან ერთად ქუთაისის „ტორპედომ" ახალგაზრდები, **ლუკა გუგუჩია და ლევან წურწუმიაც** გადაიბირა... თუმცა, როგორც ჩანს, ზუგდიდელთა გუნდს მალე ეშველება.

„ტორპედომ" მზადება 3 იანვარს განაახლა, თუმცა მეგრელაძისა და გუგუჩიასგან განსხვავებით, ვარჯიშზე წურწუმია არ გამოჩენილა. საქმე ის არის, რომ გუგუჩიას და წურწუმიას „ბაიასთან" სეზონის ბოლომდე აკავშირებთ კონტრაქტი და ქუთაისელთა გუნდში მათ განათხოვრებაზე იყო ლაპარაკი. როგორც გაირკვა, „ბაია" წურწუმიას ვერ შეელია და დაიტოვა.

*„ტორპედოში" ჩვენს განათხოვრებაზე კი იყო ლაპარაკი, მაგრამ მე ისევ ზუგდიდში ვარ. კონტრაქტით „ბაიას" ვეკუთვნი და დარჩენა მთხოვეს. ქუთაისელთა კლუბთან კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია. გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემი საკითხი დღეს-ხვალ უნდა გადაწყდეს. მანამდე მეტს ვერაფერს გეტყვით"*, - ზუგდიდში დაკავშირებისას გვითხრა ლევან წურწუმიამ.

ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და „ბაიას" მთავარ მწვრთნელ **ელგუჯა ქომეთიანს** შევეხმიანეთ. *„წურწუმია კონტრაქტით ჩვენს კლუბს ეკუთვნის და სეზონის ბოლომდე „ბაიაში" იქნება, მერე კი ვნახოთ. წასულთაგან ორ მოთამაშეს დავიბრუნებთ, მეკარე გოგიტა სომხიშვილს და მცველ გიორგი კვესიეშვილს. შესაძლოა, სხვა ფეხბურთელებიც დავიბრუნოთ ან დავიმატოთ. ამაზე ვმუშაობთ და ვნახოთ, რა გამოვა. თუმცა, ისეც შეიძლება მოხდეს, კიდევ ოთხი ფეხბურთელის დათმობამაც მოგვიწიოს. ლუკა გუგუჩია „ტორპედოში" ითამაშებს, მცველი ლევან აკობია სომხეთში, თავის ყოფილ გუნდ „ულისში" დაბრუნდა. როგორ გავიგე, მეკარე თორნიკე ზარქუას და მცველ ნიკა კვეკვესკირის დამატება თბილისის „დინამოს" უნდა".*

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „ბაიამ" ერთი მწვრთნელიც დათმო - **ზაურ სვანაძე**, რომელიც ქომეთიანის თანაშემწე იყო, თბილისის „დინამოში" მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** დაეხმარება.

... და ყველაზე მთავარი. როგორც გავიგეთ, „ბაია" უსახსროდ აღარ იქნება - გუნდს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ზაზა გოროზია** დაჰპირდა დახმარებას. „ბაიას" თავკაცს ამაზეც დავეკითხეთ.

*„ახალი წელი კარგი ამბით დაიწყო და ჩვენც დაიმედებულები ვართ. ბატონ ზაზა გოროზიას შევხვდით, დახმარებას დაგვპირდა. დაახლოებით ვიცით, რა ბიუჯეტი ექნება კლუბს სეზონის ბოლომდე. თანხას ვერ დავაკონკრეტებ, მართალია, სეზონის პირველი ნახევრისთვის დაპირებულზე ნაკლებია, მაგრამ ბევრითაც არ ჩამოუვარდება. ამ თანხაში უნდა ჩავეტიოთ და შესაძლებლობის ფარგლებში კარგი გუნდი შევკრიბოთ. იმასაც დაგვპირდნენ, რომ კლუბის დავალიანებას ეტაპობრივად გაისტუმრებენ.*

*ჩემპიონატის მეორე ნახევრისთვის მზადებას აქ, ზუგდიდში 8 იანვარს დავიწყებთ. საკონტროლო მატჩებიც გვინდა ჩავატაროთ და ახლა სპარინგპარტნიორებთან შეთანხმებას ვცდილობთ"*, - გვითხრა ელგუჯა ქომეთიანმა.

18 ტურის შემდეგ ზუგდიდელებს, „ტორპედოსა" და „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად, 22 ქულა აქვთ და ამ გუნდებთან ერთად მე-4-მე-6 ადგილებს იყოფენ. „ბაია" სეზონს 13 თებერვალს ბოლნისის „სიონთან" (რომელსაც ქულით უსწრებს) საშინაო მატჩით განაახლებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# კაშია ვიტესს ზემოთ უბიძგებს



გურამ კაშია

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ვიტესის" მცველმა **გურამ კაშიამ** ნიდერლანდურ soccernews.nl-თან ჩემპიონატის პირველი ნახევარი შეაფასა და მომავალზეც ილაპარაკა.

*„ჰოლანდიურ ერედივიზიონში სადებიუტო სეზონი მაქვს. ჩემპიონატის თაობაზე ჩემი პირველი შთაბეჭდილება დადებითია. ჰოლანდიაში საქართველოს ჩემპიონატიდან აღმოვჩნდი, რაც ჩემთვის წინგადადგმული ნაბიჯია,"* - თქვა კაშიამ. სათამაშო ამპლუის შესახებ კითხვას კი ასე უპასუხა:

*„თბილისის „დინამოში" ცენტრალური მცველი ვიყავი. „ვიტესში" მარჯვენა მცველად მიწევს თამაში, მაგრამ ეს პოზიცია ჩემთვის უცხო არ არის. მარჯვენა მცველად ადრეც მითამაშია და სადაც გუნდს დავჭირდები, მზად ვარ, იქ ვითამაშო".*

ქართველმა მცველმა გუნდის მიზნებზე შემდეგი თქვა:

*„ვიტესში" ჩემი გადასვლისას გუნდი ცხრილის ფსკერზე იყო. ძნელად, მაგრამ მაინც შევძელით ზემოთ ანაცვლება. თუმცა ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და იმედი მაქვს, უკეთეს პოზიციაზე ვიქნებით. სეზონის განახლებამდე კიდევ გავძლიერდებით და ვფიქრობ, შეგვიძლია, ათეულში მოსახვედრად რეალურად ვიბრძოლოთ".*

18-გუნდა ერედივიზიონში „ვიტესი" 19 მატჩში მოპოვებული 18 ქულით მე-15 ადგილზეა, მეათე ადგილზე მყოფ „უტრეხტს" 8 ქულით ჩამორჩება, სეზონს კი 22 იანვარს აუტსაიდერ „ვილემ II"-თან გასვლითი მატჩით განაახლებს.

**დავით ცაბაძე**

# ლევანთა ამბები
## კობიაშვილმა კარგად უნდა იმკურნალოს, ყენიამ კი კარგად უნდა იხუმროს

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას შეუდგა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა", თუმცა წლის პირველ ვარჯიშზე ჩვენებური არ გამოჩენილა - კობიაშვილს გრიპი აქვს და, როგორც ექიმები აცხადებენ, ვარჯიშს ამ დღეებში განაახლებს.

ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი წევრი **ლევან ყენია** კი უკვე მწყობრშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. იგი მოსამზადებელ შეკრებაზეა თურქეთში. გელზენკირხენის „შალკე" ბელექში სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს - 7 იანვარს „ტრაბზონსფორთან", 9-ში „ქარაბუქსფორთან", 12-ში კი „ესქიშეჰირსფორთან". „ხუმარების" თავკაცი **ფელიქს მაგათი** ყენიაზე დიდ იმედს ამყარებს, მას მეორე წრისთვის ამზადებს და შესაძლოა, სამივე საკონტროლო შეხვედრაში ათამაშოს. „შალკე" სეზონს 15 იანვარს „ჰამბურგთან" საშინაო შეხვედრით განაახლებს.

**დავით ცაბაძე**

ჩვენი კაცი თურქეთში

# შოთას ახალი გაერქვა
## ამრაბათი: რაბათი და კაისერი



შოთა არველაძე

ზამთრის შესვენების შემდეგ ანთალიაში მზადება დაიწყო „კაისერისფორმა", რომელსაც **შოთა არველაძე** წვრთნის და რომელშიც ჩვენი ნაკრების მცველი **ალექსანდე ამისულაშვილი** თამაშობს. ფეხბურთელმა ახლახან გვითხრა, მწვრთნელი თავდასხმის გაძლიერებას აპირებდა და აკი ასეც მოხდა. თურქული ვებგვერდების ცნობით, „კაისერისფორმა" ჰოლანდიური ერედივიზიონის ლიდერ „პსვ ეინდჰოვენიდან" 23 წლის მაროკოელი თავდამსხმელი **ნორდინ ამრაბათი** დაიმატა. ამრაბათი 2008 წლიდანაა ჰოლანდიურ კლუბში და 56 მატჩში 9 გოლი გაიტანა. მას ჰოლანდიის 21-წლამდელთა ნაკრების სამ შეხვედრაში ერთი გოლიც გაუტანია, მაგრამ მერე მაროკოს მოქალაქეობა დაიბრუნა და რაბათში ეროვნული ნაკრების კანდიდატად მიიჩნევენ. მისი სატრანსფერო ფასი 2 მილიონ 750 ათასი ევროა.

ანთალიურ შეკრებაზე შოთას გუნდი ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს - 16 იანვარს ბელგიურ „გენკს" ეთამაშება, მანამდე კი, 12-ში ჩვენებურთა გუნდთან, **გურამ კაშიასა** და **გიორგი ჭანტურიას** „ვიტესთან" მოსინჯავს ძალებს. სწორედ „კაისერისფორთან" გამოცდის „ვიტესის" თავკაცი **ალბერტ ფერერი** კიდევ სამ ქართველს - **ვაკო ყაზაიშვილს, დავით ხოჭოლავას** და **ივა კანდელაკს.**

**დავით ცაბაძე**


მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

# მოთმინება, ბატონებო, მოთმინება

## უცებ და მალე ხაჭაპური ცხვება, კარგ გუნდს სახლივით შენება უნდა

### წურწუმიას საკითხი: ეს ბიჭი ტორპედოს იმედია

**„ლელომ“ უკვე გამცნოთ, რომ ქუთაისის „ტორპედომ“ ვარჯიში განაახლა და ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის სამზადისის გეგმაც შეადგინა. გუშინ ქუთათურებს სალორიის საწვრთნელ ბაზაზე მივაკითხეთ და მთავარ მწვრთნელ გია გიგატაძეს და რამდენიმე ფეხბურთელს გავესაუბრეთ.**

**გია გიგატაძე:** „7 იანვრამდე ერთჯერადი ვარჯიშები გვაქვს. შობის დღესასწაულზე დავისვენებთ, შემდეგ კი ორჯერად ვარჯიშებზე გადავალთ და 21 იანვრამდე ქუთაისში მოვემზადებით. კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, აქცენტი ქართველ ფეხბურთელებზე უნდა გაკეთდეს, რადგანაც უცხოეთიდან იმ თანხით, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, მაღალი დონის ფეხბურთელი არ მოდის. აქაური რესურსი ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ. წლების შემდეგ კი „ტორპედო“ ქუთაისელ ფეხბურთელებზე გააკეთებს აქცენტს. ქუთაისში ყოველთვის იზრდებოდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები და ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. ბოლო წლებში დიდი ჩავარდნა იყო, ნიჭიერი ბავშვები სხვა გუნდებში მიდიოდნენ, ახლა ყველა გამორჩეულ ქუთაისელ ფეხბურთელს კლუბებთან კონტრაქტი აკავშირებს და ამიტომაც არ გვყავს ბევრი ადგილობრივი. თუმცა, მალე ეს პრობლემა მოგვარდება. უახლოეს თვეებში სალორიის საწვრთნელ ბაზაზე „ტორპედოს“ აკადემია ჩამოყალიბდება და ფეხბურთელები აქვე გაიზრდებიან. „ტორპედო“ სამგზის ჩემპიონი რომ გახდა, გუნდი ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

**- ერთ-ერთი ძველი ტორპედოელი გია მეგრელაძე უკვე დაუბრუნდა მშობლიურ გუნდს. გულშემატკივრებს ყველაზე მეტად სწორედ მისი დაბრუნება გაუხარდათ...**

- მეგრელაძე გოლის ალღოთი გამოირჩევა და გულშემატკივრების მსგავსად მისი ჩვენც ძალიან გვეიმედება. იგი ჩვენი გუნდის შემტევ პოტენციალს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

**- სატრანსფერო პერიოდს აქტიურად იყენებთ, მეგრელაძის გარდა სხვა ფეხბურთელებიც დაიმატეთ. მათ შესახებ რას გვეტყვით?**



- „სამტრედიადან“ გადმოვიყვანეთ ლაშა ქებაძე და ლევან ბაკურაძე, კარგი ფეხბურთელები არიან და მათი გუნდში ჩარიცხვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ჩვენთან ვარჯიშობს კიდევ ერთი სამტრედიელი დავით კირკიტაძე. ახალგაზრდაა, თამაში უნდა, ძალიან მონდომებულია და მის ადგილს მომავლის „ტორპედოში“ ვხედავ. „ბაიადან“ დავიმატეთ გრიგოლ დოლიძე, ლევან წურწუმია და ნიკოლოზ გუგუჩია, „სპარტაკიდან“ - ნიკოლოზ მაისურაძე, „სიონიდან“ - რევაზ გოცირიძე.

**- გუნდთან ერთადაა გიგა ანდრიაძე, რომელიც, როგორც ითქვა, „ლაციოს“ ასაკობრივ გუნდში ვარჯიშობდა, მის შესახებ რას იტყვით?**

- „ლაციოში“? პირველად მესმის... ანდრიაძე სინჯებზეა და ახლა რაიმეს თქმა გამიჭირდება, ჯერ უნდა დავაკვირდეთ. თუ თავს მოგვაწონებს, გარჯა არ დაეკარგება.

**- კიდევ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას?**

- თუ გამოჩნდება საინტერესო ფეხბურთელი, რომელსაც „ტორპედოში“ თამაშის სურვილი ექნება, შანსს მივცემთ.

**- პირველ წრეში „ტორპედოში“ ყველაზე პრობლემური თავდასხმის ხაზი იყო, თუმცა ახლა ერთბაშად ხუთი ნომინალური ფორვარდი გყავთ..**

- შეტევაში მართლაც მოვიკოჭლებდით. საგოლე მომენტების შექმნაც გვიჭირდა და გამოყენებაც. თუმცა ეს მხოლოდ თავდამსხმელების ბრალი არ იყო. თუ ფორვარდს მომენტი ვერ შეუქმენი, გოლს ვერ გაიტანს. ახალთაგან თითქმის ყველა შემტევი სტილის ფეხბურთელია. დიდი იმედი გვაქვს წურწუმიასი, რომელსაც ჯერ ბევრი არ იცნობს, მაგრამ ახალგაზრდაა, ნიჭიერი და მჯერა, სხვა ახალწვეულებთან ერთად გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. თავდასხმაში გამოცდილ მეგრელაძესთან, გოცირიძესთან და კვარაცხელიასთან ერთად ახალგაზრდა კემუხტაშვილი და საბანაძე გვყავს, რომლებმაც სამომავლოდ კონკურენცია უნდა გაუწიონ გამოცდილებს.

**- „ტორპედოდან“ ვინ წავიდა?**

- რევაზ კვერნაძე, ლევან კირკიტაძე, ზაურ ხაჭიპერაძე, ნიკა კვასხვაძე, ბექა ბიბილაშვილი და ირაკლი ცნობილაძე. ძნელია ფეხბურთელის გაშვება, მაგრამ ფეხბურთი მუდმივ ცვლილებებს მოითხოვს და ამას ვერც ჩვენ ავცდებით. ამ ბიჭების უმრავლესობამ პირველ ლიგაში დიდი საქმე გააკეთა და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ცვლილებები აუცილებელი იყო.



გია გიგატაძემ და ტორპედომ მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყეს

**- ძნელი გასახსენებელია, „ტორპედო“ ბოლოს როდის იყო უცხოურ შეკრებაზე. ახლა კი მოსამზადებელ პერიოდს ანთალიაში გაივლით...**

- ეს შეკრება გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელები შეთამაშდებიან და საკუთარ შესაძლებლობებს უცხოურ გუნდებთან თამაშისას გამოცდიან. „ვისოლის“ მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. უცხოური შეკრება კი არა, წლების წინ გუნდი საერთოდ არ არსებობდა, ახლა კი გვაქვს იმის საშუალება, რომ სეზონისთვის მაქსიმალურად მოვემზადოთ და ჩემპიონატსა და თასს სრულ მზაყოფნაში შევხვდეთ. „ვისოლის“ წყალობით ქუთაისური ფეხბურთისთვის საშვილიშვილო საქმეები კეთდება, მარტო „ტორპედოს“ აკადემიის ჩამოყალიბება რად ღირს, რომელიც მთელი ქუთაისის ოცნება იყო...

**- პირველი წრე „ტორპედოსთვის“ არცთუ სახარბიელო იყო. რა არის ამჟამად თქვენი მიზანი?**

- კარგი გუნდი უცებ არ კეთდება. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობის მიზანი ერთწლიანი გუნდის გაკეთება არ არის. ზოგი დღესვე ითხოვს ჩემპიონობას, მაგრამ მოთმინებაა საჭირო. რაც მთავარია, გუნდი სწორი მიმართულებით მიდის და სამომავლოდ ჩემპიონობაც არ იქნება გადაუჭრელი ამოცანა.

**- თასის ნახევარფინალში ხართ და ალბათ, აქცენტი სწორედ თასზე გაკეთდება...**

- თასზეც და ჩემპიონატშიც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ნახევარფინალში „ზესტაფონის“ სახით ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, თუმცა, თუ თასის მოპოვება გვინდა, ნებისმიერი ბარიერი უნდა გადავლახოთ. ამ მატჩამდე დიდი დროა და ვეცდებით, „ზესტაფონთან“ თამაშისთვის საფუძვლიანად მოვემზადოთ. საბედნიეროდ, გუნდში კონკურენცია გაიზარდა, ერთ პოზიციაზე 2-3 კაცი მოდის, რაც საშუალებას მოგვცემს, თასზეც და ჩემპიონატშიც ძალების დაუზოგავად ვითამაშოთ.

■ ■ ■

**ლევან ბაკურაძე:** „კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ტორპედოში“ ვითამაშებ. გუნდთან ერთად თურქულ შეკრებაზეც მივდივარ. „სამტრედიასთან“ კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ „ტორპედოს“ ვარიანტი რომ გამოჩნდა, ჩემმა ყოფილმა კლუბმა არ დამაბრკოლა. ქუთაისური გუნდი ძლიერდება, კონკურენცია იზრდება და ძალიან ძნელი იქნება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება. თუმცა ეს არ მაშინებს, ვეცდები გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი გავხდე.“

**გრიგოლ დოლიძე:** „ჩემი საკითხი ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა, ამიტომ ახლა კომენტარისგან თავს შევიკავებ.“

**ვახტანგ კვარაცხელია:** „ტორპედოში“ რომ ჩავირიცხე, მეორე შეხვედრაშივე დავშავდი და რამდენიმე მატჩი გამოვტოვე. შემდეგ თამაში კი განვაახლე, მაგრამ ტკივილები მაწუხებდა და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინე. საბედნიეროდ, ტრავმა უკვე მოვიშუშე და მეორე ეტაპს იმედიანად ველი. ახალი ჩამოყალიბებული გუნდია და პირველ ეტაპზე ისეთი ფეხბურთი ვერ ვაჩვენეთ, ჩვენგან რომ ელოდნენ, მაგრამ დავამტკიცებთ, რომ უკეთ თამაში შეგვიძლია. თან გუნდი უფრო გაძლიერდა. კონკურენციის ზრდასთან ერთად უფრო მეტი მონდომება და ბრძოლა იქნება საჭირო ძირითადში მოსახვედრად. თასის ნახევარფინალში ვართ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ „ზესტაფონის“ ბარიერი გადავლახოთ და თასი მოვიპოვოთ. ჩემპიონატზეც არა გვაქვს ხელი ჩაქნეული, თუ კარგად ვითამაშებთ, სამეულიც არ იქნება მიუღწეველი.“

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
ავტორის ფოტოები

## სეთურიძეც ტორპედოში?

“ლელოს” ინფორმაცია დადასტურდა - **გიორგი სეთურიძე** აზერბაიჯანიდან წამოვიდა. თუმცა აზერბაიჯანული ინტერნეტსააგენტო “ექსტრატაიმი” იუწყება, რომ **სეთურიძე** “განჯას” ხელმძღვანელობამ პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ თავად დაითხოვა, ისევე, როგორც კიდევ ერთი ქართველი - **ლევან მდივნიშვილი.**

თავად ფეხბურთელმა კი, რომელსაც ადრე საქართველოს ნაკრებშიც იწვევდნენ, მცირე ხნის წინ გვითხრა, რომ კლუბის ხელმძღვანელობისგან კონტრაქტის გაუქმება მოითხოვა. მიზეზი მისი ოჯახური მდგომარეობა იყო: გიორგის გერმანელი მეუღლე ჰყავს, რომელსაც აზერბაიჯანში ჩასვლა უჭირდა, თავად ფეხბურთელისთვისაც მოუხერხებელია განჯაში თამაში და ყოველთვე გერმანიაში ერთი-ორი დღით გამგზავრება. ეს სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა და “განჯადან” წასვლა გადაწყვიტა.

ჩვენი ინფორმაციით, სეთურიძემ მოლაპარაკება ქუთაისის “ტორპედოსთან” დაიწყო, თუმცა გერმანიაში დაბრუნების იმედი დღემდე არ დაუკარგავს.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგბიონი

**პირველ ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბი „გორი“ უმაღლეს ლიგაში აღზევების ერთ-ერთი კანდიდატია. გორელები პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე არიან. კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის პირველი ეტაპი მთლიანად ადგილობრივი მწვრთნელ-ფეხბურთელებით ჩაატარა და მეორე წრეშიც, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ისევ გორელებით შეეცდება დასახული მიზნის მიღწევას. თუმცა მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები, რომელთა შესახებ გუნდის უფროს გოჩა ლომიძესთან საუბრისას შევიტყვეთ.**



### გორული განმარტებითი ლექსიკონიდან

# ფეხბურთი იგივეა, რაც დილა

## აბა, ცოტა ხანში გვნახეთ, ვინა ვართ...

**- პირველი ეტაპის შედეგს ელოდით?**

- შედეგი მოსალოდნელი იყო, ვინაიდან გუნდის ბირთვს უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ფეხბურთელები შეადგენენ. თანაც ყველა მოთამაშე გორელია და, ჩვენი აზრით, გუნდის ბირთვი მომავალშიც ადგილობრივებისგან უნდა შედგებოდეს. მოგეხსენებათ, მშობლიური ქალაქისთვის სპორტსმენები უფრო ჟინიანად ირჯებიან და თან ამ გზით მცირებიუჯეტიანი კლუბი ხარჯებსაც უფრო ადვილად გასწვდება.

**- პირველ წრეში მხოლოდ ორი მატჩი წააგეთ და ისიც უშუალო კონკურენტებთან...**

- „გაგრასთან“ და „ჩიხურასთან“ კი დავთმეთ პრინციპული დაპირისპირებები, თუმცა, სამაგიეროდ, ცხრილის ქვედა ნახევრის გუნდებთან არ დაგვიკარგავს გაუთვალისწინებელი ქულები. ისე კი, ყველაზე დასანანი ბათუმსა და ტყიბულში ნათამაშები ფრე იყო, ვინაიდან ორივე მატჩში ვიგებდით და ორივეჯერ მსაჯის მიერ დამატებულ უკანასკნელ წუთებზე გავუშვით გოლები.

**- მშობლიური გუნდის გამოცოცხლებამ მაყურებელი დააბრუნა სტადიონზე.**

- ქომაგმა აშკარად იმატა, მაგრამ თქვენ მეორე წრეში უნდა ნახოთ, აქ როგორი საფეხბურთო ატმოსფერო იქნება. გუბერნატორის, ბატონ ზურაბ არსოშვილის ინიციატივით შეიქმნა ფანკლუბი, სადაც უკვე ხუთასი გულშემატკივარია გაწევრიანებული, ვამზადებთ დროშებს, შარფებს, ვიმპელებს... ეს ის ხალხი არ გეგონოთ, ვინმეს დავალებით რომ მიდიან ხოლმე სტადიონზე. ისინი ნამდვილი გულშემატკივრები არიან, უბრალოდ, ყველაფერს ორგანიზებული სახე მიეცა. სხვათა შორის, ყველას ვერა, მაგრამ მათ არცთუ მცირე ნაწილს სტუმრად ჩატარებულ მატჩებზეც აუცილებლად წავიყვანთ საქომაგოდ.

**- როდესაც გუბერნატორი ასეთ საკითხებზე ზრუნავს, ესე იგი, აშკარად კეთილგანწყობილია გუნდის მიმართ...**

- იგი, ფაქტობრივად, კლუბის ყველა პრობლემური საკითხით ინტერესდება. დიდი ხანია, აქაურ ფეხბურთში ვარ და ჯერ არ მენახა, რომ გუბერნატორი გასვლით მატჩზე წამოსულიყო საქომაგოდ. ბატონი ზურაბი ამასწინათ ხარაგაულშიც გამოგვყვა და ტრიბუნიდან ადევნა თვალი შეხვედრას.

**- კლუბის ბიუჯეტზეც თუ აისახა მისი გვერდში დგომა?**

- დიახ, ბიუჯეტი გაგვეზარდა, ავტობუსიც გადმოგვცეს და შეკრებაც დაგვიფინანსეს.

**- როდის იკრიბებით?**

- 5 იანვრიდან ათი დღის განმავლობაში გავივლით საწვრთნელ შეკრებას გორში, „ქართლის“ სტადიონზე, ხოლო შემდეგ, სავარაუდოდ, ზღვისპირეთში განვაგრძობთ მზადებას.

**- მეორე წრეშიც იგივე მწვრთნელები იმუშავებენ „გორში“?**

- მთავარი მწვრთნელი რეზო ხაჭაპურიძე და მისი თანაშემწე გიორგი ბალაშვილი რიგიანად მუშაობენ. მიგვაჩნია, რომ ამ კონტინგენტით და პირობებით მათ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს, შესაბამისად, მეორე წრეშიც განაგრძობენ საქმიანობას.

**- შეამდგენლობაში რა ცვლილებებია?**

- დავიმატეთ გორელები, ახალკაცი „ოლიმპიდან“, იჩქითი „დინამოდან“ და ყველაშვილი „სქურიდან“, გარდა ამისა ფოთიდან მოვიწვიეთ ჯოჯუა და ჭითანავა. უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებში მიწვევის მიუხედავად, გუნდი არ დაუტოვებიათ ჩვენს ლიდერებს, მაგალითად, რომან გოგინაშვილს, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალაა. ვესაუბრეთ ფეხბურთელებს და ავუხსენით, რომ ისინი დღეს მშობლიურ ქალაქს სჭირდებიან. ჩვენი მიზანი ხომ უმაღლეს ლიგაში გადასვლაა.

**- საამისოდ პირველი ლიგის კიდევ რამდენიმე გუნდი იბრძვის, როგორ აფასებთ „გორის“ უმაღლეს ლიგაში აღზევების შანსს?**

- კონკურენცია დიდია. სატურნირო ცხრილს თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ პირველ ექვსეულში საკმაო სიმჭიდროვეა, „მარტვილი“, „გაგრა“, „გორი“, „ბათუმი“, „ჩიხურა“, „გურია“ საგრძნობლად დაშორდნენ დანარჩენ გუნდებს და ყველა მათგანის მიზანი - უმაღლეს ლიგაში გადასვლაა. მიუხედავად ამისა, გვჯერა, რომ „გორმა“ უნდა შეძლოს უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება

**- საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში რამდენად აქვს ხელმძღვანელობას გათავისებული ის უსიამოვნებები, რაც ამ სეზონში უმაღლესში აღზევებულ გუნდებს შეემთხვათ?**

- რა თქმა უნდა, ამაზეც ვიფიქრეთ და ვიმსჯელეთ. ადგილობრივი ხელისუფლებისგან გარანტია გვაქვს, რომ ფინანსური პრობლემები არ შეგვექმნება. გვერწმუნეთ, სწორი მენეჯმენტით ბიუჯეტის მიზანმიმართული და ყაირათიანი ხარჯვაც შეგვიძლია.

**- სტადიონზე სიახლეც ვნახე, ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამებით „დილა“ დაგიწერიათ, მაგრამ გუნდს რომ ისევ „გორი“ ჰქვია?**

- გორში ფეხბურთი „დილასთანაა“ გაიგივებული. გორის გუნდისთვის ტრადიციული სახელის აღდგენას ვცდილობთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ მალე ჩვენს გუნდს ისევ „დილა“ ერქმევა. სხვათა შორის, რადგან ტრიბუნების თაობაზე ჩამოაგდეთ სიტყვა, აქვე დავძენ, რომ მალე ათას ინდივიდუალურ სავარძელსაც დავამატებთ ტრიბუნებზე. ამ ადგილებზე რეკონსტრუქციამდე კი იყო ძელსკამები, თუმცა ინდივიდუალური სავარძლები მაშინ რატომლაც არ დააყენეს. ამას ახლა ჩვენ გავაკეთებთ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უწყვეტი კონვეიერი

საქართველოში „დინამოს“ გარდა ერთადერთი გუნდი „ვიტ ჯორჯიაა“, სამივე ტიტული (ჩემპიონობა, თასი, სუპერთასი) რომ აქვს მოპოვებული. არადა, კლუბის ისტორია 1998 წლის იანვრიდან იწყება და ამ არცთუ დიდი ხნის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია“ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და სტაბილურ კლუბად ჩამოყალიბდა. ქართულ საფეხბურთო სივრცეში ახალი გუნდის ჯერ გამოჩენა და მერე არნახული პროგრესი კი, რაღა თქმა უნდა, დაარსების დღიდან კლუბის უცვლელი პრეზიდენტის გურამ რუხაძის დამსახურებაა. სხვათა შორის, რუხაძეს მართლაც უნიკალური რეკორდი ეკუთვნის — საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთსა და იმავე კლუბში პრეზიდენტობის 13-წლიანი „სტაჟი“ მხოლოდ ამ პიროვნებას აქვს.

... ბოლო წლებში „ვიტ ჯორჯია“ ყოველი სეზონის დაწყებას ერთ-ერთი ფავორიტის რანგში ხვდებოდა; ტიტულებიც, იცოცხლეთ, ემატებოდა და ემატებოდა: 2004-2010 წლებში „ვიტ ჯორჯია“ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, თასიც მოიპოვა, სუპერთასიც და ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე ხომ საერთოდ ალარაფერს ვამბობთ. თუმცა, ამ სეზონის დაწყების წინ „ვეტერინართა“ შანსებს ყველა სკეპტიკურად აფასებდა; ამის მიზეზი გუნდის ნაწილობრივი კი არა, ფაქტობრივად, სრული გადახალისება იყო. საერთოდ, „ვიტ ჯორჯიას“ არსებობის განმავლობაში ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ წარმატებული სეზონის მერე კლუბის ხელმძღვანელობა თავიანთ წამყვან ფეხბურთელებს სარფიანად ასხვისებდნენ. ყველაზე „უცნაური“ კი ის იყო, რომ ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა გუნდის შედეგებზე უარყოფითად არ აისახებოდა, პირიქით - გუნდიდან წასული ლიდერების ადგილს ახალი, თანაც მანამდე ბევრისთვის უცნობი ახალგაზრდა ფეხბურთელები იკავებდნენ. ერთი-ორი სეზონის მერე უკვე ისინი მოექცეოდნენ სხვა გუნდების ინტერესთა სფეროში და ახლა უკვე იმათი ტრანსფერი ხდებოდა ქართული საფეხბურთო საზოგადოების „სალაპარაკო თემა“; ოღონდ, „კონვეიერი“ კვლავ უწყვეტად მუშაობდა - „ვიტ ჯორჯიას“ ფარმკლუბში უკვე მზად იყვნენ ასევე ყველასათვის უცნობი ჭაბუკები, გუნდის გუშინდელ ლიდერებს უმტკივნეულოდ რომ ჩაანაცვლებდნენ და ასე შემდეგ. მოკლედ, ასე გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში და „ვიტ ჯორჯიადან“ ერთი-ორი გამორჩეული ფეხბურთელის წასვლას თუ შეგუებული ვიყავით, აი, ამ ზაფხულს აშკარად განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა: ძირითადი შემადგენლობის შვიდი (!) ფეხბურთელი საქართველოს სხვადასხვა გუნდში გადავიდა. წინა სეზონი ახალი დასრულებული იყო, როცა გაირკვა, რომ გუნდის ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედნი (გრიგოლ ბედიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ლაშა ჯაფარიძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი დათუნაიშვილი) კარიერას „ვიტ ჯორჯიაში“ აღარ გააგრძელებდნენ; უკრაინული შეკრების (კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია) მერე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ „ვიტ ჯორჯიადან“ წასვლა მოუწევდა წინა სეზონში გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს გიორგი ბერიაშვილს, ვინც თავის მეგობრებს შეუერთდა და რუსთავის „ოლიმპს“ მიაშურა; ეგ კი არა, სამი ტურის შემდეგ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ვახტანგ კვარაცხელია ქართული საზომებით არცთუ მცირე თანხად ქუთაისის „ტორპედოში“ გადავიდა. ჰოდა, ასეთი სოლიდური დანაკლისიდან გამომდინარე, ბუნებრივიც იყო ის ფაქტი, რომ „ვიტ ჯორჯიას“ შანსებზე ყველას მოკრძალებულად ესაუბრა. მით უფრო, გუნდში მხოლოდ ორი ახალწვეული მოვიდა, თანაც, ტრადიციულად... ორივე ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი...



ჯაბა ლიპარტია

## შეცვლილი მიზნები

ზემოთ ფეხბურთელების ხშირ მონაცვლეობაზე ვსაუბრობდით და არაფერი გვითქვამს ამ კლუბის კიდევ ერთ „ტრადიციაზეც“: „ვიტ ჯორჯიას“ არსებობის ისტორიაში მხოლოდ ერთადერთმა მწვრთნელმა **რამაზ მუმლაძემ** შეძლო და ოთხი სეზონი „გადაბმულად“ იმუშავა. ცვლილება მოხდა ამ ზაფხულსაც: ევროტურნირებზე ჩეხურ „ბანიკთან“ მართლაც სამარცხვინო წაგების მერე **გელა გომელაურის** ადგილი „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მერაბ კოჭლაშვილმა** დაიკავა. კოჭლაშვილი გამოცდილი სპეციალისტია, საქართველოს ჩემპიონატში არაერთი გუნდი გაუწვრთნია და, რაც მთავარია, წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიაშიც“ უმუშავია (თანაც, როგორც ძირითად გუნდში, ასევე — ფარმ-კლუბშიც). ერთი მხრივ, კოჭლაშვილი თავისთვის „უცხო გარემოში“ არ მოდიოდა — ამ ფორმაციის „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას თავის დროზე ფარმ-კლუბში ავარჯიშებდა. თუმცა, ისიც ცხადი იყო, ამ რესურსით „ვეტერინარებს“ ჩემპიონატის ფავორიტებთან ტოლი-ტოლზე პაექრობა გაუჭირდებოდათ. ანუ, ფაქტობრივად, ყველა შეგუებული ვიყავით, რომ ახალ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ აშკარად მოკრძალებული მიზნები ექნებოდა. ასეც მოხდა: პირველი ეტაპი „ვიტ ჯორჯიამ“ მეოთხე ადგილზე კი დაამთავრა, მაგრამ გუნდს გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 3 ქულა აშორებს. თუმცა, გავკადნიერდებით და ვიტყვით: მართლაც ძნელად წარმოგვიდგენია მოვლენების ისეთი განვითარება, რომ „ვიტ ჯორჯიას“ უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ბრძოლა მოუხდეს. და ეს იმის მიუხედავად, რომ მეორე ეტაპზე, შესაძლოა, კვლავაც გადასხვაფერებული „ვიტ ჯორჯია“ ვიხილოთ; ანუ, გუნდში დარჩენილი ორი-სამი ლიდერიც, შესაძლოა, სხვა გუნდებში გადავიდნენ და მათ ნაცვლად, ტრადიციულად, ყველასათვის უცნობი ახალგაზრდები მოვიდნენ...

...ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ ამ სეზონში მოხდა ისეთი რამ, როცა „ვიტ ჯორჯიამ“ ჩემპიონატის ფავორიტებთან ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა: „ზესტაფონთან“, „დინამოსთან“ და „ოლიმპთან“ ჩატარებული ექვსივე მატჩი წააგო (ბურთების შეფარდებაც კატასტროფული იყო — 1:14). სხვა მეტოქეებთან „ვიტ ჯორჯია“ მეტ-ნაკლებად წარმატებულად ასპარეზობდა და იმის დიდი შანსიც იყო, პირველ ეტაპზე უფრო მეტი ქულაც მოეპოვებინა, რომ არა ორი არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი; პირველი და, ალბათ, უმთავრესი მიზეზი, თითქმის ყოველ მეორე-მესამე შეხვედრაში არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობა იყო: ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა ხშირი ტრავმიანობისა თუ დისკვალიფიკაციის გამო მერაბ კოჭლაშვილს ხშირად ექმნებოდა საკადრო პრობლემა; არანაკლები პრობლემა შეექმნა გუნდს... მსაჯობასთან დაკავშირებითაც: პირველი ეტაპის მსვლელობისას არაერთი შემთხვევა იყო, როცა „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელთა აზრით, არბიტრების შეცდომებს ამა თუ იმ მატჩის შედეგზე სერიოზული ზეგავლენა ჰქონდა...

...პირველ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ საუკეთესო შეხვედრებად IV ტურში „სამტრედიასთან“ ჩატარებული მატჩი (პირველ ტაიმში 0:2-ს აგებდა და მეორეში მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა) და XVI ტურში სტუმრად „ტორპედოსთან“ პაექრობა იყო. სხვათა შორის, ამ მატჩამდე ქუთაისელებს 8-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ და საერთოდაც, ეს იყო „ტორპედოს“ პირველი და ერთადერთი საშინაო მარცხი პირველ ეტაპზე. „ვეტერინართა“ აქტივში უნდა მივიჩნიოთ სათასო პაექრობებიც: მერვედფინალში მძიმე ბრძოლაში პირველი ლიგის „სქურს“ აჯობეს, ხოლო მეოთხედფინალში ორივე შეხვედრა მოუგეს იმ დროისათვის აშკარად მომძლავრებულ „სპარტაკს“. ამ წარმატებით კი „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ მესამედ მოიპოვა ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება, თანაც, დარჩენილ მეტოქეთაგან აშკარად ყველაზე „სასურველი“ მონინააღმდეგე („გაგრა“) შეხვდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდი ძირითად აქცენტს, ალბათ, თასის გათამაშებაზე გააკეთებს, — აბა, ჩემპიონატიდან ევროტურნირების საგზურის მოპოვება, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია...

### მეკარეები

ახალი სეზონის დაწყების წინ „ვეტერინართა“ ძირითად მეკარედ **არდალიონ მიქაბერიძე** მოიაზრებოდა, ვინც წლების განმავლობაში **გრიგოლ ბედიაშვილის** დუბლიორი გახლდათ. თავდაპირველად ასეც მოხდა, მაგრამ „სიონთან“ მატჩში მიქაბერიძემ ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად „ვეტერინართა“ ახალწვეული, მანამდე ბევრისთვის უცნობი **გიორგი ძაძამია** გამოჩნდა. 22 წლის მეკარე პირველი ეტაპის ერთ-ერთ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ და ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ძაძამია საქართველოს ნაკრების კანდიდატადაც დასახელდა. დებიუტანტმა მეკარემ რამდენიმე მართლაც გამორჩეული მატჩი ჩაატარა — (განსაკუთრებით, პირველი წრის შეხვედრა „დინამოსთან“), თუმცა „ოლიმპთან“ დიდი ანგარიშით (0:4) მარცხის მერე ძირითადი მეკარის სტატუსი ისევ მიქაბერიძეს „გადააბარა“; თავის მხრივ, მიქაბერიძეც არ ყოფილა დიდხანს „ვეტერინართა“ პირველი მეკარე და XV ტურში, „სპარტაკთან“ საშინაო წაგების შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ კარში (პირველი ეტაპის ბოლომდე) კვლავაც ძაძამია იდგა.

### მცველები

წინა სეზონთან შედარებით „ვიტ ჯორჯიას“ დაცვის ხაზი, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა და ერთადერთი, მხოლოდ **გიგა ბეჟვაია** დარჩა ძველი შემადგენლობიდან. მარცხენა ფლანგზე **ლაშა ჯაფარიძის** შემცვლელად თავდაპირველად გუნდის მეორე ახალწვეული, **ირაკლი ჭანკვეტაძე** მოიაზრებოდა, მაგრამ „ბანიკთან“ დაპირისპირების შემდეგ ამ პოზიციაზე 20 წლის **რევაზ ლანიაშვილი** ასპარეზობდა. გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელები გახდნენ 22 წლის **გურამ ადამაძე** და 21 წლის **ლაშა კასრაძე,** წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ ფარმ-კლუბში რომ ასპარეზობდნენ; სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბევრი გაუცდა „ვიტ ჯორჯიაში“ დარჩენილ ერთადერთ გამოცდილ ფეხბურთელს — 25 წლის **დავით ლომაიამ** მხოლოდ ცხრა მატჩი ჩაატარა. ასევე ტრავმის გამო ეპიზოდურად თუ ჩნდებოდა **დავით ხურცილავა,** არადა, 22 წლის მარჯვენა მცველი წინა სეზონში, ფაქტობრივად, ძირითადის ფეხბურთელი გახდა.

### ნახევარმცველები

**გიორგი ჯანელიძე, გურამ გურეშიძე, დავით მაისაშვილი, გიორგი ვასაძე** — ეს ახალგაზრდა ნახევარმცველები წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ ფარმკლუბში ასპარეზობდნენ და წინა სეზონებში ძირითადში იშვიათად თუ უწევდათ თამაში, აი, XXII ჩემპიონატიდან კი გუნდისთვის შეუცვლელ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ და იმედი დავიტოვოთ, რომ პროფესიულ ზრდას კვლავაც გააგრძელებენ. განსაკუთრებით კი **გურამ გურეშიძე** გვინდა გამოვყოთ — 21 წლის საყრდენმა პირველი ეტაპი სტაბილურად და, ბევრისთვის მოულოდნელად, მაღალ დონეზე ჩაატარა. ჰოდა, ძაძამიასი არ იყოს, გურეშიძეც მოხვდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** თვალთახედვის არეში. „ვიტ ჯორჯიას“ ნახევარმცველებზე ვსაუბრობთ და, რაღა თქმა უნდა, ცალკე უნდა ვახსენოთ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი კლიმიაშვილი;** ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, კლიმიაშვილი „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთი... ვეტერანია და უკვე წლებია, საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელადაც მიიჩნევა. 22 წლის ენერგიული და სწრაფი ნახევარმცველი უნივერსალიზმითაც გამოირჩევა და „ვიტ ჯორჯიადან“ მისი სავარაუდო წასვლა გუნდისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება.

### ვიტ ჯორჯიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| II ტური: | ვიტ ჯორჯია-ბაია | 2:1 |
| III ტური: | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| IV ტური: | ვიტ ჯორჯია-სამტრედია | 4:2 |
| V ტური: | სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| I ტური: | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| VI ტური: | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| VII ტური: | დინამო-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| VIII ტური: | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:0 |
| IX ტური: | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 0:2 |
| X ტური: | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 0:4 |
| XI ტური: | ბაია-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| XIV ტური: | ვიტ ჯორჯია-სიონი | 1:0 |
| XII ტური: | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 5:1 |
| XIII ტური: | სამტრედია-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| XV ტური: | ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 0:1 |
| XVI ტური: | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XVII ტური: | ვიტ ჯორჯია-დინამო | 0:1 |
| XVIII ტური: | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |

მეკარეები: გიორგი ძაძამია-10, არდალიონ მიქაბერიძე-9;

მცველები: გურამ ადამაძე-17, გიგა ბეჟვაია-16(2), რევაზ ლანიაშვილი-16, ლაშა კასრაძე-15, დავით ლომაია-9, დავით ხურცილავა-8, ჯემალ გოგიაშვილი-5, ირაკლი ჭანკვეტაძე-2;

ნახევარმცველები: გიორგი ჯანელიძე-17(1), გურამ გურეშიძე-17, ირაკლი კლიმიაშვილი-16 (1), დავით მაისაშვილი-15, გიორგი ვასაძე-11, გიორგი კორიფაძე-8;

თავდამსხმელები: ჯაბა ლიპარტია-18(6), ბესიკ ჩიმაკაძე-16(2), ბექა ზაქრაძე-16(2), ვახტანგ კვარაცხელია-3(3).

შენიშვნა: ფეხბურთელების სტატისტიკური მონაცემები აღებულია საიტიდან www.soccerway.com

### თავდამსხმელები

„ვეტერინართა“ შეტევის ხაზში მთავარი „დამრტყმელი ძალა“, რაღა თქმა უნდა, **ვახტანგ კვარაცხელია** უნდა ყოფილიყო და თავიდანვე ასეც იყო: საწყის სამ ტურში 22 წლის ტანმაღალმა თავდამსხმელმა მეტოქეთა კარში 3 გოლი გაიტანა. თუმცა, ამის შემდეგ, კვარაცხელია ქუთაისის „ტორპედოში“ გადავიდა და „ვიტ ჯორჯიასაც“ ცენტრფორვარდის პოზიციაზე გარკვეული პრობლემებიც შეექმნა. ყოველ შემთხვევაში, კვარაცხელიას თანატოლის და ასევე ათლეტური და ტანმაღალი ფორვარდისგან, **ბესიკ ჩიმაკაძისგან,** ალბათ, უფრო მეტსაც მოელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, 16 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლის გატანა მთლად სახარბიელო შედეგი ნამდვილად არ არის. თუმცა, იმავე ჩიმაკაძეს, რამდენიმე მატჩში მეტოქის კარში გატანილი გოლები... სხვადასხვა მიზეზით გაუუქმეს; ამასთან, იმ ორიდან, ერთი (საშინაო მატჩში „ტორპედოსთან“) ისეთი გაიტანა, ეფექტურზე მეტი რომ ეთქმოდა. ასევე 2 გოლი გაიტანა ჩემპიონატის მატჩებში **ბექა ზაქრაძემ,** მაგრამ ამ 20 წლის ფეხბურთელს ცენტრფორვარდს ვერც ვუწოდებთ, — უფრო ხშირად გარემარბად ასპარეზობდა.



ირაკლი კლიმიაშვილი

დაბოლოს, პირველ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას“ უდავოდ, საუკეთესო ფეხბურთელსა და საერთოდ, XXII ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ პერსონაზეც: **ჯაბა ლიპარტიამ** მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა და ძალიან ბევრჯერ მომხდარა, რომ სწორედ მის ინდივიდუალურ ოსტატობას გადაუწყვეტია კიდეც კონკრეტული მატჩის ბედი. მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში ლიპარტიას მკვეთრად გამოხატული ამპლუა არ ჰქონია: ხან, მარცხენა გარემარბად გვევლინებოდა, ხან ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა და ხან — ეგრეთწოდებულ, მეორე ფორვარდად. იმის გარდა, რომ 6 გოლით ლიპარტია თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო, საერთოდაც პირველი ეტაპის ერთ-ერთი რჩეულთაგანი გახლდათ: „ლელოს“ ვერსიით ექვსჯერ დავასახელეთ „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“, ორჯერ - „თვის სიმბოლურში“ და ბოლოს, სრულიად დამსახურებულად „პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებშიც“ (ერთადერთი ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიადან“) მოხვდა. თუმცა, კლიმიაშვილის მსგავსად, დიდია იმის ალბათობა, რომ 2011 წლიდან ჯაბა ლიპარტია უკვე სხვა გუნდში ვიხილოთ. აი, ამ ფაქტს კი, ალბათ, დანაკლისზე მეტი უნდა ვუწოდოთ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედში

# ცუდი ლიდერი და დიდი გაურკვევლობა

**ნემანია ვიდიჩი** საკუთარ თვალებს არ უჯერებს: „მანჩესტერ იუნაიტედი" ლიდერობს, არადა გუნდი, რომელიც ასე ცუდად თამაშობს, ნამდვილად არ უნდა იყოს პირველ ადგილზე. ციფრებს ჩავხედოთ: ვიდიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა, მიმდინარე ჩემპიონატში, სტუმრად ჩატარებული 9 შეხვედრიდან 7 ფრედ ითამაშეს. მანჩესტერელთა სერბი კაპიტანი ამბობს:

*„ვინმეს რომ ეთქვა ამდენ ქულას დაკარგავთო, ვუპასუხებდი, რომ ესე იგი ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ. სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში ისეთი ცუდი შედეგი გვაქვს, რომ გამეორებაც არ მინდა, საამაყო არაფერია, ცხრილში კი მაინც პირველ ადგილზე ვართ. გასაკვირია ისიც, რომ ჯერ არ დავმარცხებულვართ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვალდებული ვართ უკეთ ავთამაშდეთ".*

ზემოთ ვახსენეთ, რომ „იუნაიტედმა" სტუმრად 9 შეხვედრიდან 7 ფრედ ითამაშა და არ წაუგია. გამოდის, რომ ორჯერ გაიმარჯვა და ამ ორიდან ერთი ახალი წლის, 1 იანვრის ამბავია - „ვესტ ბრომვიჩი" იღბლის წყალობით დაამარცხა. უფრო სწორად, ამ შეხვედრაში მსაჯმა მანჩესტერელთა კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა და ბოლო იმედის ჯარიმისთვის **გარი ნევილი** არ გააძევა. ვიდიჩი განაგრძობს:

*„სტუმრად ჩატარებული შეხვედრების ნახევარიც რომ მოგვეგო, ახლა მიუწვდომელნი ვიქნებოდით. როგორც ჩანს, თანამიმდევრულობა გვაკლია. თუ შემეკითხებით რატომ არის ასე, ვერაფერს გიპასუხებთ. სხვათა შორის, იყო ტურები, როდესაც ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მოვიგეთ. რასაკვირველია, ისეთი შეხვედრებიც იყო, კარგად რომ ვითამაშეთ და ქულები დავკარგეთ. მოკლედ, დიდი გაურკვევლობაა".*

29 წლის მცველი, რომელსაც ორი წელიწადი, 2004-06, მოსკოვის „სპარტაკში" აქვს გატარებული, ამბობს, რომ სეზონის მეორე ნახევარი წესით გაცილებით უკეთესი უნდა იყოს.

*„ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით და ის, რომ აქამდე არ დავმარცხებულვართ, რასაკვირველია, მეორე მხრივ, ჩვენს სიძლიერეზეც მეტყველებს. ისე, ამ ჩემპიონატში ნამდვილი სასწაულები ხდება. შემოდგომაზე რომ გეთქვათ, „ჩელსი" ხუთი-ექვსი კვირის მანძილზე ერთ თამაშსაც ვერ მოიგებსო, არ დაგიჯერებდით. ყველას სწამდა, რომ „ჩელსი" პრემიერლიგის უძლიერესი გუნდი იყო და ამ სეზონში უპრობლემოდ გახდებოდა ჩემპიონი. ამრიგად, ჩვენ ძალიან ძლიერ და კონკურენციით ალსავსე შეჯიბრებაში ვმონაწილეობთ".*

„იუნაიტედის" 29 წლის პოლონელი მეკარე **ტომაშ კუშჩაკი** კი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გუნდში ხუთი წელიწადი ტყუილად არ გაუტარებია და შემადგენლობაში დამკვიდრების შანსს ითხოვს. კუშჩაკმა „ვესტ ბრომვიჩთან" ზემოხსენებულ შეხვედრაში ითამაშა - სტუმრად მანჩესტერელთა მეორე გამარჯვებაში მიიღო მონაწილეობა. 193 სანტიმეტრი სიმაღლის გოლკიპერი სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდში 2006 წელს გადავიდა და მას მერე მხოლოდ 56-ჯერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. მეტიც, კუშჩაკს პრემიერლიგაში მთელი წელიწადია არ უთამაშია.

დღეს, ტომაშ კუშჩაკისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი წელიწადია დარჩენილი, მაგრამ რა ბედი ელის პოლონელს არავინ იცის. კლუბმა 26 წლის დანიელი **ანდერს ლინდეგაარდი** იყიდა და დიდი შანსია **ედვინ ვან დერ სარის** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ სწორედ ის გახდეს „იუნაიტედის" მთავარი მეკარე. მისი მომავალი გაურკვეველი რომ არის თავად კუშჩაკმაც კარგად იცის, თუმცა, ისიც ეტყობა, რომ მეკარის ცხოვრებაში დადგა დრო, როდესაც სათადარიგოობა აღარ აკმაყოფილებს.

*„პირველ იანვარს დებიუტი მქონდა -* სიცილით უთხრა პოლონელმა ჟურნალისტებს - *ამბიცია ყველა ფეხბურთელს აქვს. მეც ამბიციური გახლავართ. სათადარიგოთა სკამზე ხუთი წელიწადი გავატარე, მაგრამ ამას ჩემი ოსტატობა არ დაუჩლუნგებია. მზად ვარ, საქმეში ჩავება და ვითამაშო. გარკვეული გამოცდილება შევიძინე და ვფიქრობ, მისი გამოყენება შემიძლია. ერთადერთი, რაც მინდა, უფრო ხშირად თამაშია. მოედანზე ორ-სამ თვეში ერთხელ გამოსვლა საკმარისი არ არის. ასე ვერავის ვერაფერს დავუმტკიცებ".*

ვან დერ სარის უცვლელობამ კუშჩაკის მსგავსად **ბენ ფოსტერზეც** იმოქმედა, თუმცა ინგლისელი „ბირმინგემში" გაიქცა და იქ, ახლა ძირითადში თამაშობს. ამას პოლონელი, რასაკვირველია, კარგად ხედავს, თუმცა „იუნაიტედის" მწვრთნელთან ჯერ არ ულაპარაკია და სეზონის დასრულებას ელოდება:

*„დავიცდი და შევხედავ რა მოხდება სეზონის ბოლოს. ჯერ უნდა ვნახო, რას აპირებს ჩვენი მწვრთნელი, მას რა აქვს ჩაფიქრებული. გამოჩნდება, მე გაყიდვას მიპირებს თუ გამოყენებას. ამწუთას ფერგიუსონის გეგმების შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. ედვინი მართალია 40 წლის არის, მაგრამ კაცმა არ იცის კიდევ რამდენ ხანს ინდომებს მოედანზე დარჩენას. შესაძლოა, რასაც ამბობენ, მართლა ისე იყოს და ამ სეზონის ბოლოს მან კარიერა დაასრულოს. თუ ასე მოხდა, ვფიქრობ, ისეთი კლუბი, როგორიც „მანჩესტერ იუნაიტედია" ახალგაზრდა მეკარის აყვანას შეეცდება. მოკლედ, ჯერ ყველაფერი ბუნდოვანია".*

ცნობისათვის: ახალგაზრდა მეკარე „მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე ჰყავს. ეს გახლავთ 20 წლის **ბენ ამოსი**, რომელიც ჯერ „პიტერბოროში", შემდეგ კი „მიოლდეში" იყო გაქირავებული. ამბობენ, რომ ფერგიუსონმა შესაძლოა ისიც დააბრუნოს.



ვიდიჩი გაკვირვებულია



როგორ „უყვართ" ერთმანეთი

მოსაზრება

# რამდენ ქულას დააგროვებს ინგლისის ჩემპიონი?

ის სამოცდამეათე წელიწადშია, მაგრამ ძველი მოქიშპის **არსენ ვენგერის** კრიტიკას ვერ ეშვება - სერ **ალექს ფერგიუსონზე** მოგახსენებთ. გუშინ „იუნაიტედმა" „სტოკთან" ითამაშა. როგორც წესი, მატჩისწინა ინტერვიუში მოწინააღმდეგეს თავს არავინ ევლება - დიპლომატიურად შეაქებენ ხოლმე და ეგ არის, მაგრამ ფერგიმ სხვანაირი ქცევა ამჯობინა: ოღონდ კი ვენგერი გაეკრიტიკებინა და მეტოქე დაიცვა. მოგეხსენებათ, ვენგერს „სტოკ სიტი" არ უყვარს, ამბობს, რომ **ტონი პულისის** გუნდი უხეშად თამაშობს. ფრანგ მწვრთნელს სტოკელები განსაკუთრებით მას მერე შესძულდა, რაც გასული წლის თებერვალში **რაიან შოუკროსმა** მის ფეხბურთელ **აარონ რემსის** ფეხი მოსტეხა. ფერგიუსონმა თქვა:

*„ხალხი სტოკელთა ძალისმიერ ფეხბურთს აკრიტიკებს, მაგრამ ხომ უნდა დავინახოთ, რომ ეს გუნდი აკეთებს იმას, რაც ყველაზე მეტად ეხერხება. რამდენადაც ვიცი „სტოკის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსი არსენ ვენგერია, მაგრამ მას ხშირად ზედმეტი მოსდის და მთავარ საკითხს სცილდება ხოლმე. ასე მაგალითად, ჩვენთან დამარცხების შემდეგ ვენგერმა „ოლდ ტრეფორდის" მინდორი გააკრიტიკა, მაგრამ ვერ გავიგე რატომ.*

*ტონი პულისს უდიდეს პატივს ვცემ. აღფრთოვანებული ვარ თუ როგორ უმკლავდება თავს დატეხილ კრიტიკას. ერთადერთი, რასაც კრიტიკოსები მის წინააღმდეგ ლაშქრობებით აღწევენ, „სტოკისთვის" დამატებითი სტიმულის მიცემაა".*

ზოგადად კი სერ ალექსს მიაჩნია, რომ პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატი ხუთი გუნდის დავაში ჩაივლის. ხუთი ცხენის დოლიაო, ბრძანა „იუნაიტედის" თავკაცმა, რომელიც ელის, რომ ამ სეზონში ჩემპიონობას 82 ქულაც ეყოფა. ასე ცოტა ქულით პრემიერლიგის ტიტული კარგა ხანია არავის მოუგია. უფრო დაზუსტებითაც შეიძლება თქმა: 10 წლის წინ, როდესაც „იუნაიტედმა" პირველი საჩემპიონო ჰეთ-თრიკი შეასრულა, „არსენალის" 10 ქულით ჩამოსატოვებლად სულ 80 ქულა ეყო. მას შემდეგ საორიენტაციო რიცხვი 90 გახლდათ. ქულათა ასეთ რაოდენობას ერთხელ „მანჩესტერ იუნაიტედმა" გადაამეტა, მეორედ „არსენალმა" და მას მერე, რაც ფერგიუსონისა და ვენგერის დავაში **ჟოზე მოურინიოც** ჩაერთო, ორჯერ „ჩელსიმ".

მიმდინარე სეზონში კი ყველაფერი პირიქითაა. ნაცვლად იმისა, რომ ქულათა თამასა მაღლა ლიდერებმა ასწიონ, ქვედა გუნდები აგროვებენ იმაზე მეტს, ვიდრე წინა წლებში აგროვებდნენ. თან, ქვედა გუნდებში მხოლოდ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" რანგისა და პოზიციის გუნდებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ კიდევ უფრო დაბლა მდგომებსაც, მაგალითად, „სანდერლენდსა" და „ბოლტონს".

ფერგიუსონი ამბობს: *„ამ სეზონში 90 ქულის ფარგლებში ვერავინ დააგროვებს. ვფიქრობ, ჩემპიონი გახდება გუნდი 82 ან 83 ქულით, ეს კი შვიდი ქულით ნაკლებია იმაზე, რასაც „ჩელსი" და ჩვენ საუკეთესო სეზონებში ვაგროვებდით. ეს რას ნიშნავს? არა მგონია, ეს იმას ნიშნავდეს, რომ ჩვენ ან „ჩელსი" დავძაბუნდით, უბრალოდ პრემიერლიგა ძალიან ძლიერი ლიგაა".*

პრემიერლიგა რომ ძლიერია ჩემპიონობის კანდიდატთა რაოდენობაც ადასტურებს.

*„რამდენიმე ტურია ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას „ტოტენჰემი" ახდენს. როგორც ჩანს, ეს გუნდი იქამდე გაიზარდა, რომ ტიტულისთვის იბრძოლოს და თან კარგადაც მიუდის საქმეები. „ნიუკასლთან" ათი კაცითაც კი უტევდნენ. შეტევის გარდა მათ კონტრშეტევაზეც შესანიშნავად შეუძლიათ თამაში. „სფურზში" ხომ საამისოდ ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც არიან დეფო, ლენონი და ბეილი. ერთი სიტყვით, „ტოტენჰემჰოთსპური" უეჭველად იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის და რასაკვირველია, პრეტენდენტთა შორის იქნება „ჩელსიც", რომელიც მალე კრიზისს დაძლევს. ამგვარად, მიმდინარე სეზონში ინგლისის ჩემპიონობას არც მეტი არც ნაკლები ხუთი გუნდი უმიზნებს".*

შემდეგ კი ფერგიუსონმა კალენდარზე ილაპარაკა: *„ჩვენ რამდენიმე კონკურენტთან სტუმრად გვაქვს სათამაშო. ასე მაგალითად, „ლივერპული", „ტოტენჰემი", „ჩელსი" და „არსენალი" თავიანთ მოედანზე გველოდებიან, მაგრამ ძლიერ გუნდებთან დაპირისპირება ის არის, რაც ნაკლებად მაშფოთებს. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ამ თამაშებში კარგი შედეგები ვაჩვენოთ. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც ძლიერ მოწინააღმდეგეს ვეთამაშებით, ყურადღებისა და ძალების მობილიზების პრობლემა არ გვაქვს".*

ამბები

## ბექჰემი იგვიანებს

**ჰერი რედნაპი** შიშობს, რომ „ლოს ანჯელეს გელექსი" **დევიდ ბექჰემს** „ტოტენჰემში" გადასვლის საშუალებას არ მისცემს. მოგეხსენებათ, ამერიკის ლიგაში სეზონი დასრულდა და ნაღდი ევროპული ფეხბურთის თამაში რომ არ დაავიწყდეს, ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს სამი თვით „სფურზში" სურს გადასვლა. რედნაპმა თქვა:

*„ბოლო რამდენიმე დღეა ამ საქმეზე არაფერი მსმენია. არადა, ძალიან მინდა ბექჰემი სამი თვით მაინც გადმოვიყვანო. ის „ტოტენჰემში" ძალიან დაგვეხმარებოდა. დევიდი უმაღლესი დონის პროფესიონალი, ფეხბურთელი და ადამიანია. ახალგაზრდა მოთამაშეებს დიდებულ მაგალითს მისცემდა. და, რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნებოდა ყველაფერი ამთავითვე რომ გაგვერკვია. მე ზუსტად უნდა ვიცოდე მოდის ის „სფურზში" თუ არა. გუნდს მის გარეშე თუ ავაწყობ, მერე ველარ ვიტყვი, უი, თურმე დევიდი მოდის და ახლა ყველაფერი ისევ ყირაზე უნდა დავაყენომეთქი. ერთი სიტყვით, „გელექსისგან" ყველაფერზე ამომწურავი პასუხი უნდა გავიგო და იმის მიხედვით დავგეგმო მომავალი"*

## აჩვენეთ ჰოჯსონს ფული

„ლივერპულის" თავკაცი **როი ჰოჯსონი** ფულს ითხოვს, რათა იანვარში ახალი ფეხბურთელები შეიძინოს. მწვრთნელმა კარგად იცის, რომ შესაძლოა თანამდებობიდან მოხსნან - მერსისაიდელები პრემიერლიგის ცხრილში მეცხრე ადგილზე არიან, მაგრამ მათ გარდა 25 ქულა კიდევ სამ გუნდს აქვს. გარდა ამისა, „წითლებსა" და ბოლო ადგილზე მყოფ „ვულვერჰემპტონს" შორის სხვაობა მხოლოდ 7 ქულაა. თუმცა, ჰოჯსონს მიაჩნია, რომ კლუბის მესვეურებს მისთვის გუნდის გადასახალისებლად მეტი დრო და ფული უნდა მიეცათ. დღეს იგი **რაფა ბენიტესისგან** „მემკვიდრეობით" მიღებულ შემადგენლობასთან მუშაობს.

*„იმედი მაქვს, რომ დადგება დღე, როდესაც გუნდში ჩემს შეხედულებებს გავატარებ და ფეხბურთელებსაც ჩემი მოსაზრებით შევარჩევ -* თქვა ჰოჯსონმა - *რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ რაც „ლივერპულის" მწვრთნელი ვარ სატრანსფერო ბაზარზე არ მიაქტიურია. აქ, ფეხბურთელებმა ძალიან კარგად მიმიღეს. ისინი მხარში მიდგანან, მაგრამ რაც გინდათ თქვით, „ენფილდზე" ბოლო წლებში სულ ერთი და იგივე შემადგენლობა ტრიალებს".*

## სითის ტრავმები

„მანჩესტერ სითის" თავდამსხმელები **დავიდ სილვა** და **მარიო ბალოტელი** „არსენალთან" დღევანდელ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ. მეტიც, ესპანელ სილვაზე ამბობენ, რომ კოჭის ტრავმა მას ორ კვირას გააცდენინებს. ისტლენდელთა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა:

*„ძალიან დიდი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. დავიდი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ძალიან დიდ საქმეს გვიკეთებს. იმედი მაქვს, რომ 15 იანვარს „ვულვერჰემპტონის" წინააღმდეგ ის უკვე მოედანზე იქნება".*

მოგეხსენებათ, დღეს „სიტი" პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზეა. ამის მიუხედავად მანჩინიმ კარგად იცის, რომ წინ დიდი ბრძოლები ელის:

*„ჩვენზე მეტი გამოცდილება აქვთ „არსენალს", „ჩელსის", „იუნაიტედსა" და „ტოტენჰემს". ვფიქრობ, ჩემპიონიც ამ ოთხიდან ერთ-ერთი იქნება. რაც შეგვეხება ჩვენ, შევეცდებით ვიმუშაოთ და რაც შეიძლება უკეთეს შედეგს მივაღწიოთ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ლეონარდო უკვე შეაქეს

## ბენიტესი განტევების ვაცი

სეზონის განახლებისთვის „ინტერი“ ახალ მთავარ მწვრთნელთან, **ლეონარდოსთან** ერთად ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი სულ რამდენიმე დღეა, რაც გუნდს ავარჯიშებს, ფეხბურთელებს ახალ თავკაცზე დადებითი წარმოდგენა შეექმნათ. „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, ლეოს წვრთნები ხალისიანად მიმდინარეობს და აშკარაა, რომ „ნერაძურის“ ბანაკში კარგი ატმოსფეროა. საპირისპირო ვითარება გახლდათ **რაფაელ ბენიტესის** დროს, როდესაც ვარჯიშები მეტწილად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. **დიეგო მილიტოს** სიტყვები ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა:

*„ლეონარდოს სულ რალაც რამდენიმე დღეა ვიცნობ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დიდი ხნის მეგობრები ვართ. ძალიან იოლად შემოვიდა კონტაქტში და ყველაფერს მარტივად გვიხსნის. სიმართლე გითხრათ, მისით მოხიბლული ვარ და მჯერა, რომ სეზონის მეორე ეტაპს მაღალ დონეზე ჩავატარებთ. რაფაელ ბენიტესი ცუდი სპეციალისტი არ არის, მაგრამ მასთან ვერაფრით გამოვნახეთ საერთო ენა, აშკარად რალაც გვაკლდა წარმატების მისაღწევად. რაფა უკვე წარსულია და ვფიქრობ, „ინტერის“ საქმეები უკეთესობისკენ წავა“.*

მილიტოს პათოსს იზიარებს **დუგლას მაიკონიც**, რომელსაც სეზონის პირველი ნახევარი პირწმინდად ჩაუვარდა. მაიკონს ბევრი მსოფლიოს საუკეთესო მარჯვენა მცველად მიიჩნევს, თუმცა, თუ მიმდინარე სეზონის პირველი ნახევრით ვიმსჯელებთ, ამ მოსაზრების გაზიარება ცოტა გაგვიჭირდება. მისი წარუმატებელი ასპარეზობის სიმბოლოდ კი „ტოტენჰემთან“ ინგლისში გამართული მატჩი უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც **გარეთ ბეილთან** დუელში აშკარად დაიჩაგრა. მაიკონმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნიჭიერ უელსელს და ეს უკანასკნელიც ისე დანავარდობდა მარცხენა ფლანგზე, როგორც მოესურვებოდა. ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ მაიკონს „რეალში“ სურდა გადასვლა და რადგან ტრანსფერი არ შედგა, „ინტერში' ასპარეზობისთვის მოტივაცია არ ჰყოფნის. თავად ფეხბურთელი ამ მოსაზრებას უარყოფს და ყველაფერს ბენიტესს აბრალებს: *„პიროვნულად ბენიტესის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ მის ხელში გუნდმა დათმო პოზიციები და ლიდერთა მარაქას ჩამოშორდა. გასაგებია, რომ ტრავმების ეპიდემიამ შეუწყო ამას ხელი, მაგრამ რაც თავი მახსოვს, ანალოგიური პრობლემების წინაშე ყოველთვის ვიდექით. არც ჟოზე მოურინიოს ჰქონდა ამ მხრივ დალხენილად საქმე, მაგრამ თამაშს თამაშზე ვიგებდით. ლეონარდომ „მილანში“ საკმაოდ კარგად იმუშავა, საჭირო გამოცდილება მიიღო და ვფიქრობ, მასთან ერთად არაერთ წარმატებას მივაღწევთ. ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და მსურს, სეზონის მეორე ნახევარი უმაღლეს დონეზე ჩავატარო“.*


ლეონარდო

ბენიტესის მიმართ კრიტიკა არც **დეიან სტანკოვიჩმა** დაიშურა, რომელიც თურმე მხოლოდ იმიტომ არ იმაღლებდა აქამდე ხმას, რომ გუნდში ატმოსფერო არ გაეფუჭებინა. სერბი განსაკუთრებულად მაშინ აღშფოთებულა, როდესაც რაფამ საკლუბო მუნდიალის ფინალურ მატჩზე სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. დეიანის მტკიცებით, შესანიშნავ ფორმაში იყო, ნახევარფინალი იდეალურად ჩაატარა და ყველა ლოგიკით, სასტარტო ტერთმეტეულში უნდა ესასპარეზა. მოკლედ, ბენიტესს ყველამ გადაუარა, ესპანელი მწვრთნელი განტევების ვაცად აქციეს და წარსული წარუმატებლობები მთლიანად მას მიაწერეს. ლეონარდომ ახალი იმედები ჩაუსახა თითოეულ ფეხბურთელს, მათ შორის **სამუელ ეტოოს**, რომელიც სკუდეტოზე ოცნებობს:

*„ლიდერს ცამეტი ქულით ჩამოვრჩებით, თუმცა ორი თამაშით ნაკლები გვაქვს ჩატარებული და ამ სხვაობას აუცილებლად შევამცირებთ. მიუხედავად იმისა, რომ „მილანი“ წინ არის გაჭრილი, სკუდეტოზე ფიქრს არ ვეშვებით. მჯერა, რომ ლეონარდოს ხელში გაცილებით უკეთ ავთამაშდებით და ამ ჩამორჩენას ბოლომდე აღმოვფხვრით. „ინტერი“ დღემდე საუკეთესო გუნდია იტალიაში, უბრალოდ, კრიზისია დასაძლევი და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. რაც მთავარია, ლაზარეთი დღითი დღე იცლება და ფეხბურთელები გვიბრუნდებიან. მე თვითონ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და ერთი სული მაქვს, როდის განახლდება სეზონი“.*

**ლაშა წიკლაური**


რანოკია ახალ გუნდში

# რანოკიას ოცნება აუხდა

**ანტონიო კასანოს** „სამპდორიადან „მილანში“ გადასვლას თუ არ ჩავთლით, ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ჯერჯერობით „ინტერმა“ განახორციელა. მილანური გრანდის მესვეურებმა „ჯენოადან“ **ანდრეა რანოკია** გადაიბირეს და მასში 12.5 მილიონი ევრო გადაიხადეს. ახალგაზრდა ნიჭიერმა მცველმა „ბარიში“ ასპარეზობით გაითქვა სახელი, შემდეგ „ჯენოაში“ აღმოჩნდა და შესანიშნავი თამაშით **რაფაელ ბენიტესის** ყურადღება დაიმსახურა. მართალია, ესპანელი უკვე მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ რანოკიას ტრანსფერზე **მასიმო მორატიმ** უარი აღარ თქვა. ახალგაზრდა მცველზე **ლეონარდოც** დიდ იმედებს ამყარებს და მიაჩნია, რომ დაშავებული **ვალტერ სამუელის** შეცვლა ყველაზე უკეთ სწორედ მას შეუძლია. თავად ფეხბურთელი სიხარულისგან მეცხრე ცაზეა:

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ოცნება ამიხდა - ბავშვობიდან „ინტერის“ ქომაგი ვარ და დღეს, ამ გუნდის ნაწილად ვითვლები. ეს ფანტასტიკური შეგრძნებაა, რომელსაც ვერაფერი შეედრება. „ჯენოაში“ თავს კომფორტულად ვგრძნობდი და გული მწყდება, გუნდი რომ დავტოვე, მაგრამ ასეთ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი. დიდი ფეხბურთელების გვერდით მომიწევს თამაში და ვეცდები მათგან რაც შეიძლება ბევრი ვისწავლო. მსურს „ინტერის“ მდიდარ ისტორიაში ჩემი კვალი დავტოვო და ამისთვის თავს არ დავზოგავ“.*

**ლაშა წიკლაური**

სერია A

# კალჩოს ტრანსფერები

## ის, რაც უკვე გადაწყდა

იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე დიდ ინტერესს მაინც სატრანსფერო ბაზარზე მიმდინარე მოვლენები იწვევს. ვრცელდება ათასგვარი ინფორმაცია, რომელიც ხშირად ამა თუ იმ გაზეთის კარგად გაყიდვის მიზნით გახლავთ შეთხზული. ამიტომ, ყველაზე უპრიანი იქნება, თუ უკვე შემდგარ ტრანსფერებზე გავამახვილებთ ყურადღებას და არა გავრცელებულ ჭორებზე. მაშ ასე, თქვენ წინაშეა უკვე შემდგარი იტალიური ტრანსფერები...

**ბარი**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** გლიკი (პალერმო).

**ბოლონია**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** არავინ.

**ჯენოა**

**წავიდა:** რანოკია (ინტერი), მოდესტო, პალადინო (ორივე პარმა), ბორე (გენკი, ბელგია), ტომოვიჩი (ლეჩე).
**მივიდა:** იელენიჩი (კოპერი, სლოვენია), ჰალენიუსი (ჰამარბი, შვედეთი), ანტონელი, პალოსკი (ორივე პარმა).

**ინტერი**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** რანოკია (ჯენოა).

**კალიარი**

**წავიდა:** ბიაზი (ბროზინონე).
**მივიდა:** არავინ.

**კატანია**

**წავიდა:** ბარიენტოსი (ესტუდიანტესი, არგენტინა)
**მივიდა:** არავინ.

**კიევო**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** არავინ.

**ლაციო**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** არავინ.

**ლეჩე**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** ტომოვიჩი (ჯენოა).


მაკედა „სამპდორიაში“ ითამაშებს

**მილანი**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** კასანო (სამპდორია).

**ნაპოლი**

**წავიდა:** ბუკი (პესკარა).
**მივიდა:** არავინ.

**პალერმო**

**წავიდა:** გლიკი (ბარი).
**მივიდა:** ანჯელოვიჩი (მარიბორი, სლოვენია), კურტიჩი (ნოვა გორიცა, სლოვენია).

**პარმა**

**წავიდა:** პალოსკი, ანტონელი (ორივე ჯენოა).
**მივიდა:** პალადინო, მოდესტო (ორივე ჯენოა), კალვო (არისი, საბერძნეთი).

**რომა**

**წავიდა:** ბაპტიშტა (მალაგა, ესპანეთი).
**მივიდა:** არავინ.

**სამპდორია**

**წავიდა:** კასანო (მილანი), სამარკო (ჩეზენა).
**მივიდა:** მაკედა (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი).

**უდინეზე**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** არავინ.

**ფიორენტინა**

**წავიდა:** არავინ.
**მივიდა:** არავინ.

**ჩეზენა**

**წავიდა:** კავალერი (ფლუმინენსე, ბრაზილია), იგალო (კორდობა, ესპანეთი).
**მივიდა:** სამარკო (სამპდორია), დო პრადო (საუთჰემპტონი, ინგლისი).

**იუვენტუსი**

**წავიდა:** ლანცაფამე (ბრეშა).
**მივიდა:** არავინ.

**ლაშა წიკლაური**

### ბოიერის სამი მატჩი

როგორც მოსალოდნელი იყო, "არსენალთან" მატჩისას ჩადენილი უსაქციელობისთვის "ბირმინგემის" ნახევარმცველ **ლი ბოიერს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. "მეთოფეებთან" შეხვედრისას 33 წლის ბოიერმა მუხლზე შეგნებულად დააბიჯა მოედანზე დაწოლილ **ბაკარი სანიას**, ცოტა ხნის შემდეგ კი მას აქილევსი დაუზიანა. მატჩის არბიტრ პიტერ უოლტონს ეს ეპიზოდები არ შეუნიშნავს, თუმცა ვიდეოგამეორებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

დისკვალიფიკაცია უკვე ძალაშია, ბოიერმა გუშინ "ბლექპულის" წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრა გამოტოვა.

### ტონის რუსები უხმობენ

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, **ლუკა ტონის** შეძენა სანკტ-პეტერბურგის "ზენიტსა" და მოსკოვის "სპარტაკს" სურთ. 33 წლის ტონის, რომელსაც "ჯენოასთან" მოქმედი კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, ამერიკული "ლოს ანჯელეს გელექსიც" იწვევს და მთხოვნელები დასავლეთ ევროპიდანაც ჰყავს - "მილანის", "ტოტენჰემისა" და "ფულჰემის" სახით. ბუნებრივია, მისთვის ბრძოლაში რუსული კლუბების მთავარი იარაღი ამჯერადაც მაცდუნებელი ფინანსური პირობები იქნება.

ტონის იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში 15 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 3 გოლი გაიტანა.

### ბერგკამპი დააწინაურეს




ახლოწარსულში სახელგანთქმული ჰოლანდიელი შემტევი, რომელიც ბოლო დროს "აიაქსის" ახალგაზრდულ გუნდში **ფრანკ დე ბურის** ასისტენტად მუშაობდა, ამ უკანასკნელის მთავარ გუნდში გადაყვანის შემდეგ დააწინაურეს და ახალგაზრდების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

**დენის ბერგკამპმა** ფეხბურთელის კარიერა 2006 წელს დაასრულა, რის შემდეგაც ჯერ სამწვრთნელო კურსები გაიარა, შემდეგ კი "აიაქსის" სისტემაში დასაქმდა. როგორც ბერგკამპის ერთ-ერთი ინტერვიუდან ირკვევა, მისი უმთავრესი სამწვრთნელო ოცნება "არსენალში" მუშაობა ყოფილა. შეგახსენებთ, "მეთოფეთა" რიგებში მან 10 წელიწადი გაატარა.

### მეკარეებში კასილიასი გამოარჩიეს

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) 2010 წლის საუკეთესო მეკარეების რეიტინგი გამოაქვეყნა. გამოკითხვაში დიდი უპირატესობით **იკერ კასილიასმა** გაიმარჯვა. აქვე სრულად წარმოგიდგენთ საუკეთესო ათეულს.

1. **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, რეალი), 2. **ჟულიო სეზარი** (ბრაზილია, ინტერი), 3. **პეტრ ჩეხი** (ჩეხეთი, ჩელსი), 4. **მანუელ ნოიერი** (გერმანია, შალკე), 5. **მარტენ სტეკელენბურგი** (ჰოლანდია, აიაქსი), 6. **ვიქტორ ვალდესი** (ესპანეთი, ბარსელონა), 7. **ფერნანდო მუსლერა** (ურუგვაი, ლაციო), 8. **ედვინ ვან დერ სარი** (ჰოლანდია, მანჩესტერი), 9. **ჯანლუიჯი ბუფონი** (იტალია, იუვენტუსი), 10. **ტიმ ჰოვარდი** (აშშ, ევერტონი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# 100 000 ევრო მაფიისგან!

## ზანკტ პაულის ყოფილმა ფეხბურთელმა ფულის აღება აღიარა, მანიპულაციებს კი უარყოფს

ბოხუმის პროკურატურა ყველა დროის ყველაზე დიდი საფეხბურთო სკანდალის გამოძიებას აგრძელებს. ბოხუმელებს ამ დღეებში გამოძიების ახალი დეტალები არ გაუხმაურებიათ, სამაგიეროდ, გერმანულ ჟურნალ „შტერნში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ „ზანკტ პაულის“ ყოფილ ფეხბურთელთან, 25 წლის **რენე შნიტცლერთან**, რომელიც აღიარებს, რომ მაფიისგან 100 000 ევრო აიღო, რის სანაცვლოდაც მას მეორე ბუნდესლიგის ხუთი მატჩის მანიპულირებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. მისი თქმით, მაფიოზებმა შნიტცლერს „მაინცთან“ (ორი თამაშის), „ჰანზასთან“, „აუგსბურგთან“ და „დუისბურგთან“ თამაშების მანიპულირება მოსთხოვეს. ფეხბურთელი ამბობს, რომ ფული აიღო, მაგრამ მაფიის მოთხოვნა არ შეასრულა. არის თუ არა ეს სიმართლე, ამას გამოძიება გაარკვევს, ფაქტი კი ის არის, რომ ხსენებული ხუთი თამაშიდან სამში მას მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია და მხოლოდ ერთ შეხვედრაში ითამაშა 90 წუთი.



რენე შნიტცლერი

შნიტცლერი აცხადებს, რომ ფული მას ვინმე „პაულმა“ გადაუხადა. „შტერნის“ ინფორმაციით, ეს არის ჰოლანდიელი მაფიოზი **პაულ რ.**, რომელიც ბოხუმის პროკურატურის გამოძიებაშიც ფიგურირებს. ხსენებული ჟურნალის ინფორმაციით, პაულ რ. სკანდალის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურაა. შნიტცლერს „შტერნისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მხოლოდ ამაზე არ უსაუბრია. ის აღნიშნავს, რომ მანიპულაციებსა და ტოტალიზატორში საკუთარი გუნდის მატჩებზე ფულის დადებაში არაერთი თანაგუნდელი თუ სხვა ფეხბურთელი ჰყავს შემჩნეული.

*„ცხადია, ძალიან ბევრ ფეხბურთელს ვიცნობდი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 70-80 პროცენტი მუდმივად ტოტალიზატორში თამაშობდა. ისინი ფულს არა მარტო თავიანთი გუნდების თამაშებზე დებდნენ, არამედ ფსონებს რომელიღაც ლიგების რომელიღაც თამაშებზეც ჩადიოდნენ და სხვათა შორის, ძალიან ხშირად იგებდნენ,* - აცხადებს „ზანკტ პაულის“ ყოფილი ფეხბურთელი და იქვე დასძენს, - *ფეხბურთელები აზარტული თამაშებით ისე ერთობოდნენ, რომ ბოლოს ეს ყველაფერი დიდ კომედიას დაემსგავსა. მაგალითად, „ლევერკუზენში“ ყოფნისას, ერთმა მოთამაშემ ვარშავის „ლეგიასთან“ მატჩის წინ თქვა, მოდი, ხუთას-ხუთასი ევრო ჩამოვიდეთ და აეროპორტში ვისი ჩემოდანიც პირველად გამოჩნდება, ჯეკპოტი იმან აიღოსო. ჯეკპოტმა დაახლოებით 10 000 ევრო შეადგინა და ეს ფული ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, რომლის გვარსაც არ დავასახელებ, მართლაც მოიგო.“*

შნიტცლერი ბოლოს ნორდ-რაინ-ვესტფალენის ლიგის წარმომადგენელ „ვეგბერგ-ბეეკში“ თამაშობდა და ერთი მატჩი პირველ ბუნდესლიგაშიც აქვს ჩატარებული (მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მაისურით), „ზანკტ პაულიში“ თავის დროზე იმედები ვერ გაამართლა და გუნდიდან მალევე გაუშვეს. შნიტცლერი თვითონვე ამბობს, ერთხელ „ზანკტ პაულის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰოლგერ სტანისლავსკიმ** მითხრა, პოტენციალით ბუნდესლიგის ფეხბურთელი ხარ, მაგრამ იმდენად უტვინო ხარ, რომ კრაისლიგაშიც ვერ ითამაშებო. დღეს შნიტცლერი უგუნდოდაა...

ბორუსია



ლუკას ბარიოსი თანაგუნდელებს გუშინ შეუერთდა

# კაგავა იქა, ბარიოსი აქა

## დორტმუნდელები მეორე წრისთვის ანდალუსიაში ემზადებიან

სხვებთან ერთად ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მზადება გერმანიის შემოდგომის ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამაც“ დაიწყო. BVB-ს მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** შეგირდები ჯერ დორტმუნდში შეკრიბა და ავარჯიშა, მერე კი ესპანეთში წაასხა. „შავ-ყვითლები“ მოსამზადებელ შეკრებას ანდალუსიაში, კერძოდ, ხერესთან ახლოს მდებარე პატარა საკურორტო დაბაში გაივლიან. პირველ დღეს კლოპმა გუნდის მთავარი გოლეადორი **ლუკას ბარიოსი** მოისაკლისა, რომელიც არგენტინიდან ესპანეთში ერთი დღის დაგვიანებით გაფრინდა. მიზეზი ისაა, რომ ახალ წელს 26 წლის ფორვარდს ვირუსი შეეყარა და თავს იმდენად ცუდად გრძნობდა, რომ ბუენოს აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოში გააქანეს. თუმცა სერიოზული არაფერია და ლუკასმა ესპანეთისკენ გეზი გუშინ აიღო.

სხვა მხრივ, „ბორუსიას“ თავკაცი კლოპი ყველაფრით კმაყოფილია. მისი თქმით, ფეხბურთელები შვებულებიდან საკმაოდ კარგი ფიზიკური კონდიციებით დაბრუნდნენ. კლოპს ესპანეთში ორი ფეხბურთელი აკლია: მარჯვენა მცველი **პატრიკ ოვომოიელა**, რომელმაც ტრავმა ჯერ კიდევ ვერ მოირჩინა და იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** - ეს უკანასკნელი იაპონიის ნაკრების მაისურით აზიის თასზე (7 იანვრიდან 29 იანვრამდე) იასპარეზებს. სამაგიეროდ, გუნდთან ერთადაა და უკვე მსუბუქად ვარჯიშობს „დორტმუნდის“ კაპიტანი **სებასტიან კელი**, მაგრამ მეორე წრის სტარტისთვის მისი სრულფასოვანი დაბრუნება და 14 იანვარს „ლევერკუზენთან“ თამაში მაინც უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა

### ვატცკე: არავის გავყიდით!

ამასობაში, „ბორუსიას“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** იანვარში რომელიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვა კატეგორიულად გამორიცხა და ისიც თქვა, რომ BVB რომელიმე მოთამაშის გასხვისებას არც ზაფხულში დაუშვებს.

*„პირველი წრე იმდენად კარგად ჩავატარეთ, რომ ცხადია, ახლაც და ზაფხულშიც, ევროპული ტოპკლუბები ჩვენს ფეხბურთელებს არაერთი საინტერესო წინადადებით მიმართავენ, მაგრამ მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ „ბორუსია“ წამყვანი მოთამაშეების გაყიდვას არაფრისდიდებით არ დაუშვებს. გუნდის შესუსტება გამორიცხულია,“* - უთხრა ვატცკემ გაზეთ „რურ ნახრიხთენს“.

„ბორუსიას“ შეფმა ისიც თქვა, რომ დორტმუნდელებს გერმანიის ჩემპიონობაზე საუბრის მორალური უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე BVB პირველ ადგილზე იქნება და მეორეადგილოსანთან მინიმუმ შვიდქულიანი უპირატესობა ექნება. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდელებმა გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე 43 ქულით მოიგეს და მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ „ლევერკუზენსა“ და „მაინცს“ ათი ქულით აჯობეს.

შალკე

# ფარფანი გარბის!

## ატლეტიკო, სევილია თუ ვალენსია?

**ჯეფერსონ ფარფანმა** მთელი გელზენკირხენი გაანაწყენა - „შალკეს“ ერთ-ერთმა ლიდერმა მშობლიურ გაზეთს უთხრა, რომ გელზენკირხენული კლუბიდან წასვლა უნდა და რომ საკმაოდ საინტერესო შეთავაზებები აქვს. *„შალკედან“ აუცილებლად წავალ, რადგან ძალიან კარგი შემოთავაზება მაქვს,“* - განუცხადა 26 წლის ფარფანმა პერუულ გაზეთ „ლიბეროს“.

ფარფანი პერუდან გელზენკირხენში გუშინ დაგვიანებით დაბრუნდა და „შალკეს“ პირველ ვარჯიშზე არ გამოჩენილა. ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, მას „ხუმარების“ მთავარ მწვრთნელ **ფელიქს მაგათთან** შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. ფარფანმა არც ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრის დროს დამალა, რომ „შალკედან“ წასვლა უნდა: *„ფელიქს მაგათს ყველაფერზე გულახდილად დაველაპარაკები. იმასაც ვეტყვი, რომ ძალიან საინტერესო შემოთავაზება მაქვს. გელზენკირხენში ჩამოსვლაც სწორედ ამიტომ დამაგვიანდა,“* - თქვა პერუელმა გარემარბმა.

„შალკეს“ ფეხბურთელს, რომელიც გელზენკირხენელ ქომაგებს ძალიან უყვართ, არ დაუკონკრეტებია, რომელი კლუბი ეპატიჟება - ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, თუ სად მინდა გადასვლაო. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, საუბარია მადრიდის „ატლეტიკოზე“, „სევილიაზე“ ან „ვალენსიაზე“. ფარფანის გადაბირების სურვილი სწორედ ამ ესპანურ კლუბებს აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულში ფარფანის გადაბირება „ვოლფსბურგს“ უნდოდა.



ჯეფერსონ ფარფანმა ფელიქს მაგათს გულახდილად უთხრა, რომ გელზენკირხენიდან წასვლა უნდა

ბაიერნი

# ლუის გუსტავოს ნათლობა

## რობენმა ვარჯიში დაიწყო, ბაიერნმა ტრანსფერები დახურა

ორშაბათს ნაშუადღევს კონტრაქტს ხელი მოაწერა, საღამოს მენეჯერ **კრისტიან ნერლინგერთან** ერთად ყატარში გაფრინდა და ახალ თანაგუნდელებს შეუერთდა, სამშაბათს კი უკვე პირველად ივარჯიშა - გუშინ „ბაიერნში“ ბრაზილიელი **ლუის გუსტავოს** „ნათლობა“ შედგა.

დოჰაში ჩასატარებელ პირველ ვარჯიშამდე, საუზმის დროს, 23 წლის ბრაზილიელ საყრდენს „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** ოფიციალურად მიესალმა და ლუის გუსტავოც ძალიან ბედნიერი ჩანდა. „ჰოფენჰაიმიდან“ 15 მილიონ ევროდ ნაყიდმა ნახევარმცველმა ინტერვიუებიც ჩამოარიგა და ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა – „ბაიერნში“ თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და მიხარია, რომ ოცნება ამიხდაო.

გუშინვე გუნდთან ერთად ივარჯიშა **არიენ რობენმაც**, რომელსაც მიმდინარე სეზონში „ბაიერნის“ რიგებში არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია. ოღონდ ჰოლანდიელი დრიბლიორი ჯერჯერობით მაინც სპეციალური პროგრამით ვარჯიშობს. თუმცა 26 წლის ვარსკვლავი დღეს-ხვალ სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებს და შაბათს, დოჰას გუნდის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში უნდა იასპარეზოს. შესაბამისად, რობენმა თამაში წესით ბუნდესლიგის მეორე წრის პირველ ტურშიც (15 იანვარს, ვოლფსბურგთან) უნდა შეძლოს.

სრული დატვირთვით ვერც **მარიო გომესი** ვარჯიშობს, რომელმაც ამ სეზონში 24 ოფიციალურ მატჩში 20 გოლის გატანა შეძლო. მარიო დეკემბრის მიწურულს, „შტუტგარტთან“ მატჩში (გერმანიის თასი) დაშავდა. გომესი სრული დატვირთვით ვარჯიშს მხოლოდ ხუთშაბათს მოახერხებს. შესაბამისად, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მეორე წრის სტარტს სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს.

გუშინ „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც კალემ აღნიშნა, რომ „ბაიერნი“ იანვარში სხვა ფეხბურთელების ყიდვას არ აპირებს. გუშინ ეს ინფორმაცია დოჰაში ჩასულმა ნერლინგერმაც დაადასტურა. მისი თქმით, ლუის გუსტავოს ტრანსფერით რეკორდმაისტერის სატრანსფერო აქტივობა იანვარში ამოწურულია. ნერლინგერმა ისიც თქვა, რომ თუ „ბაიერნის“ რომელიმე ფეხბურთელი უკმაყოფილოა და გუნდიდან წასვლა უნდა, შეუძლია, ეს გულახდილად თქვას და კლუბის ხელმძღვანელები მას ტრანსფერში ხელსაც შეუწყობენ, მაგრამ ნერლინგერის თქმით, წასვლის სურვილი ჯერ არც ერთ მოთამაშეს არ გამოუთქვამს. საბოლოოდ გადაწყდა ისიც, რომ **დიეგო კონტენტო** და **მარკ ვან ბომელი** „ბაიერნში“ რჩებიან.

ამბები

### ჰოფენჰაიმს ბაც დატოვებს?

მიუნხენის „ბაიერნში“ გადასული **ლუის გუსტავოს** შემდეგ, შესაძლოა, „ჰოფენჰაიმი“ წამყვანმა თავდამსხმელმა **დემბა ბამაც** დატოვოს. ინგლისური და გერმანული პრესის ცნობით, სენეგალელ ფორვარდს „ვესტ ჰემი“ ეპატიჟება. ფეხბურთელის მრჩეველმა **რან რონენმა** დაადასტურა, რომ „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელები ბას თაობაზე შეეხმიანენ და სენეგალელის ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. მისი თქმით, დემბა ბას ძალიან უნდა პრემიერლიგაში თამაში, მაგრამ თავს „ჰოფენჰაიმშიც“ საკმაოდ კარგად გრძნობს.

ამასობაში ფრანგულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰოფენჰაიმელებმა უკვე დაიწყეს ბას შემცვლელის ძებნა და მზერა „მონაკოს“ ფორვარდ **დიუმერსი მბოკანისკენ** მიმართეს. „ჰოფეში“ გადასვლის კანდიდატია „სენტ ეტიენის“ თავდამსხმელი **ემანუელ რივიერიც**.

### იუვეს ჰუნტელაარი მოუნდა

როგორც იცით, „შალკეს“ ტურინის „იუვენტუსის“ საყრდენი ნახევარმცველის, **მოჰამედ სისოკოს** გადაბირება უნდა და ამას წინათ ისიც გაცნობეთ, რომ გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** „ბებერ ქალბატონს“ სისოკოს **ივან რაკიტიჩში** გაცვლა შესთავაზა. მაგრამ „იუვეს“ რაკიტიჩი არ სჭირდება, რადგან ეს უკანასკნელი გამთამაშებელია, ტურინელთა თავკაცი **ლუიჯი დელნერი** კი ფლეიმეიქერზე უარს ამბობს. რაკი „შალკე“ სისოკოში ფულის გადამხდელი არ ჩანს („ხუმარებს“ ისედაც ფინანსური კრიზისი აქვთ), ტურინულმა გრანდმა „შალკეს“ გაცვლის ახალი ვარიანტი შესთავაზა და სისოკოს სანაცვლოდ, ფულის დამატებით, ჰოლანდიელი გოლეადორი **კლაას-იან ჰუნტელაარი** მოსთხოვა. ეს ინფორმაცია გუშინ იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ გაავრცელა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი



რონალდომ უკვე 19 გოლი გაიტანა

ლა ლიგა. ტურის რჩეულნი

# საოცარი 46 46

## იშვიათი ესპანური ტური

ვინ გამოირჩა ესპანური პრიმერადივიზიონის მე-17 ტურის მატჩებში? დღეისათვის, მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საიტი Goal.com თავის ვერსიას გვთავაზობს. მაშ ასე, ახალი წლის პირველი სიმბოლური ნაკრები შემტევი ტაქტიკური სქემით (4-3-3) არის შედგენილი. უპს... სიმბოლურში **ლეო მესი** არაა, მაგრამ ამას მარტივი ახსნა აქვს, არგენტინელ სუპერვარსკვლავს არ უთამაშია... პირველად მოხდა რჩეულთა შორის ამდენი ესპანელი - ერთბაშად 6...

### მეკარე

**ტონიო** (რასინგი): სანამ „ვისენტე კალდერონზე“ ითამაშებდნენ, „ლოს ვერდიბლანკოსის“ აქტივში მხოლოდ 4 ქულა იყო საგარეო მატჩებში. ამ მონაგარს „რასინგმა“ კიდევ ერთი დაუმატა, რაც დიდწილად მათი გოლკიპერის დამსახურებაა. მისი სწრაფი რეფლექსები კანტაბრიულ კლუბს ორჯერ გამოადგა, როცა ტონიომ აშკარა გოლისგან იხსნა სტუმართა გუნდი, ჯერ **სერხიო აგუეროს** დარტყმისას, შემდეგ კი **დიეგო კოშტას** შეტევისას. დიეგო კოშტა ბოლო წამებზე დაემუქრა „რასინგის“ კარს, ასე რომ, რომ არა ტონიო, მორიგი მარცხი გარანტირებული იყო.

### მცველები

**დანი ალვეში** (ბარსელონა): ბრაზილიელ მცველს ნამდვილად აკლია ის პლასტიკა და აკურატულობა, რაც მისი თანაგუნდელების უმეტესობისათვის დამახასიათებელი თვისებაა. მიუხედავად ამისა, დანი ალვეში მცველებში ყველაზე კარგი მეპასეა - უბრალოდ, იმდენად აქტიურია, იმდენჯერ აწოდებს, რომ მის აქტიურობას შედეგი მაინც მოაქვს... მით უფრო, ასეთი პარტნიორების წყალობით. დანი ალვეშის ფასი განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა წასაგებად განწირულ მეტოქეს სხვა არაფერია დარჩენია გარდა იმისა, რომ „ჩაიკეტოს“ (როგორც ამ ტურში „ლევანტე“). ამ დროს დანი ალვეში ფაქტობრივად დამატებითი გარემარბია. ორივე საგოლე პასი **პედროს** მან გადააწოდა.

**პაბლო სენდროსი** (მალიორკა): ეს ახალი სახეა ჩვენს სიმბოლურ ნაკრებში. კუნძულელებმა 4-მატჩიანი წაგებათა სერია დაძლიეს და 3:0 მოუგეს „ერკულესს“. ამ შეხვედრაში 23 წლის სენდროსმა მასპინძელთა გუნდში საუკეთესოს პრიზი მიიღო. სტოპერს ენდობა **მიქაელ ლაუდრუპი** და სენდროსიც უმართლებს დანიელ თავკაცს.

**ველიგტონი** (მალაგა): „ლოს ბოკერონესს“ ლა ლიგაში ყველაზე ცუდი დაცვის ხაზი აქვს, თუმცა ველიგტონი მართლა კარგი მცველია და ეს მას ბევრჯერ დაუმტკიცებია. „ელ მონინონზე“ ბრაზილიელის კარგმა თამაშმა **მანუელ პელეგრინის** გუნდის წარმატება განაპირობა. ველიგტონმა გოლიც გაიტანა და დაცვაში გუნდის ლიდერობა იტვირთა. შემდეგ ტურში ველოდოთ ველიგტონისა და **მარტინ დემიკელისის** წყვილს, ეს უკვე საინტერესოა...

**მარიუს სტანკევიჩიუსი** (ვალენსია): „სამპდორიას“ მცველი, რომელიც ესპანეთში იჯარით თამაშობს, თავიდან ვერ შეეწყო „ვალენსიას“ და სასტარტოში მოხვედრა უჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველას უჩვენა ბალტიელმა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. „ესპანიოლთან“ მატჩი მის ვალენსიურ კარიერაში ჯერჯერობით საუკეთესოა.

### ნახევარმცველები

**მიშელ პერეირა** (მალიორკა): ფრანგმა ამ სეზონში გრძელი გზა გაიარა „მალიორკას“ სარეზერვო გუნდიდან სასტარტო შემადგენლობამდე. „ერკულესთან“ თამაშში პერეირამ დაამტკიცა, რომ ლაუდრუპმა სწორად დააწინაურა ეს ნახევარმცველი. ფრანგის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია (რომლის წყალობითაც ნსუემ გაიტანა). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გოლი, რომელიც ძალიან ლამაზი გამოდგა.

**ხესუს ნავასი** (სევილია): „სევილიას“ თავისი ლიდერი დაუბრუნდა... როგორც იქნა! და კლუბმაც 5-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულა. მსოფლიოს ჩემპიონს სამი თვეა ფეხბურთი არ უთამაშია, თუმცა „ოსასუნასთან“ მატჩში ეს მას სულაც არ ეტყობოდა. ნავასი ყველაზე აქტიური, კრეატიული და სახიფათო იყო მასპინძელთა რიგებში, **ფრედერიკ კანუტემ** მისი საფირმო ჩაწოდების წყალობით გაიტანა გამარჯვების გოლი.

**ბორხა ვალერო** (ვილიარეალი): „ვილიარეალი“ ძალიან კარგ ფორმაშია, **გარიდოს** გუნდს ცალკეული ვარსკვლავების გამოკლებაც არ შეეტყო. ამ თამაშში მონაწილეობა ვერ მიიღეს **ნილმარმა** და **მარკოს სენამ**, მაგრამ ვალენსიელებმა ძალების დაზოგვით სძლიეს „ალმერიას“ 2:0. ლიდერის ტვირთი კი თავის თავზე ბორხა ვალერომ აიღო, რომელმაც ლამის მარტომ დატანჯა ანდალუსიელი სტუმრები. გოლი და საგოლე პასი ბორხას შესრულებით, ორივე სტანდარტული მდგომარეობიდან. უნარიანად ხელმძღვანელობდა „წყალქვეშა ნავის“ შეტევებს.

### თავდამსხმელები

**პედრო** (ბარსელონა): ჩემპიონებმა 2011 წელი მძიმედ დაიწყეს „კამპ ნოუზე“. „ლევანტეს“ წინააღმდეგ ორი ფეხბურთელის გამოყოფა თუ შეიძლება, ერთზე უკვე დავწერეთ, მეორე კი დუბლის ავტორი პედროა... „დონ პედრო“, როგორც მას „მარკამ“ ამ შეხვედრის მერე უწოდა. „ბლაუგრანას“ 3 ქულა პედრომ მოუპოვა.

**ადრიან ლოპესი** (დეპორტივო): ადრიანს დიდი ფეხბურთელის პოტენციალი აქვს, ტყუილად კი არ თამაშობს რეგულარულად ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ ამ სეზონში აქამდე მხოლოდ 2 გოლი ჰქონდა გატანილი. მიზეზი კი უფრო კლუბია, წლევანდელი „დეპორტივო“ ტაქტიკურად გამართულ, მაგრამ ერთობ უფერულ და დაცვით ფეხბურთს თამაშობს. თქვენ წარმოიდგინეთ და... ლიბეროთი. მისმა აქტიურობამ სტუმრებს ფეხბურთელი (**მიკელ სან ხოსე**) გაუძევა, მან კი პრიმერადივიზიონში კარიერაში პირველი დუბლი შეასრულა.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი): Goal.com-ის მიერ მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ფეხბურთელმა მადრიდულ დერბიში დუბლი შეასრულა. მან ჯერ პენალტით გამოიჩინა თავი, რის შემდეგაც „რეალმა“ გაილაღა, შემდეგ კი მეორე ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა. პორტუგალიელმა ამ სეზონში 17 მატჩში 19 გოლი გაიტანა, სულ კი (რაც პრიმერაში თამაშობს) 46-ში - 46! ტურის საუკეთესო ფეხბურთელია.

სხვები, რომელთაც სულ ცოტა დააკლდა რჩეულებში მოხვედრამდე: **ხუან მატა** (ვალენსია), **დანიელ პარეხო** (ხეტაფე), **მიკელ რობუსტე** (ლევანტე), **ელიზეუ** (მალაგა), **ბრაულიო** (სარაგოსა), **ანხელ დი მარია** (რეალი).

ტურის საუკეთესო ფეხბურთელმა 8-ჯერ დაარტყა „ხეტაფეს“ კარისკენ (3-ჯერ ზუსტად) და 2 გოლი გაიტანა, მისი 36 პასიდან 26 ზუსტი იყო, 10-ჯერ დაკარგა ბურთი და 2-ჯერ მოიპოვა, მის წინააღმდეგ სამჯერ დაჯარიმდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრანგული ტრანსფერები

# დიდი მიდი-მოდი ნაახალწლევს

იანვრის პირველი რიცხვები ევროპულ სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის შინაარსიანია ხოლმე და გამონაკლისი არც 2011 წლის დასაწყისია. სხვა ქვეყნების მსგავსად, უკვე რამდენიმე ტრანსფერი განხორციელდა საფრანგეთშიც.

“ოსერის” მწვრთნელმა **ჟან ფერნანდესმა** დიდი ხნის სურვილი აისრულა სამხრეთკორეული “სეულიდან” 26 წლის თავდამსხმელი **იუნგ იო-გუკი** შეიძინა. ამ უკანასკნელს, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების სტაჟიანი წევრია, “ოსერის” მთავარი ბომბარდირის, დაშავებული **ირენეუშ იელენის** სრულფასოვანი შეცვლა დაეკისრება. იუნგი საფრანგეთის მთავარ ლიგაში მესამე კორეელი იქნება მონაკოელი **პარკ ჩუ-იუნგისა** და ვალენსიენელი **ნამ ტაეჰეს** შემდეგ.

*“როცა ევროპაში აზიელი ფეხბურთელები ჩამოდიან, ბევრს უჩნდება კითხვა, შეძლებენ თუ არა ისინი აქაურ გარემოსთან ადაპტაციას. ეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იუნგს ფრანგულ ფეხბურთთან გაშინაურება არ გაუჭირდება. სანამ მის შეძენას გადავწყვეტდით, ბევრი ვიმსჯელეთ, ვნახეთ ვიდეოჩანაწერები, მის თამაშებზე დასაკვირვებლად კორეაში გავგზავნეთ სკაუტები და დავრწმუნდით, რომ საქმე მაღალი დონის შემსრულებელთან გვქონდა. ყველაფერთან ერთად, იუნგმა კარგად იცის ინგლისური, რაც თანაგუნდელებთან ურთიერთობისას გამოადგება”*, - ამბობს ფერნანდესი.

“რენმა” “ლანსისგან” 23 წლის ტოგოელი შემტევი ნახევარმცველი **რაზაკ ბუქარი** შეიძინა. იგი “ლანსში” 2006 წლიდან მოყოლებული ასპარეზობდა, ფრანგული კარიერა კი “შატორუში” დაიწყო.

“ლანსის” პრეზიდენტმა **ჟერვე მარტელმა** იმ მიზეზებზე ისაუბრა, რამაც მის კლუბს ბუქარის გასხვისება გადააწყვეტინა: *“ეს ნაბიჯი გადავდგით როგორც ფინანსური, ასევე სპორტული ასპექტების გამო. “რენისგან” ხელსაყრელი შეთავაზება მივიღეთ, გარდა ამისა, ბუქარიმ ჩვენთან ოთხ წელიწადზე მეტი გაატარა და ვიცოდით, რომ სიტუაციის შეცვლა სურდა. თანაც, ჩვენთან საკმაოდ მაღალი კონკურენციაა და დარწმუნებული ვარ, მისი წასვლა არ დაგვეტყობა”*.

**კევინ გამეიროს** “ლორიენი” ჯერ არ დაუტოვებია, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ 23 წლის ნახევარმცველი საფრანგეთიდან რამდენიმე დღეში წავიდეს და კარიერა უფრო ძლიერ ლიგაში გააგრძელოს. მოსალოდნელია, რომ მას მალე ინგლისურ პრემიერლიგაში ვიხილავთ. პორტუგალიური წარმოშობის შემტევმა ნახევარმცველმა საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატში 17 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

წლის პირველი ტრანსფერი საფრანგეთში 1 იანვარს განხორციელდა – 36 წლის მეკარე **რონან ლე კრომი**, რომელიც ზაფხულში “გრენობლიდან” წამოსვლის შემდეგ უკლუბოდ იყო, თავისუფალი აგენტის სტატუსით “ნანსის” შეუერთდა. ცნობისათვის, ლე კრომი “ოსერის” აღზრდილია და მთელი კარიერა საფრანგეთში აქვს გატარებული. “ოსერისა” და “გრენობლის” გარდა, მას “შატორუში”, “ვალანსში”, “გინგამში”, “სენტ ეტიენში”, “ტრუასა” და “ლანსში” უთამაშია, მოკლედ, ფრანგული ელიტის კლუბების ლამის ნახევარი აქვს შემოვლილი.

ლე კრომის მსგავსად, ნახევარი წლის განმავლობაში უქმად იყო 29 წლის საყრდენი **იოან ჰოტკერი**. ბოლოს იგი “სენტ ეტიენში” ასპარეზობდა, ამიერიდან კი საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში **გიორგი მაკარიძისა** და **ამირან სანაიას** თანაგუნდელი გახდება და “ლე მანის” ღირსებას დაიცავს.

“ტულუზმა” 19 წლის პანამელი მეკარე **ლუის ანხელ მეხია** იყიდა, “კაენს” თავისუფალი აგენტის სტატუსით 32 წლის შუახაზელი **გრეგორი პრომენი** შეუერთდა, 21 წლის კამერუნელი კიპერი **ჟიულ გოდა** კი “ბასტიადან” “მარსელში” გადავიდა, სადაც **სტივ მანდანდას** დუბლიორი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**





რენის ახალწვეული რაზაკ ბუქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სავარაუდო ტრანსფერი

# ბეილისიმო

## ბეილს იტალიელთა რიგი დაუდგა, უქმად არც რეალი და მანჩესტერი არიან



სულაც არ იქნება გასაკვირი, მომავალი სეზონიდან **გარეთ ბეილს** "ტოტენჰემზე" უფრო სახელოვან კლუბში თუ ვიხილავთ. 21 წლის უელსელმა მარცხენაფლანგელმა ხომ მიმდინარე სეზონში ნამდვილი ფურორი მოახდინა – ჩემპიონთა ლიგაზე გამართულ 6 მატჩში 4 გოლი გაიტანა, პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში კი მოედანზე 20-ჯერ გავიდა და თავი 7-ჯერ გამოიჩინა.

დღეისთვის ბეილის შესაძენად ყველაზე მეტად იტალიელები აქტიურობენ. ესენი არიან "ინტერი", რომელსაც ჩემპიონთა ლიგაზე უელსელმა ჰეთ-თრიქი შეუსრულა, "მილანი" და "იუვენტუსი". თუმცა იტალიური და ბრიტანული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ტრანსფერის იანვარში განხორციელება გამორიცხულია და რეალური მხოლოდ ისაა, რომ ბეილმა კლუბი ზაფხულში შეიცვალოს.

ისე როგორ იქნებოდა, ახლად ამობრწყინებული ვარსკვლავით "რეალი" არ დაინტერესებულიყო. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბეილისთვის ბრძოლაში იტალიელთა მთავარი კონკურენტი სწორედ სამეფო კლუბი იქნება. როგორც ამბობენ, **ჟოზე მოურინიო** გარეთით ძალიან მოხიბლულია და "რეალის" შეფებს მის შეძენას დაჟინებით სთხოვს. ბეილის მიახლოებითი სატრანსფერო ღირებულება 20 მილიონ ევროს შეადგენს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის დასრულების შემდეგ მისი ფასი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

რა თქმა უნდა, ბეილს უყურადღებოდ არც ინგლისური გრანდები ტოვებენ. მის სახელს ყველაზე ხშირად "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ახსენებენ.

„ვადასტურებ „იუვენტუსის“ ინტერესს, მაგრამ მოლაპარაკება მიდის არა იანვარზე, არამედ ივნისზე. „ინტერი“ და „მილანიც“ დაინტერესებულნი არიან ბეილის ყიდვით“, - ბეილის აგენტმა **პეპინო ტირიმ** „ილსუსიდიარიოს“ განუცხადა. ტირის თქმით, არც ერთ იტალიურ კლუბს არ შეუძლია ახლა 20 მილიონის გადახდა, ერთადერთი გუნდი, რომელსაც უელსელის შეძენა ზამთარშივე შეუძლია „რეალია“: „სამეფო კლუბი“ ერთადერთი, რომელსაც ამის თავი იანვარშივე აქვს, თანაც მადრიდელები საამისოდ მონდომებულნიც არიან, ჟოზე მოურინიოს კი მისი სურვა ძალიან სურს გუნდში“.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რონალდინიო გრემიოს შეუთანხმდა

**რონალდინიოს** ძმა და აგენტი **რობერტო დე აშისი** "გრემიოს" ხელმძღვანელებს შეხვდა, რომლებთანაც კონტრაქტის ყველა დეტალი შეათანხმა. შეგახსენებთ, "მილანი" 30 წლის რონალდინიოს გასხვისების წინააღმდეგია, მაგრამ ბრაზილიელს სამშობლოში დაბრუნება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ფაქტია, რომ ეს ტრანსფერი ნელ-ნელა მწიფდება. შესაძლოა, "მილანის" შეფებმა პოზიცია **ანტონიო კასანოს** შეძენის შემდეგ შეცვალონ და რონალდინიო აღარ დააბრკოლონ. მოკლედ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, წესით, დღე-დღეზე იგი მშობლიურ კლუბს უნდა დაუბრუნდეს.

"მილანში" დარჩენის მსგავსად, რონალდინიოსთვის საინტერესო არც ინგლისური "ბლექბერნის" შეთავაზება აღმოჩნდა.

P.S. ნუხელ იტალიურმა მედიამ გამოაცხადა, რომ რონალდიონიომ „გრემიოსთან“ კონტრაქტი სრულად შეათანხმა და ეს გარიგება უახლოეს საათებში ოფიციალურად გამოცხადდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



რონალდინიოს დიდი ევროპული ეპოქა დასრულდა

● ამბები

## კაკა: მეგონა, ყველაფერი დასრულდა

„რეალის“ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი **კაკა** უზომოდ გახარებულია, რომ ფეხბურთს დაუბრუნდა. მან „ხეტაფესთან“ მატჩის შემდეგ, რომლის ბოლო 20 წუთამდე ითამაშა, ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ დარწმუნებული არ იყო ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებას თუ შეძლებდა:

*„ერთი სული მქონდა, როდის გამოვიდოდი სათამაშოდ. ძალიან გახარებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე სულ რაღაც 20 წუთი გავატარე. ეს რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა, თითქოს, კარიერას თავიდან ვიწყებ. მით უფრო, რომ „ხეტაფესთან“ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ახლა მინდა გამოგიტყდეთ, რას ვგრძნობდი ამ პერიოდის განმავლობაში - ძალიან ხშირად მიპყრობდა შიში, რომ ვერასოდეს შევძლებდი თამაშს. მთელმა ჩემმა ოჯახმა იცოდა, რას ვგრძნობდი და გვერდში მედგა, მაგრამ მაინც რთული იყო ცხოვრება ამ საშინელი შეგრძნებით, რომ ყველაფერი დასრულდა“*, - განაცხადა კაკამ თამაშის შემდეგ. ახლა კაკა სხვას უდგას მხარში, მას სურს თანაგუნდელი **გონსალო იგუაინი** გაამხნევოს, რომელსაც სეზონის ბოლომდე არ მოუწევს თამაში: *„როცა ძალიან სერიოზულ ტრავმას იღებ, თავს ძალიან მარტო გრძნობ. მინდა გონსალომ იცოდეს, რომ მე მასთან ვარ და მსურს რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს მწვანე მინდორს“*.

## მილიტო მიდის

„ბარსელონას“ დამრიგებელმა **ხოსეპ გვარდიოლამ** დაადასტურა, რომ იანვარში გუნდი შეიძლება **გაბრიელ მილიტომ** დატოვოს. *„ჯერ ჩვენ ამის შესახებ არ გვისაუბრია, სუბისარეტამ კი ამიხსნა სიტუაცია გაბის შესახებ - მას თამაში სწყურია. მილიტომ იცის ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, ამიტომ არჩევანის უფლება თავად მას აქვს. მე მას ხელს არ შევუშლი“*, - განაცხადა პეპმა „ბარსელონას“ ოფიციალურ საიტთან საუბარში.

მანამდე გავრცელდა ცნობა, რომ არგენტინელი ცენტრალური მცველი იჯარით იტალიაში გადავა, კერძოდ კი „ჯენოაში“, სადაც საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** თამაშობს. *„ამ კლუბში გადაწყვეტილებების დიდ ნაწილს ხელმძღვანელობა იღებს, ნაწილს - მე, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა გაბის თავად შეუძლია განსაზღვროს თავისი მომავალი. მე მესმის მისი ძალიან კარგად, ფეხბურთელი ვიყავი და არ მეშლება იმის გამოცნობა, რას გრძნობს ფეხბურთელი, როცა კლუბს ნაკლებად სჭირდება, ვიდრე ადრე“*.

## აფელაი, ეგრევე ომში

„ბარსელონას“ ახალწვეულის, **იბრაჰიმ აფელაის** დებიუტი ესპანეთის სამეფო თასზე შედგება, ხოსეპ გვარდიოლამ ის ბილბაოს „ატლეტიკთან“ დღევანდელი საპასუხო მატჩის განაცხადში შეიყვანა. თამაშისთვის ემზადება **ლეო მესიც,** რომელსაც 2-3 დღით მეტი დასვენების უფლება მისცეს. გვარდიოლა გაახარა ცნობამ, რომ კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა და თამაში კვლავ შეუძლია. შეგახსენებთ, რომ კატალონიელთა და ბასკთა პირველი მერვედფინალური დაპირისპირება „კამპ ნოუზე“ უგოლოდ დასრულდა. ასე რომ, „ბლაუგრანა“ თასიდან გავარდნის საფრთხის წინაშეა. 20-კაციან შემადგენლობაში, რომელიც ბილბაოში გაემგზავრა, მოხვდა **ტიაგო ალკანტარა**, მაგრამ არ არის ბრაზილიელი **მაქსველი**, რომელმაც „ლევანტესთან“ შეხვედრაში საზარდული დაიზიანა.

## დრენტეზე ან არაფერი...

„ერკულესმა“ ბოლო ტურში გამანადგურებელი მარცხი იწვნია „მალიორკასთან“ - 0:3 ალიკანტეელებს ამ შეხვედრაში ჰოლანდიელი **როისტონ დრენტე** აკლდათ, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობასთან ფინანსური დავა აქვს. დრენტე „რეალის“ საკუთრებაა, ვალენსიურ კლუბში კი იჯარით თამაშობს და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საუკეთესოა გუნდში.

თამაშის შემდეგ „ერკულესის“ თავკაცმა **ესტებან ვიგომ** დრენტეს შესახებ საუბარი არ ისურვა, ეს კაცი არ მიხსენოთ: *„სანამ დრენტე ვარჯიშს არ განაახლებს, მასთან ლაპარაკს არ ვაპირებ და კარგი იქნება, თუკი მის შესახებ კითხვებსაც არ დამისვამთ“*, - განაცხადა ვიგომ - *„ძნელია, ზუსტად ავხსნა რა მოხდა აქ, პირველმა ორმა გოლმა ბოლო მოგვიღო. მთავარია, ამ წაგებიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ, თორემ კატასტროფული „მალიორკასთან“ მარცხი სულაც არ არის“*.

სხვათა შორის, დრენტე უკვე გამოცხადდა კლუბში, მაგრამ ვარჯიშის განახლებამდე კლუბის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ითხოვს. მოკლედ, ჰოლანდიელის მომავალი „ერკულესში“ ისევ ბურუსით მოცულია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტური



# ნანიშოუ ოლდ ტრეფორდზე

## მაიკლ ოუენის დაბრუნება

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთპიროვნული ლიდერია, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, სანამ დღეს „სიტი“ „არსენალს“ „ემირეიტსზე“ ესტუმრება - სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხა „სტოკი“. შოტლანდიელმა სპეციალისტმა **რიო ფერდინანდსა** და **უეინ რუნის** დასვენების საშუალება მისცა, სამაგიეროდ მატჩის მიწურულს მოედანზე **მაიკლ ოუენი** ვიხილეთ.

„მანჩესტერის“ წაუგებელი სვლა გრძელდება, ამ მატჩში ანგარიში „ჩიჩარიტომ“, ანუ **ხავიერ ერნანდესმა** გახსნა, მაგრამ სტუმართა შემართებამ შედეგი გამოიღო - **დინ უაითჰედი პარტის ევრასა** და **ნემანია ვიდიჩს** დაუძვრა და წონასწორობა აღადგინა. უაითჰედმა სამუდამოდ დაიდო „სტოკის“ ისტორიაში ადგილი - 1980 წლის შემდეგ ამ გუნდს „ოლდ ტრეფორდზე“ გოლი არ გაეტანა. ლიდერს 3 ქულა პორტუგალიელმა ნანიმ მოუტანა, 62-ე წუთზე ერნანდესის ჩაწოდების შემდეგ პორტუგალიელი **დენი კოლინზს** დაუძვრა და მეტოქის კარი დალაშქრა. სხვათა შორის, ამ მატჩში კარში ზუსტად სულ სამჯერ დაარტყეს და გოლი სამჯერვე გავიდა. მოკლედ, **ტომაშ კუშჩაკსა** და მის ვიზავი **ასმირ ბეგოვიჩს** სათქმელი არაფერი აქვთ. „ფულჰემი“ დამაჯერებელი მოგებით გასავარდნ ზონას დაუძვრა, ხოლო „ბირმინგემმა“ სტუმრად ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ბლექპული-ბირმინგემი 1:2

**ბლექპული (4-4-2):** კინგსონი - ერდლი, კესკარტი, ევატი, კრეინი - ფილიპსი (71. ორმეროდი), ვოუენი, ედამი, ვორნი (83. საუთერნი) - ტეილორ-ფლეტჩერი (71. იუელი), კემპბელი.

**ბირმინგემი (4-4-2):** ფოსტერი - კარი, ჯონსონი, დენი, რიჯუელი - ჰლები (82. ფილიპსი), გარდნერი, ფერგიუსონი, ფეჰეი (58. ლარსონი) - დერბიშირი (76. ბოსეჟური), კამერონი.

**გოლები:** 0:1 ჰლები (24), 1:1 კემპბელი (68), 1:2 დენი (89)

**გაფრთხილება:** ფოსტერი

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 24-16 (9-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 14 550

### ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი 3:0

**ფულჰემი (4-4-2):** სტოკდეილი - პენტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, ბერდი - დევისი (82. რიისე), მერფი, ეტუჰუ, დაფი - დემპსი (87. ჯონსონი), კამარა (62. გერა).

**ვესტ ბრომვიჩი (4-5-1):** კარსონი - ჰერსტი, ზუივერლოონი, ხარა, ჩეხი (34. შორი) - მორისონი (69. კოქსი), მულუმბუ (62. ფორჩუნი), ბრანტი, დორენსი, ტომასი - ოდემვინგიე.

**გოლები:** 1:0 დევისი (45), 2:0 დემპსი (56), 3:0 ჰანგელანდი (65)

**გაფრთხილება:** ოდემვინგიე

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 7-11; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 13-16 (5-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 23 554

### მანჩესტერ იუნაიტედი-სტოკი 2:1

**მანჩესტერი (4-4-2):** კუშჩაკი - რაფაელი, ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა - ნანი, ფლეტჩერი, გიბსონი (78. ქერიკი), გიგზი - ხ. ერნანდესი (78. ოუენი), ბერბატოვი.

**სტოკი (4-4-2):** ბეგოვიჩი - უილკინსონი, ჰუთი, შოუკროსი, კოლინზი - დელაპი (69. უოლტერსი), უილსონი, უაითჰედი, ეთერინგტონი (69. პენანტი) - ჯონსი (76. ფულერი), შანლი.

**გოლები:** 1:0 ხ. ერნანდესი (27), 1:1 უაითჰედი (50), 2:1 ნანი (62)

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 6-11; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 19-5 (2-1); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 73 401

### დღეს

| | |
|---|---|
| არსენალი-მანჩესტერ სიტი | 23:45 |
| ასტონ ვილა-სანდერლენდი | 23:45 |
| ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 23:45 |
| ვულვერჰემპტონი-ჩელსი | 23:45 |
| ბლექბერნი-ლივერპული | 00:00 |
| ბოლტონი-უიგანი | 00:00 |
| ევერტონი-ტოტენჰემი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ. | 20 | 12 | 8 | 0 | 43-19 | 44 |
| 2. სიტი | 21 | 12 | 5 | 4 | 33-16 | 41 |
| 3. არსენალი | 20 | 12 | 3 | 5 | 42-22 | 39 |
| 4. ტოტენჰემი | 20 | 10 | 6 | 4 | 30-23 | 36 |
| 5. ჩელსი | 20 | 10 | 5 | 5 | 36-18 | 35 |
| 6. სანდერლენდი | 21 | 7 | 9 | 5 | 24-22 | 30 |
| 7. ბოლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 33-28 | 29 |
| 8. სტოკი | 21 | 8 | 3 | 10 | 26-26 | 27 |
| 9. ლივერპული | 19 | 7 | 4 | 8 | 23-24 | 25 |
| 10. ნიუკასლი | 20 | 7 | 4 | 9 | 29-31 | 25 |
| 11. ბლექპული | 19 | 7 | 4 | 8 | 27-32 | 25 |
| 12. ბლექბერნი | 21 | 7 | 4 | 10 | 26-34 | 25 |
| 13. ფულჰემი | 21 | 4 | 10 | 7 | 22-24 | 22 |
| 14. ევერტონი | 20 | 4 | 10 | 6 | 21-24 | 22 |
| 15. ბირმინგემი | 20 | 4 | 10 | 6 | 20-25 | 22 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 6 | 4 | 11 | 26-39 | 22 |
| 17. ასტონ ვილა | 20 | 5 | 6 | 9 | 23-37 | 21 |
| 18. ვესტ ჰემი | 21 | 4 | 8 | 9 | 22-33 | 20 |
| 19. უიგანი | 20 | 4 | 8 | 8 | 17-32 | 20 |
| 20. ვულვზი | 20 | 5 | 3 | 12 | 20-34 | 18 |

**ბომბარდირები:** 14 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 9 - კეჰილი (ევერტონი), ელმანდერი (ბოლტონი), ნასრი (არსენალი), დროგბა (ჩელსი); 8 - ნოლანი (ნიუკასლი), მალუდა (ჩელსი), დ. ბენტი (სანდერლენდი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

### ჩემპიონშიპი

### XXVI ტური

**კარდიფი-ლიდსი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბელამი (11), 1:1 სნოდგრასი (59), 2:1 ჩოპრა (79)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გახადეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს – შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ

**ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!**

☒ **შესაბამისი უჯრა გადახაზეთ**

**1. თქვენი ასაკი**
- ☐ 18-მდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-44
- ☐ 45-59
- ☐ 60-69
- ☐ 70-ზე მეტი

**2. სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ მამაკაცი

**3. „ლელოს“ გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?**

______________________

______________________

**4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?**
- ☐ მთლიანად ქართული სპორტი
- ☐ ქართული ფეხბურთი
- ☐ მთლიანად უცხოური სპორტი
- ☐ უცხოური ფეხბურთი

სხვა (დაასახელეთ) ______________________

______________________

**5. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც „ლელოს“ კითხულობთ?**

______________________

______________________

**6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში“?**
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ საყვარელ რუბრიკას
- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ გარეკანზე დაანონსებულ სტატიას
- ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

**7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით?**

*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

______________________

______________________

**8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?**

______________________

______________________

**9. რომელია თქვენთვის ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?**

______________________

**10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?**

______________________

**11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ ხშირად?**

______________________

**12. სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?**
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ კარგია
- ☐ საშუალოა
- ☐ ცუდია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**13. როგორ შეაფასებთ „ლელოს“ დიზაინისა და არქიტექტონიკის მიხედვით?**
- ☐ ძალიან მომწონს
- ☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?**
- ☐ მომწონს
- ☐ უკეთესიც შესაძლებელია
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს“?**
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ მაღალი დონისაა
- ☐ საშუალო დონისაა
- ☐ დაბალი დონისაა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ კვირაში 2-3 ნომერს
- ☐ კვირაში ერთ ნომერს
- ☐ თვეში 2-3 ნომერს
- ☐ უფრო იშვიათად

**17. გაქვთ თუ არა გამორჩეული კვირის რომელიმე დღეს „ლელოს“ საკითხავად და რატომ?**

______________________

______________________

**18. რამდენი ხანია, რაც „ლელოს“ კითხულობთ?**
- ☐ 1-2 წელია
- ☐ 3-5 წელია
- ☐ 6-9 წელია
- ☐ 10-19 წელია
- ☐ 20 წელზე მეტია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**19. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის — „ლელოს“ შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?**
- ☐ შეძენა
- ☐ გამოწერა

**20. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი სტატიები?**

______________________

______________________

**21. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით „ლელოს“?**

______________________

______________________

**22. რას ურჩევდით „ლელოს“?**

______________________

______________________

______________________

**23. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ**

______________________

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის

გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით (საფოსტო ყუთები განთავსებულია: თბილისში მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი).
ან დარეკეთ და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე (995 32) **37 75 33** (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე)

● *პრობლემები ახლო ხედით*

# ფიქრები და კითხვები

## დროა შევქმნათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კონფედერაცია




**2010 წლის მარტში სეოკ–ის აღმასკომის წევრების, სეოკ–ის მიერ აღიარებული ოლიმპიური და არაოლიმპიური სპორტული ფედერაციების (კავშირების, ასოციაციების) ხელმძღვანელების, სპორტის სპეციალისტების, ექსპერტებისა და სპორტული ჟურნალისტებისადმი ღია წერილში აღვნიშნე, რომ აუცილებლად მიმაჩნია ჩვენს დარგში სპორტში ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მართვის რეფორმის განხორციელება. მისასალმებელია და მოხარული ვარ, რომ იმ სამი ძირითადი საკითხიდან ერთ-ერთი უკვე რეალიზებულია — საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი საქვეუწყებო დეპარტამენტიდან სამინისტროდ გარდაიქმნა.**

ვფიქრობ, დღის წესრიგში უნდა დადგეს დანარჩენი ორი საკითხიც:

**პირველი** — საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და ეროვნულმა სპორტულმა ფედერაციებმა დააფუძნონ „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და სპორტის კონფედერაცია“(სეოსკ), რომლის სტრუქტურის სქემა ასევე შემუშავებულია ჩემ მიერ. ამასთან, აქვე ვსვამ კითხვას: *სჭირდება თუ არა ქართულ სპორტს არასამთავრობო „ქოლგა“ ორგანიზაცია?*

აუცილებელია, ჩვენ, ოლიმპიურმა და სპორტულმა მოძრაობამ მხედველობაში მივიღოთ მე-13 ოლიმპიური კონგრესის (ოქტომბერი, 2009, კოპენჰაგენი, დანია) და პირველი საერთაშორისო ოლიმპიურ სპორტულ სახეობათა ყრილობის (ოქტომბერი, 2010 აკაპულკო, მექსიკა) მასალები, მისი რეზოლუციები სარეკომენდაციო თემებზე: 1. ოლიმპიური და სპორტული ორგანიზაციების წესდება, სტრუქტურა და დემოკრატიული პროცესები; 2. ანგარიშვალდებულება, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კონტროლი; 3. ჰარმონიული ურთიერთობები მთავრობასთან ავტონომიის შენარჩუნებით და სხვა. ყრილობაზე 205 ეოკ-ს ხელმძღვანელისა და სპორტზე პასუხისმგებელი 130 ქვეყნის მინისტრების წინაშე სოკ-ის პრეზიდენტმა **ჟაკ როგმა** ხაზი გაუსვა სპორტში ავტონომიის დაცვის მნიშვნელობას. ციტატა მისი გამოსვლიდან: *"რას ნიშნავს "სპორტის ავტონომია"? თავდაპირველად, ნება მომეცით, განვმარტო მისი მნიშვნელობა: ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კანონზე მაღლა ვდგავართ ან არ უნდა ვრჩებოდეთ კარგი მმართველობის პრინციპების დამცველად. ეს მარტივად იმას ნიშნავს, რომ სპორტის სამყარო და სპორტული ადმინისტრაცია თავისუფალი უნდა იყოს პირდაპირი პოლიტიკური ან სამთავრობო ჩარევისგან, რომ მთავრობები არ უნდა ერეოდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სამართლიან არჩევნებში არ უნდა ცდილობდნენ მწვრთნელების ან სპორტსმენთა ძალდატანებით შერჩევას. ჩვენ უფლება უნდა მოგვეცეს თავისუფლად ჩამოვაყალიბოთ სპორტული ორგანიზაციები, ფედერაციები და კლუბები. ასევე უფლება უნდა გვქონდეს თავისუფლად განვსაზღვროთ სპორტის წესები და შევიმუშაოთ სპორტული პრაქტიკისთვის აუცილებელი სტრუქტურები და პროცედურები". ბოლოს დასძინა, ციტატა - "სპორტის ავტონომია ეფუძნება სპორტის უნიკალურ თვისებას. სპორტი წარმოადგენს გლობალურ ძალისხმევას, რაც სამართლიანი თამაშისა და სამართლიანი ასპარეზობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების პრინციპებზეა აგებული."*

**მეორე** — ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახლდეს ინტენსიური მუშაობა "სპორტის შესახებ" ახალ კანონზე. ვსვამ კიდევ ერთ კითხვას: *სჭირდება თუ არა ქართულ სპორტს კანონმდებლობის გადასინჯვა, სპორტული ცხოვრების მართვის დეცენტრალიზაცია, სპორტის ავტონომია, გამჭვირვალე და საჯარო ურთიერთთანამშრომლობა სახელმწიფოსა და სპორტულ სამოქალაქო საზოგადოებას შორის?*

ზოგადად ყველა სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრა. რა უნდა იყოს პრიორიტეტი სპორტული საზოგადოებისათვის? სპორტული კანონმდებლობის დახვეწა, — სპორტის სფეროს მართვის თანამედროვე სისტემის დაფუძნება და სხვა.

ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, პირველ ეტაპზე საჭიროა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებების და საქართველოს სპორტის კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის ცალკეული ფედერაციების წესდებების სრულყოფა....

ასევე უნდა დაისვას კითხვები:

*ზოგადად რა შეადგენს საზოგადოების უპირველეს ინტერესს სპორტში?*

*რა არის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპები სპორტში?*

ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ნაყოფიერი სპორტული პოლიტიკის მიღწევა შეუძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია. ეს

> **სპორტის სამყარო და სპორტული ადმინისტრაცია თავისუფალი უნდა იყოს პირდაპირი პოლიტიკური ან სამთავრობო ჩარევისგან, რომ მთავრობები არ უნდა ერეოდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების სამართლიან არჩევნებში არ უნდა ცდილობდნენ მწვრთნელების, ან სპორტსმენთა ძალდატანებით შერჩევას. ჩვენ უფლება უნდა მოგვეცეს თავისუფლად ჩამოვაყალიბოთ სპორტული ორგანიზაციები, ფედერაციები და კლუბები. ასევე უფლება უნდა გვქონდეს თავისუფლად განვსაზღვროთ სპორტის წესები და შევიმუშაოთ სპორტული პრაქტიკისთვის აუცილებელი სტრუქტურები და პროცედურები.**

მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს სწორი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობითი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება საკანონმდებლო ბაზით. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მაღალი სპორტული მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, თანასწორობა, ავტონომია.

ვფიქრობ და მაქვს ეჭვი, რომ ჩვენი სპორტის მართვაში არსებულ მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობის ანალიზზე გვაქვს სიმართლის თქმის არასაკმარისი სურვილი.

ყველას ვთხოვ გავფანტოთ ეს ეჭვი ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის მომავლის საკეთილდღეოდ, მის სასარგებლოდ.

**თამაზ თევზაძე,**
სპორტის ექსპერტი
ტელეფონი: 362 132; 877 505 066.
ელ/ფოსტა: ttevzadze@hotmail.com

საქართველოს წყალბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი წყალბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი წყალბურთელი

**ვახტანგ ლაზრიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გამოჩენილ წყალბურთელს მიხეილ გიორგაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

თბილისის „დინამოს“ ვეტერანი წყალბურთელები გივი ჩიქვანაია, ლერი გოგოლაძე, ვლადიმერ ისელიძე, ოთარ მიმინოშვილი, მურთაზ გულედანი, ჯუმბერ წიკლაური, ოთარ იოსელიანი თანაგრძნობას უცხადებენ გამოჩენილ წყალბურთელს მიხეილ გიორგაძეს **მამის** გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ცურვა

უხსოვარი დროიდანვე ცურვას ადამიანისთვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით თევზაობისას, ნადირობისა და მტერთან ბრძოლისას. სამეფო ოჯახებში ცურვის გაკვეთილების სცენები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულით თარიღდება. ძველი საბერძნეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე სოლონი უბირ ადამიანს ასე ახასიათებდა: „არც ცურვა იცის, არც კითხვა“. ცურვა ადამიანისთვის მინიჭებული მეორე სიცოცხლეა, ამიტომაც აქცევდნენ საუკუნეების განმავლობაში მის შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას. სპორტის სახეობად XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. პირველი შეჯიბრება 1515 წელს გაიმართა ვენეციაში. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კაცებისთვის 1896, ქალებისთვის კი 1912 წლიდან შეიტანეს. ევროპის ჩემპიონატები 1926, მსოფლიოს ჩემპიონატები კი 1973 წლიდან ეწყობა.

საქართველოში სპორტული ცურვა შედარებით გვიან გავრცელდა: 1936 წელს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც რესტორანი „არაგვი“ იყო, აშენდა საბჭოთა კავშირში პირველი 8-ბილიკიანი და 50-მეტრიანი საცურაო აუზი. ქართველმა სპორტსმენებმა საუკეთესო შედეგებს მე-20 საუკუნის შუა წლებში მიაღწიეს. წარმატებებს საფუძველი ჩაუყარა პეტრე მშვენიერაძემ, რომელიც 1948 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი გახდა — ბრასით ცურვაში 11 საკავშირო რეკორდი დაამყარა, მერე წყალბურთში გადაინაცვლა და მსოფლიოში გაითქვა სახელი. ქალთაგან სსრკ ჩემპიონატის პირველი მედალი (ვერცხლი) ლია ფაჩულიამ დაისაკუთრა. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი ხვდა თბილისელ მსოფლიოს რეკორდსმენ (4X200 მ) ბორის ნიკიტინს. მანვე ამავე დისტანციაზე ევროპის ჩემპიონატი მოიგო. 1970 წელს ბარსელონის ევროპის ჩემპიონატზე გულაღმა ცურვაში ფინიშთან პირველი მიიჭრა სსრკ შვიდგზის ჩემპიონი თინათინ ლეკვეიშვილი. იგი კომბინირებულ ესტაფეტაში მეორე იყო, 200 მ. გულაღმა ცურვაში — მესამე. 1975 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ირინა გერასიმოვას (4X100, თავისუფალი ყაიდა) ბრინჯაო ერგო.


ალექსანდრე ბითაძე

# პატივითა და პასუხისმგებლობით

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში ცურვის ტრადიციები დავიწყებას მიეცა, ბაზები გაპარტახდა, გასხვისდა, პროფილი შეიცვალა. 165 აუზიდან მხოლოდ „ლაგუნა ვერემ“ შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა — ცურვის, წყალბურთისა და წყალხტომის სექციებს აქ მუშაობა არ შეუწყვეტია. აბა, ერთი კომპლექსი მთელ საქართველოს რას გასწვდებოდა?!

საბედნიეროდ, ბოლო წლებში საცურაო აუზები ისევ მომრავლდა. ბევრგან ბავშვთა და მოზარდთან ჯგუფები ფუნქციონირებს. ყმაწვილები სხვადასხვა ყაიდით ცურვის საიდუმლოს ეუფლებიან.

— განსაკუთრებით „ლაგუნა ვერე“ მინდა გამოვყო, სადაც უწინდებურად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მოსამზადებლად, — მითხრა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე ბითაძემ.** — ასევე, მინდა აღვნიშნო „ოლიმპიკის“ 50-მეტრიანი, „ტონუსის“, „ქარიშხალას“, გორის, საჩხერის, ქუთაისის, ჩაქვის 25-მეტრიანი აუზები; ბათუმში სულ მალე ჩადგება მწყობრში 50-მეტრიანი აუზი, რომელიც კერძოა, ამიტომ მის მესვეურებს გვინდა ვთხოვოთ, რომ მოცურავეებსა და წყალბურთელებსაც შეუქმნან იქ სავარჯიშო პირობები.



საცურაო ბაზების მომრავლების მიუხედავად, შარშან საერთაშორისო სარბიელზე სახარბიელო შედეგები მაინცდამაინც არ გვქონია, რაც 15-წლიანი ვაკუუმის ბრალია. მართალია, ირაკლი რევიშვილმა და გიორგი მთვრალაშვილმა ლიტვის ღია ჩემპიონატზე რამდენიმე მედალი მოიპოვეს, მათ შორის — ოქროსი, მთვრალაშვილმა სინგაპურის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. დეკემბერში ორივე სპორტსმენმა დუბაიში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები, მაგრამ ვერც ერთ დისტანციაზე სარეიტინგო ოცდაათეულშიც ვერ მოხვდნენ. ეს ფაქტი დამაფიქრებელია. მოცურავეები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატებზე იოლად იმარჯვებენ, საერთაშორისო სარბიელზე ვერაფერს აღწევენ და ამ დროს სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ? მუშაობის რადიკალურად შეცვლა მოგვიწევს. უპირველესად, მწვრთნელთა კვალიფიკაცია უნდა ამაღლდეს. ამ მიზნით შარშან ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით მოვიწვიეთ ცურვის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ვლადიმირ ისურინი, რომელმაც ქართველ კოლეგებს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარა.

ვფიქრობთ, 2011-2012 წლებში კიდევ ერთი უცხოელი სპეციალისტი ჩამოვიყვანოთ, უფრო ხანგრძლივი ვადით, რომელიც კონსულტაციებს გაუწევს ჩვენს მწვრთნელებს და კონკრეტულადაც დაეხმარება მათ 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის კონკურენტუნარიანი სპორტსმენების მომზადებაში. ამ ფესტივალს ხომ თბილისი უმასპინძლებს. ამიტომ შეჯიბრებაში მხოლოდ მონაწილეობით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.

**— საამისოდ სპორტსმენთა შერჩევა აქედანვე უნდა დავიწყოთ. არადა, შესაძლოა, ამ ასაკის ბავშვებმა ჯერ ცურვაც არ იციოდნენ.**

— 2015 წლის ფესტივალზე 1999-2000 წლებში დაბადებული ბიჭები და 2001-2002 წლებში დაბადებული გოგონები იასპარეზებენ. ამ ასაკის უამრავი მოზარდი ვარჯიშობს დღეს ცურვაში და, როგორც მწვრთნელებმა მითხრეს, ბევრიც საკმაოდ ნიჭიერია. ოღონდ მათთან მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო, სათანადო დაფინანსებაც. სელექციის მიზნით მოზარდებისთვის სულ მალე საინტერესო ღონისძიებას მოვაწყობთ ყველა რეგიონში, მერე რჩეულთათვის საქართველოს პირველობასაც გავმართავთ. საუკეთესოებს პერსონალურ მწვრთნელებსა და უცხოელ კონსულტანტსაც მივუჩენთ.

**— ოლიმპიური ფესტივალისთვის, მოგეხსენებათ, მარტო სპორტსმენთა მომზადება არ იკმარებს. შეჯიბრებების მაღალ დონეზე გასამართავად სათანადო ბაზა და მომსახურე პერსონალია საჭირო.**

— გეთანხმებით. „ოლიმპიკის“ საცურაო აუზი სრულიად აკმაყოფილებს 2015 წლის ასპარეზობის მოთხოვნებს. ძირითადი 50-მეტრიანის გარდა, მას სათადარიგო მცირე ზომის აუზიც აქვს, რომელიც მოთელვისთვის საკმარისია. ევროპის ცურვის ფედერაციიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დადებითად შეაფასეს „ოლიმპიკის“ საწყლოსნო კომპლექსი, ერთი რეკომენდაცია მოგვცეს მხოლოდ — ტრიბუნებზე დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ათასამდე გაზარდეთო. ეს იოლი მოსაგვარებელია ასაწყობი კონსტრუქციების მეშვეობით. რაც შეეხება მომსახურე პერსონალს, აქ უფრო რთულადაა საქმე. თუმცა თადარიგს აქედანვე ვიჭერთ - გეგმა უკვე გაწერილი გვაქვს და თავს არ შევირცხვენთ. გამოცდილების მისაღებად ფესტივალამდე ერთ-ორ საერთაშორისო ტურნირს გავმართავთ.

— 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობის უფლების მოპოვებამ ძალიან გაგვახარა. თუმცა ეს დიდ პასუხისმებლობასაც გვაკისრებს, — გვითხრა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი აბზიანიძემ.** — უკვე ვესაუბრე კოლეგებს და სხვადასხვა რეგიონში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მოზარდებს, რომლებიც 1997 წელს და უფრო გვიან არიან დაბადებულნი. პირადად მეც მყავს ამ ასაკის ნიჭიერი მოცურავეები. სელექციისა და ბავშვთა დაინტერესების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია მივიწყებული შეჯიბრების — „მხიარული დელფინის“ აღდგენა, ამ ტურნირებზე აზერბაიჯანელი და სომეხი მოცურავეების მოწვევა. მით უმეტეს, რომ ორივე ქვეყნის წარმომადგენლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**— წლეულს რას გეგმავთ?**

— ტრადიციულად, თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებს ჩავატარებთ. სათანადო დაფინანსების შემთხვევაში, 6-8 მაისს საბერძნეთში „აკროპოლისის თასზე“ გავემგზავრებით, რომელიც შანხაის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირია. 4-6 ივნისს ნოვი სადი (სერბეთი) საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც 1994-2002 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები იასპარეზებენ. აქ გვინდა გამოვცადოთ ირაკლი ბოლქვაძე, დავით სიხარულიძე და ირაკლი შენგელია, რომლებიც 6-10 ივლისს სერბეთშივე ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე გამოვლენ, ასევე, ის ჭაბუკები (1995-1996 წლებში დაბადებულნი), 25-29 ივლისს ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის 2011 წლის ოლიმპიურ ფესტივალზე რომ მოსინჯავენ ძალებს (თემურ კობაიძე, ირაკლი ლომიძე, ნიკა კოკელაძე) და ისინიც, 2015 წლის თბილისური ბატალიებისთვის რომ მოემზადებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი 16-31 ივლისს შანხაიში გასამართავი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატია. ვეცდებით, შარშანდელთან შედარებით, წლეულს შედეგები გავაუმჯობესოთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ქალები ქართულ სპორტში

# ქვლავაც მწვერვალთა საუფლოს მიელტვის

ქართველ მთამსვლელ გოგონათა შორის სოფო თვარაძე განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევა. სოფო პირველია, რომელმაც დასავლეთ ნეპალის სილამაზე 6.848-მეტრიანი ამა დაბლამი დალაშქრა. რამდენიმე წლიანი შესვენების შემდეგ სოფო მთას ისევ დაუბრუნდა.

## მწვანე კორტიდან თეთრ სამოთხეში

სოფოს სპორტული ცხოვრება ჩოგბურთით დაიწყო. მოვლენები ისე განვითარდა, რომ კორტების ნაცვლად ბედთან ჭიდილი გაყინულ სამოთხეში მოუხდა. "ბავშვობაში ჩოგბურთს ვთამაშობდი", - გვითხრა სოფომ. - „თანრიგოსანიც ვიყავი. საბჭოთა კავშირის პერიოდში საჩოგბურთო სკოლებში სწავლა უფასო იყო. 90-იან წლებში მდგომარეობა გართულდა, ჩოგბურთიც ძვირადღირებული სპორტი გახდა და თავი დავანებე.

1995 წელს ექსკურსიაზე ბოტანიკურ ბაღში ვიყავი, იქ დავინახე მწვრთნელი გოგონებს კლდეზე ცოცვას ასწავლიდა. მეც მეკლდეურობაზე გადავერთე".

## გზა მყინვარწვერისკენ

"ჩემი პირველი მწვრთნელი შალვა ავსაჯანიშვილი იყო. 16 წლისა მყინვარწვერზე პირველად ავედი. მახსოვს ძალიან დავიღალე. არ ვიცი რისი მოლოდინი მქონდა. ვწუწუნებდი, მწყუროდა. იგივე გზა შემდეგ კიდევ ექვსჯერ გავიარე".

## სოფო და ამა დაბლამი

**აფი გიგანი, ბენო ქაშაკაშვილი, გელა ოთარაშვლი და სოფო თვარაძე** ამა დაბლამისკენ სავალ რთულ გზას ერთად დაადგნენ. 2003 წელს ევერესტზე პირველი ასვლის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას მთამსვლელთა მთელი სამყარო აღნიშნავდა. სოფო და მისი ჯგუფი კი მათ შორის იყო, ვინც ამ საიუბილეო თარიღს მთაში შეხვდა. "2003 წელს ჰიმალაის ექსპედიციაში ჩავერთე. ვემზადებოდი, ბევრს ვვარჯიშობდი, მყინვარწვერზე სამწვრთნელო ასვლებით. კატმანდუში მთამსვლელთა ელიტა იყო შეკრებილი. მათ შორის იყო პირველი მთამსვლელი ევერესტზე **ედმუნდ ჰილარიც**. ყველანი კარგად შემხვდნენ. ნიჭიერი შეიძლება იყო და სპორტის რომელიმე სახეობაში გამოავლინო კიდეც შესაძლებლობები, მაგრამ მთაში დიდად ფასობს გამოცდილება და ასაკი. მათ კი ჩემი ასაკი უკვირდათ", - იხსენებს სოფო.

## უმძიმესი მონაკვეთი

სოფოს მიერ ამა დაბლამის წარმატებით დაძლევა ქართველ მთამსვლელთა ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტია. საქართველოდან სოფო პირველი ქალია, რომელმაც ეს მწვერვალი დალაშქრა. თუმცა მიზნამდე იყო უმძიმესი წუთებიც. "მწვერვალამდე სულ რაღაც ათეული მეტრი იყო დარჩენილი. ძალიან დაღლილი ვიყავი. ყოველ წუთს დასვენება მინდოდა. მამხნევებდნენ და მაიძულებდნენ არ დავნებებულიყავი. მწვერვალზე რომ ავედით ემოციისაგან დაცლილი ვიყავი. დაღლილობის გამო სიხარულის განცდა არც მქონია. ამ ყველაფერს მაშინ გრძნობ, როცა უკან ბრუნდები და მწვერვალს ბანაკიდან შეჰყურებ. აანალიზებ, როგორ რთულ მწვერვალზე ახვედი".

## დაბრუნება

მიზეზთა გამო სოფო მთას ჩამოშორდა. ოკეანის გაღმა წლების განმავლობაში ცხოვრებამ მთას თავისი შვილი მკერდიდან მოსტაცა. სოფო ახლა ისევ მწვერვალებისკენ მიისწრაფის. "იმ ასაკში ვარ, რომ ყველაფერი წინ მაქვს. რომელიმე 7000-იან მწვერვალზე ასვლას ვგეგმავ, თუნდაც მუსტაგატაზე. ტექნიკური თვალსაზრისით რთული მწვერვალი არაა, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემთვის კარგი არჩევანი იქნებოდა. შემდეგ შეიძლება 8000-იანსაც შევეჭიდო", - გაგვანდო სოფომ.

**სალომე ხარატიშვილი**

● ჩოგბურთი

# მოგებით დაწყებული წელი



20 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (192) ახალი სეზონი შორეულ ქუანჟოუში (ჩინეთი) დაიწყო, სადაც გუშინ ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა აიღო სტარტი. ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. ოქსანამ წლის პირველი მატჩი წყვილთა თანრიგში გამართა - კალაშნიკოვამ და უკრაინელმა **იულია ბეიგელციმერმა** (194) 6:4, 6:4 მოუგეს ტაივანელი **ი ჩენისა** (622) და ჩინელი **სინიუნ ჰანის** (131) დუეტს. მეოთხედფინალში ქართულ-უკრაინული დუეტი მე-3 ნომრად განთესილ იაპონურ წყვილს (**რიკა ფუჯივარა** (294) და **შუკო აოიამა** (334)) ხვდება.

ერთეულთა ბადეში კალაშნიკოვა მე-6 ნომრად არის განთესილი და პირველი მეტოქე, ჩინელი **შენ-ნან სუნი** (273) დღეს ელის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სამთო თხილამურობა

# გელაშვილის მე-14

2011 წელს ქართველ სამთომოთხილამურეთაგან სტარტზე პირველი **ჯაბა გელაშვილი** დადგა. ვანკუვერის ოლიმპიადის 17 წლის მონაწილემ გუშინ ლენგრიესში გერმაანიის ახალგაზრდულ ღია პირველობაზე მიიღო მონაწილეობა. სლალომის ორივე ცდა სულ 49 მონაწილემ ჩაამთავრა. ჯაბა ფინიშთან მე-14 მივიდა წუთი და 42,84 წამი შედეგით, რას საკმაოდ კარგი შედეგია. საქართველოს ნაკრების სხვა წევრებს ახალ წელს ჯერ არ უასპარეზიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## მილოცვა

**ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და მოჭიდავეთა თემი დაბადების 84 წელს ულოცავს საქართველოს 1952 წლის ფალავანსა და მრავალგზის ჩემპიონს, XX საუკუნის 40-50-იან წლებში ქართულის ვირტუოზ მოჭიდავეს, ათეული წლების განმავლობაში ეროვნული სპორტის სახეობის დაუცხრომელ მოამაგეს, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს სიმონ მაისურაძეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზენტაცია



# ქირურგიული ჩარევა

## სამედიცინოს კანდელაკი გაწვრთნის

სხვა კლუბების პარალელურად პირველი წრე შეაჯამა „სამედიცინო უნივერსიტეტის" ხელმძღვანელობამ და გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე კარდინალური ცვლილება განახორციელა: შეიცვალა მთავარი მწვრთნელი - **სერგო იშხნელის** ადგილი **ნუგზარ კანდელაკმა** დაიკავა. გუშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით სამედიცინო უნივერსიტეტში პრეზენტაცია გაიმართა, სადაც კიდევ ერთი სიახლე დაგვხვდა - მეორე წრეს მედიკოსთა რიგებში ჩაატარებს მეფარე **აკაკი დვალიშვილი,** რომელიც ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

პირველ წრეში გუნდის თამაში არადამაკმაყოფილებლად შეაფასა „სამედიცინოს" პრეზიდენტმა **გია აბესაძემ:**

*- ჩვენი გუნდი სუპერლიგაში ფინანსური თვალსაზრისით საუკეთესო ოთხეულშია, თუმცა სატურნირო ცხრილში შესაბამისი ადგილი არ უკავია: სამ კლუბთან ერთად მეშვიდე-მეცხრე ადგილებს ვინაწილებთ. საყურადღებოა, რომ პირველ წრეში დავმარცხდით უმაღლესი სასწავლებლების ყველა გუნდთან. გვსურს, რომ გუნდი უკეთესად იყოს მომზადებული როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. გვერდს ვერ ავუვლით სატრანსფერო პოლიტიკას. ვერც ამ მხრივ ვართ კმაყოფილნი. იყო მატჩები, როცა მთელი დატვირთვა 5-7 კალათბურთელზე მოდიოდა. გუნდში უნდა იყვნენ ის მოთამაშეები, რომლებსაც მწვრთნელი ბოლომდე ენდობა, რადგან დღეს ამა თუ იმ მატჩის მოგებისთვის აუცილებელია 9-10 კალათბურთელის სათანადოდ გამოყენება. სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით გადავწყვიტეთ გუნდის სამწვრთნელო შტაბის შეცვლა. ბატონ სერგო იშხნელისადმი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. მან გუნდისთვის ბევრი გააკეთა. ახლა მის საქმეს ნუგზარ კანდელაკი განაგრძობს.*



ნუგზარ კანდელაკი

„სამედიცინოს" პრეზიდენტმა გაგვახსენა, რომ კანდელაკი სდასუ-ში მუშაობდა, „ბასკოსთან" ერთად საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, ხოლო „დასავლეთ უნივერსიტეტს" აზერბაიჯანის ჩემპიონობა მოაპოვებინა. იგი ბოლოს საქართველოს ჩემპიონატში „ნტდ-თბილისს" ხელმძღვანელობდა. ამ სეზონის დასაწყისში ბატონი ნუგზარი უკრაინაში მიიწვიეს, სადაც იუჟნის „ხიმიკს" უნდა ჩადგომოდა სათავეში, თუმცა ბოლო მომენტში კლუბის პრეზიდენტმა გუნდის საჭე ადგილობრივ მწვრთნელს ჩააბარა. აქვე შეგახსენებთ, რომ იგი სხვადასხვა დროს საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში (მთავარი მწვრთნელის ასისტენტად) მუშაობდა. „სამედიცინოში" ნუგზარ კანდელაკს **თენგიზ ფიცხელაური** დაეხმარება.

ახალი მწვრთნელის პირველი სიტყვა ასეთი იყო:

*- გუნდში ჩემი დანიშვნის საკითხი 31 დეკემბერს გადაწყდა. მადლობელი ვარ, რომ „სამედიცინოს" ხელმძღვანელობამ ჩემი კანდიდატურა განიხილა. ვარჯიშს ხვალიდან შევუდგებით. ჩვენი მთავარი მიზანი შეკრული გუნდის ჩამოყალიბება იქნება. ეს აუცილებელია საერთო მიზნის მისაღწევად - მოსაგებად. იყო მატჩები, როცა „სამედიცინო" ძალიან დაბალ ტემპში თამაშობდა და დაცვაში არასათანადოდ გამოიყურებოდა. მოედანზე ის იქნება, ვინც დაცვაში კარგად ითამაშებს, რადგან ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ზოგიერთი კალათბურთელის დათხოვნას აპირებდა, თუმცა ვთხოვე ამ ნაბიჯისგან თავი შეეკავებინა, რადგან ყველას ხილვა მაინტერესებს საქმეში.*

კლუბის პრეზიდენტს სამომავლო ტრანსფერებზეც ვკითხეთ.

*- სატრანსფერო ფანჯარა 17 იანვარს დაიხურება. მანამდე ამ მიმართულებით ვიმუშავებთ,* - გვითხრა ბატონმა გიამ და დასძინა:

*- გადაწყვეტილია, რომ გუნდი იანვარში შეკრებას ბათუმში გაივლის. ვიმედოვნებთ, რომ ქორქია-საკანდელიძის მემორიალსა და საქართველოს თასს სათანადო კონდიციებში შეხვდება.*

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ახალწვეულ აკაკი დვალიშვილს „სამედიცინოში" გადასვლა მივულოცეთ.

*- სამი თვე ესპანეთში გავატარე, სადაც კანარების აკადემიაში ვთამაშობდი. დეკემბრის ბოლოს რუსთავში დავბრუნდი და „ენერჯიში" ორი მატჩიც ჩავატარე, თუმცა სატრანსფერო ბაზარი რომ გაიხსნა, „სამედიცინოდან" საინტერესო წინადადება მივილე და ამ გუნდში თამაში გადავწყვიტე. ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი გადავდგი.*

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები

ინტერვიუ ლევან მიქაბერიძესთან

# შსს შეივსო: უსტიაშვილი, ტუჯანი, წივწივაძე

**გუშინ საბოლოოდ გადაწყდა: მეორე წრეში შსს-ს გააძლიერებენ მწვრთნელი დავით უსტიაშვილი, მეფარე ჟულივეტ ტუჯანი და უკანახაზელი ბექა წივწივაძე. ეს ამბავი შსს-ს პრეზიდენტმა ლევან მიქაბერიძემ გვაცნობა. მას პირველ წრეში გუნდის გამოსვლის შეფასება ვთხოვეთ და სამომავლო პერსპექტივებსაც შევეხეთ.**

- შსს-ში ის კალათბურთელები შეიკრიბნენ, რომლებიც მანამდე თავის კლუბებში ლიდერები იყვნენ. შესაბამისად იოლი არ არის ახალ სტრატეგიაზე გადაწყობა, რომლის დროსაც ლიდერი არა ერთი კონკრეტული კალათბურთელი, არამედ მთლიანად გუნდია. ერთ მუშტად გუნდის შესაკვრელად გარკვეული დროა საჭირო. არც ჩავარდნებისგანაა ვინმე დაზღვეული. მით უმეტეს, რომ ქრონიკული ტრავმების გამო სათანადოდ ვერ გვეხმარებოდნენ ძმები ბერიშვილები. არადა, ყველას კარგად მოეხსენება, რა ძალას წარმოადგენენ ისინი გუნდისთვის.

**- მეორე წრის წინ დაიმატეთ გამთამაშებელი ბექა წივწივაძე.**

- იგი ახალგაზრდა უკანახაზელია, თუმცა გამოცდილება საკმარისად აქვს. ბექა აქამდე სადაც თამაშობდა, ყველგან ლიდერი იყო. გუშინ წივწივაძე გუნდთან ვარჯიშს შეუდგა და დღესვე შემიძლია ვთქვა, რომ შემადგენლობაში კარგად ჩაჯდა.

**- „ენერჯიდან" მეფარე ჟულივეტ ტუჯანიც გადაიყვანეთ.**

- არაერთი უცხოელის დამატების ვარიანტი განვიხილეთ, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა მაღალი დონის ლეგიონერი ჩვენს ჩემპიონატს ვერ მორგებია. ამის მაგალითად დომონიკ ტილფორდიც („ენერჯი") გამოდგება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შარშანდელ ნახევარფინალში შსს-ს ძლევაში, თუმცა „ენერჯი" მაინც ნაადრევად დატოვა. ამ სეზონში „სოხუმს" ვერ შეეწყო მაიკ მაქერი... მოკლედ, გადავწყვიტეთ, რისკი მინიმუმამდე დაგვეყვანა და ის კალათბურთელი დავიმატეთ, რომელიც 10 წელია საქართველოშია და მაღალი დონის მეფარედ ჩამოყალიბდა. მნიშვნელოვანია, რომ ჟულივეტ ტუჯანი „ენერჯიში" დავით უსტიაშვილთან ერთად მუშაობდა.

**- ცალკე საუბრის თემაა ახალი მწვრთნელი...**

- შსს-ს თავკაც არჩილ ჟღენტს ბოლომდე ვენდობით. ამის დასტური ისიცაა, რომ მასთან კონტრაქტი 2013 წლამდე გავაფორმეთ. თუმცა, გვსურდა, მეორე წრიდან შსს-ში საუკეთესო მწვრთნელთა შტაბი შეგვეკრა. დავით უსტიაშვილიც ამიტომ მოვიწვიეთ - გუნდს მწვრთნელთა დუეტი გაწვრთნის. სხვათა შორის, დავით უსტიაშვილი და არჩილ ჟღენტი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ერთად იმუშავებენ. დავით უსტიაშვილი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტთაგანია. მან „ენერჯის" სამჯერ მოაგებინა ჩემპიონობა, მუშაობს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტად და ახალგაზრდულ ნაკრებში. არც ის გვავიწყდება, რომ შარშან ნახევარფინალში შსს-მ უსტიაშვილის გაწვრთნილ „ბათუმთან" ბეწვის ხიდზე გაიარა, ხოლო წლეულს შედარებით სუსტი შემადგენლობის „ბათუმმა" სტუმრად „ქუთაისში" გაიმარჯვა. ზემოთ აღვნიშნე, რომ ტუჯანი მის გაწვრთნილ „ენერჯიში" თამაშობდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდნენ შსს-ს ახლანდელი წევრები, დავით იმნაძე, ბესიკ ლეჟავა. თუმცა მწვრთნელი სხვების შესაძლებლობებსაც კარგად იცნობს. აქვე მინდა დავძინო, რომ ახალგარდა კოკა ტომარაძესთან კონტრაქტი 2013 წლამდე გავახანგრძლივეთ. მან ჩვენი იმედები გაამართლა.

**- კიდევ ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?**

- ამ სეზონს დღევანდელი შემადგენლობით ჩავამთავრებთ.

**- შსს-დან ხომ არავინ წასულა?**

- გუნდის დატოვებას ორი კალათბურთელი აპირებს - ძმები ბერიშვილები, თუმცა ისინი ამჟამად ჩვენთან ერთად ვარჯიშობენ.

**- შეკრებას სად გეგმავთ?**

- ჩვენს ბაზაზე შევიკრიბეთ. აქ ყველა პირობაა სრულყოფილად მოსამზადებლად, ტრენაჟორების დარბაზიდან დაწყებული აუზით დამთავრებული.



**- ამ სეზონში გუნდს რა მიზნებს უსახავთ?**

- პროგრამა-მინიმუმი საპრიზო ადგილის დაკავებაა, თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ ამ შემადგენლობით ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ფინალში შსს და „არმიას" შეხვედრას ვისურვებდი. ამით ქართული კალათბურთი ნამდვილად მოიგებს, რადგან მათ მატჩზე, 25 დეკემბერს, 13 ათასამდე გულშემატკივარი მოვიდა. თუმცა, ფინალში მოხვედრა იოლი არ იქნება, სუპერლიგაში არაერთი გუნდია, ვისაც სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია: თსუ-ს, „სოხუმს", „ქუთაისს"... მეორე წრიდან ერთი-ორად გაძლიერდება „სამედიცინო", რომელსაც ნუგზარ კანდელაკი გაწვრთნის.

ინტერვიუ მიხეილ ბერიშვილთან

# დრო...



**სუპერლიგის პირველი წრე 29 დეკემბერს დასრულდა და წამყვანი კლუბებიც სატრანსფერო ბაზარზე გამოჩნდნენ. საწყისი 10 მატჩის შემდეგ ყველამ დაინახა, რა შეუძლია და პლეი ოფში წარმატებისთვის რა ცვლილებებია საჭირო.**

**29 დეკემბერს თსუ „ქუთაისთან" დამარცხდა, მეტოქეს ფარქვეშ სათანადოდ ვერ დაუდგა, რადგან ხელის ტრავმის გამო რიჩარდ მათიაშვილი აკლდა, ხოლო წელმტკივანი ილია ლონდარიძე ბოლომდე ვერ დაიტვირთა...**

**თსუ-მ „ქუთაისს" ვერც პერიმეტრიდან ტყორცნებში აჯობა. მოკლედ, გუნდს სჭირდებოდა უნივერსალი კალათბურთელი, რომელსაც ფარქვეშაც შეუძლია თამაში და სამქულიანების ტყორცნაც კარგად ეხერხება. ასეთებს თსუ-ში სხვადასხვა დროს უთამაშიათ: გიგი ბარბაქაძეს, დათო ბარბაქაძეს, მიხეილ ბერიშვილს...**

**მიშა გასულ სეზონში „არმიას" ღირსებას იცავდა, საშუალოდ 9 წუთს თამაშობდა. ცხადია, ასეთი დრო პროგრესზე მოფიქრალ კალათბუთრთელს არ დააკმაყოფილებდა. ეს კარგად იცოდა თსუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა და მიხეილ ბერიშვილს სტუდენტთა რიგებში დაბრუნება შესთავაზა.**

- პირველი წრის დასრულების შემდეგ სამი გუნდიდან დამიკავშირდნენ, თსუ-დან, „ქუთაისიდან" და „სამედიცინოდან". როცა ქუთათურებმა და „მედიკოსებმა" წინადადება შემომთავაზეს, თსუ-ს წარმომადგენლებთან უკვე მოლაპარაკებული ვიყავი და ამიტომაც უარი ვუთხარი, - აღნიშნა მიხეილ ბერიშვილმა.

**- ახალ გუნდთან ვარჯიშს როდიდან შეუდგები?**

- პირველ ვარჯიშს 4 იანვარს ჩავატარებ. იმედი მაქვს, თამაშიც საკმარისად მომიწევს და გუნდსაც წარმატების მიღწევაში დავეხმარები.

**- თსუ-ში აქამდეც ირჯებოდი...**

- უმაღლეს ლიგაში დებიუტი სწორედ თსუ-ში მქონდა: 16 წლისა ვიყავი, როცა მამუკა ტურაშვილმა მიმიწვია. პირველი სეზონი ურიგოდ არ ჩამიტარებია. შემდეგ გუნდში მთავარ მწვრთნელად დავით უსტიაშვილი დაინიშნა, თუმცა მას ნახევარფინალებში ვერ დავეხმარე, რადგან ტრავმირებული ვიყავი. თსუ-დან „ვითაში" გადავედი, შემდეგ „აგრარულში' ვითამაშე, ხოლო გასული სეზონი ესპანურ „არიდანეში" გავატარე.

**- ესპანეთიდან „არმიას" მიაშურე, თუმცა პირველი წრის მერე არმიელებიც დატოვე. რა იყო ამის მიზეზი?**

- დრო. სათამაშო დრო. ნებისმიერ კალათბურთელს სურს მატჩში 10-ზე მეტი წუთი ითამაშოს. რაც შეეხება თავად გუნდს, მასში შესანიშნავი ატმოსფეროა, შემადგენლობაც ძლიერია და ამიტომაცაა სატურნირო ცხრილის სათავეში.

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

სპირიტიზმი

# 2011 წლის სარაგბო სეზონის წინასწარმეტყველება

**ახალი, 2011 წელი მსოფლიო რაგბის თემისთვის გამორჩეული წელიწადია. სექტემბერში ახალ ზელანდიაში მსოფლიო რაგბის უდიდესი ფორუმი გაიმართება. მანამდე, თებერვლიდან დაიწყება ზე რაგბის გათამაშება, რომელიც სრულიად ახალი ფორმატით ჩატარდება და სადაც თოთხმეტი გუნდის ნაცვლად თხუთმეტი იასპარეზებს. ESPN Scrum-მა 2011 წლის მოვლენები იწინასწარმეტყველა. საინტერესოა, ამათგან რომელი ახდება?**

## ახალი ზელანდია მსოფლიო თასს მოიგებს

ახალი ზელანდიის ნაკრები 1987 წლის შემდეგ მსოფლიო თასს პირველად მოიგებს. „ოლ ბლექსი" ფინალში უძველეს კონკურენტ, ავსტრალიის ნაკრებს დაამარცხებს. ფინალი, მსოფლიო თასზე ყველაზე პოპულარული ორი მორაგბის, **ქუადე კუპერის** (ავსტრალია) და **სონი ბილ ვილიამსის** (ახალი ზელანდია) დუელად გადაიქცევა.

ცხადია, მასპინძელთა გამარჯვებაში უდიდეს წვლილს ვეტერანები, **რიჩი მაკქოუ** და **დენ კარტერიც** შეიტანენ. თუმცა ფინალის გმირი მაინც ინგლისელი არბიტრი **უეინ ბარნსი** იქნება, რომელიც „თამამ" გადაწყვეტილებას მიიღებს და მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძლებს გამარჯვების მომტან საჯარიმოს აჩუქებს.

## პომები ექვს ერზე დიდ სლემს შეასრულებენ

ინგლისის ნაკრები, რომელიც დღითი დღე პროგრესირებს, ექვსი ერის გათამაშებაში ხუთივე შეხვედრას მოიგებს და დიდ სლემს შეასრულებს. მეორე-მესამე ადგილისთვის ტრადიციულად საფრანგეთის, უელსის და ირლანდიის ნაკრებები იბრძოლებენ. თუმცა მათ დავაში შესაძლოა შოტლანდიაც ჩაერიოს. „სკოტები" საიდუმლო იარაღს, **დენ პარქსის** ფეხჩუბინობას აამოქმედებენ. იტალია, როგორც ყოველთვის, ნაბოლარა იქნება.

## ოლ ბლექსი სამხრეთ ნახევარსფეროს მბრძანებელი

ახალი ზელანდიის ნაკრები სამი ერის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს. „ოლ ბლექსი" ორჯერ დამარცხებს „ბოკეს" და ერთხელ „ვოლაბებს", თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდება, რომ სამი ერი მეთერთმეტედ მოიგოს. ყოველივე ეს მსოფლიო თასის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მოხდება.

## სიპრიანი მძიმე უღელს ეწევა

**დენი სიპრიანის**, რომელიც ზე რაგბის გათამაშებაში ახალი ავსტრალიური გუნდის, „მელბურნ რებლზის" კვარტით იასპარეზებს, ტურნირის აღმოჩენად აღიარებენ. თუმცა ამას ინგლისის ნაკრების თავკაცი **მარტინ ჯონსონი** ვერაფრით შეამჩნევს, რასაც სატელიტური ანტენის დეფექტურად მუშაობას დააბრალებს.

სამაგიეროდ, ჯონსონის მეუღლეს, ჟურნალ „HELLO!"-ს მეშვეობით, კარგად ეცოდინება, რომ „სიპრის" ჩოგბურთში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალზე არმანის კოსტიუმი ეცვა და ავსტრალიაში №2 „ბეთჩელორსია".

## ახალზელანდიელთა კაპიტულაცია

სონი ბილ ვილიამსი ახალი ზელანდიის ნაკრების თავკაც **გრემ ჰენრის** განარისხებს. სონი ბილს, მსოფლიო თასის გათამაშების დაწყების წინ, ფრანგული „ტულონის" მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** მაინც აცდუნებს და სარფიან კონტრაქტზე ხელს მოაწერინებს.

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირს ეს ამბავი აიძულებს, „ოლ ბლექსის" ვარსკვლავებს ევროპაში თამაშის ნება დართოს.

მანამდე ვილიამსი კრივის რინგზე ასპარეზობასაც მოასწრებს. ის მეტოქეს მესამე რაუნდში დაამარცხებს, თუმცა ხელმოცარული მოკრივის წარმომადგენლები დაიჩივლებენ, რომ მათ „ფალავანს" ორთაბრძოლის წინადღეს საკვებში საწამლავი შეურიეს.

## შეთქმულება ვილკოს წინააღმდეგ

გავრცელდება ინფორმაცია, რომ მსოფლიო თასის მიმდინარეობისას, ინგლისის ნაკრების მგზავ **ჯონი ვილკინსონზე** დაქირავებული მკვლელი ინადირებს. გამოძიება დაადგენს, რომ მავანთა განრისხება „ვილკოს" მიერ ფრანგულ „ტულონთან" გაფორმებულმა ხელშეკრულებამ გამოიწვია.

ინგლისის რაგბის კავშირი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ინგლისური რაგბის მამებმა გადაწყვიტეს, რომ 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ, ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები მიიწვიონ. მათ არ იციან, რა მოუხერხონ ვილკინსონს, რომელიც ასაკის მიუხედავად, შესანიშნავ ფორმაშია.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ისევ ჯონი მონახავს, ის განცხადებას გააკეთებს ეროვნულ ნაკრებში კარიერის დასრულების თაობაზე.

## TWITTER-მა დაღუპა

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარტინ ჯონსონი მსოფლიო თასზე წარუმატებელ ასპარეზობას სოციალურ ქსელ Twitter-ს დააბრალებს. აღმოჩნდება, რომ ამ ქსელში მისი მორაგბეები დღე და ღამე დაძვრებიან და სხვა გუნდების მოთამაშეებთან „ჩეთაობენ".

## კივების წელიწადი

ახალზელანდიური რაგბი მთელ პლანეტაზე დომინირებს. ზე რაგბის გათამაშებას ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" მოიგებს. „ოლ ბლექსის" ყოფილი მორაგბეები **ჯერი კოლინზი** და **მარტი ჰოლი** „მაგნერს ლიგის" გათამაშებაში გაიბრწყინებენ. ახალზელანდიელთა ყოფილი ცხრა ნომერი **ბაირონ კელეჰერი** კი საფრანგეთის ჩემპიონის, „ტულუზის" საუკეთესო მორაგბე გახდება.

## შერკინებასაც ეშველება

ერთწლიანი წარუმატებელი ექსპერიმენტის შემდეგ შერკინების მოწყობის ახალი წესი შეიცვლება. აღიარებენ, რომ მსაჯის ბრძანება, Crouch-Touch-Pause-Engage, სრულიად უსარგებლო და რაგბის თამაშის უწყვეტობის შემაფერხებელია. ეს განსაკუთრებით ექვსი ერის გათამაშებაში, ირლანდიისა და იტალიის ნაკრებების დაპირისპირებისას გამოჩნდება, როცა შერკინება ერთ ადგილზე 18 წუთის განმავლობაში იდგება.



მარცხნიდან: დენი სიპრიანი, ემპორიო არმანი და კელი ბრუკი

5 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



პრინცი ალექს ობოლენსკი

### 1913 წელი

ინგლისის ნაკრებმა „თვიქნემზე" პირველად წააგო. „პომები" ვერას გახდნენ სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან (3:9), რომელმაც ევროპულ ტურნეში შესანიშნავად იასპარეზა და დიდი სლემი შეასრულა. „ბოკემ" „მერიფილდზე" შოტლანდიას 16:0 მოუგო, „ლენსდაუნ როუდზე" კი ირლანდიის ნაკრები გაანადგურა - 38:0. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სამხრეთაფრიკელებს უელსის ეროვნულმა გუნდმა გაუწია. სტუმრებმა ერთადერთი საჯარიმოს წყალობით მოიგეს - 3:0. ბოლო თამაში „ბოკემ" ბორდოში გამართა, სადაც საფრანგეთის ნაკრები 38:5 დაამარცხა.

### 1936 წელი

ინგლისის ნაკრებმა „თვიქნემზე" ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი პირველად დაამარცხა - 13:0. ორი ლელო „პომების" შემადგენლობაში მოთამაშე რუსმა პრინცმა, **ალექს ობოლენსკიმ** გაიტანა. მისი ოჯახი რუსეთიდან 1917 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ გაიქცა და თავი ინგლისს შეაფარა. ობოლენსკიმ რაგბის თამაში ტრენტის კოლეჯში დაიწყო. ის ინგლისელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო მელელოვე გახლდათ.

ობოლენსკიმ ეროვნულ ნაკრებში კიდევ სამჯერ ითამაშა და 1940 წელს, 24 წლის ასაკში დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებში სამსახურისას ტრაგიკულად დაიღუპა.

### 1958 წელი

„ჰლანეჰლისა" და „ბრიტანელი ლომების" ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ქერვინ ჯეიმზმა** უელსის ნაკრებში ერთხელ ითამაშა. მაშინ უელსელებმა ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში 3:9 წააგეს. ერთადერთი საჯარიმო ჯეიმზმა გაიტანა.

მას შემდეგ, რაც ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, ჯეიმზმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა. მან 1972 წელს „ჰლანეჰლის" ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში მოაგებინა. ჯეიმზმა ასევე შესანიშნავ შედეგს მიაღწია „ბრიტანელ ლომებთან" მუშაობისას.

### 1964 წელი

**კოლინ მიდსმა** „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებს ორი ლელო გაუტანა და „ოლ ბლექსმა" მშრალი ანგარიშით 14:0 მოიგო. ეს მარცხი „პომებისთვის" წლის ყველაზე დიდი წარუმატებლობა გამოდგა. ამავე მატჩში შედგა ლეგენდარული ახალზელანდიელი რვა ნომრის, **ბრაიან ლოჩორის** დებიუტი.

### 1968 წელი

**ჟან-მიშელ კაპანდეგი**, რომელსაც 26 წელი შობის დღეს შეუსრულდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. არადა, რამდენიმე დღეში, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში, სადებიუტო მატჩში უნდა ეთამაშა შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან.

### 1993 წელი

დოქტორი **დენი კრევინი**, რომელმაც როგორც მოთამაშემ, მწვრთნელმა და ადმინისტრატორმა უდიდესი წვლილი შეიტანა სამხრეთაფრიკული რაგბის განვითარებაში, 82 წლის ასაკში სტელენბოშში გარდაიცვალა.

კრევინი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცხრა ნომერი იყო. ის გამორჩეული იყო სამწვრთნელო ასპარეზზეც. მისი ხელმძღვანელობით სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს ზედიზედ ხუთჯერ მოუგო, 1951-52 წლებში კი, ევროპულ ტურნეში დიდი სლემი შეასრულა.

დენი კრევინი 1957 წელს სამხრეთ აფრიკის რაგბის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 1992 წელს კი, აპარტეიდის დაცემის შემდეგ, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის დაფუძნებაში მიიღო მონაწილეობა.

### 1997 წელი

იტალიური რაგბი მოლონიერდა. ამ დღეს „სკუადრა აძურამ" დუბლინში ირლანდიის ნაკრები 37:29 დაამარცხა, რითაც დაამტკიცა, რომ ღირსია, ევროპის ხუთ ერს მეექვსე ერად დაემატოს.

ამბავი

# დალალიო ვილკინსონის ნაკრებიდან მოკვეთას ითხოვს

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ლოურენს დალალიო** მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავის, **ჯონი ვილკინსონის** ეროვნული გუნდიდან მოკვეთას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ვილკინსონმა ახლახან ფრანგულ „ტულონთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გააგრძელა. ინგლისის რაგბის კავშირმა კი მანამდე მიიღო გადაწყვეტილება — 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ ნაკრებში მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეები მიიწვიოს.

*„ყველაფერი ძალიან მარტივადაა, თუ გინდა ეროვნულ ნაკრებში თამაში, შენს ქვეყანაში უნდა დარჩე. თუ გინდა ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლა, წადი, ოღონდ ეროვნული ნაკრები დაივიწყე. სრულად ვეთანხმები ინგლისის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებას. მიმაჩნია, რომ ძლიერი ეროვნული ნაკრების საფუძველი, ძლიერი ეროვნული ჩემპიონატია.*



*სპონსორი რომ ვიყო და სურვილი გამიჩნდეს ინგლისურ რაგბიში მილიონები ჩავდო, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ყველაზე ცნობილი ინგლისელი მორაგბეები სწორედ ინგლისის ჩემპიონატში იასპარეზებენ."* – თქვა დალალიომ.

**გვერდი მოამზადა**
**ბესიკ ჯანგავაძემ**

„თუ გინდა ეროვნულ ნაკრებში თამაში, შენს ქვეყანაში უნდა დარჩე. თუ გინდა ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ წასვლა, წადი, ოღონდ ეროვნული ნაკრები დაივიწყე."

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ამბები

### კალათბურთი

## ენტონიმ ნაგეტსი ისევ უარყო

„დენვერ ნაგეტსის“ ლიდერმა **კარმელო ენტონიმ** ისევ უარყო კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე თავისი ამჟამინდელი კლუბის წინადადება. როგორც ჩანს, NBA-ის ვარსკვლავი ძველ პოზიციაზე დარჩა და კვლავინდებურად სურს კოლორადოს დატოვება.

როგორც ადრე იტყობინებოდნენ, თუ „დენვერის“ ხელმძღვანელობა ვერ მიაღწევს ენტონისთან შეთანხმებას, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კარმელოს ტრეიდით სხვა გუნდში გაუშვებენ. ცნობილია, რომ ამ კალათბურთელის გადაბირებით ყველაზე მეტად „ნიუ იორკ ნიქსი“ და „ნიუ ჯერსი ნეტსი“ არიან დაინტერესებული.

## გალინარი სამ კვირას დაისვენებს

„ნიუ იორკ ნიქსმა“ ორი-სამი კვირით დაკარგა იტალიელი ფორვარდი **დანილო გალინარი**. ლეგიონერმა მარჯვენა მუხლი „ინდიანა პეისერსთან“ მატჩში დაიზიანა.

ექიმების პირველადი დიაგნოზი დაწვრილებითმა სამედიცინო გამოკვლევამ დაადასტურა. გალინარი კლუბს დასავლეთის ტურნეში არ გაჰყვება.

## შარლოტმა ორი კალათბურთელი დაკარგა

„შარლოტ ბობკეტსმა“ ორი დღის განმავლობაში ერთბაშად ორი კალათბურთელი დაკარგა. მარჯვენა ფეხზე აქილევსის მყესი გაიწყვიტა ძირითადმა ცენტრმა **დესაგანა დიოპმა**. მან დაზიანება „გოლდენ სტეიტთან“ მატჩის მეორე მეოთხედში მიიღო და ამის გამო სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს თამაშს.

არადა, ბოლო პერიოდში დიოპის საქმეები ძალიან კარგად მიდიოდა. **ლარი ბრაუნის** დროს ეს კალათბურთელი თითქმის ვერ ხვდებოდა შემადგენლობაში, მაგრამ **პოლ სილასის** მისვლის შემდეგ მისი სათამაშო დრო 22 წუთამდე გაიზარდა.

ახლა „შარლოტი“ ორი ცენტრის - **ნაზრ მოჰამედისა** და **კვამე ბრაუნის** ამარა დარჩა.

დიოპის გარდა, „ბობკეტსს“ თავისი ერთ-ერთი ლიდერის - **ჯერალდ უოლასის** გარეშე მოუწევს თამაში. მსუბუქმა ფორვარდმა მარცხენა ფეხის ტრავმა გაიმიზეზა და რამდენიმე მატჩს გამოტოვებს. უოლასს „მაიამისთან“ გუშინდელ მატჩში სასტარტო ხუთეულში **ჯერალდ ჰენდერსონი** ცვლიდა.

*„ვფიქრობ, ჯერალდი მალე შეძლებს ჩვენს დახმარებას“*, - განაცხადა სილასმა.

## ტაურაზის დოპინგი უმტკიცდება

თურქული ტელეარხის NTV-ის ინფორმაციით, ცნობილი ამერიკელი კალათბურთელის **დაიანა ტაურაზის** მეორე დოპინგ-სინჯმაც დადებითი შედეგი აჩვენა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „ფენერბაჰჩეს“ ქალთა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს აკრძალული პრეპარატი მოდაფინილი აღმოუჩინეს.

თურქ ჟურნალისტებს არ დაუსახელებიათ მეორე სინჯთან დაკავშირებული ინფორმაციის წყარო, თურქეთის კალათბურთის ფედერაციას კი ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. B სინჯის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია სავარაუდოდ დღეს გავრცელდება.

ტაურაზი ამჟამად დროებით არის დისკვალიფიცირებული და თუ მეორე ანალიზის შესახებ თურქეთის ტელევიზიის ცნობა დადასტურდა, მაშინ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

### ჰოკეი

## ზამთრის კლასიკა ყველაზე რეიტინგული იყო

ამერიკული პრესის ცნობით, პირველ იანვარს „პიტსბურგსა“ და „ვაშინგტონს“ შორის ღია ცის ქვეშ გამართულმა შეხვედრამ უდიდესი ტელეაუდიტორია შეკრიბა. Winter Classic-ს ტელევიზიით თვალი 4.5 მილიონმა ადამიანმა ადევნა, რაც შარშანდელ აუდიტორიაზე 22 პროცენტით მეტია. 2010 წელს ანალოგიურ შეხვედრაში ერთმანეთს „ბოსტონი“ და „ფილადელფია“ შეხვდნენ.

გარდა ამისა, 4.5 მილიონი ტელემაყურებელი სარეკორდო მაჩვენებელია რეგულარული ჩემპიონატის მატჩისთვის ბოლო 36 წლის განმავლობაში. თუმცა ეს რიცხვი პლეი ოფის მატჩებს მაინც ჩამორჩება. მაგალითად, 2010 წლის სტენლის თასის ფინალის მეექვსე შეხვედრას 8.2 მილიონმა ადამიანმა ადევნა თვალი.

### ფორმულა 1

## ტორო როსოს არაბები შეიძენენ?

ახალი წლის პირველ დღეებში ისევ გაჩნდა ინფორმაცია „ტორო როსოს“ სავარაუდო გაყიდვის შესახებ. კერძოდ, შვეიცარიული გაზეთი **Blick** ირწმუნება, რომ იტალიურ საჯინიბოს არაბი ბიზნესმენები შეიძენენ, ამასთან, შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** შეინარჩუნებს პირველი პილოტის სტატუსს.

როგორც ამბობენ, „ტორო როსოს“ ფასი დაახლოებით 30 მილიონი დოლარია, ამასთან, ახალ მფლობელს გუნდის დაგროვილი ვალების გადახდაც მოუწევს. ამ საჯინიბოს გაყიდვა ერთი წლის წინ გადაწყვიტეს, მაგრამ მაშინ არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაცია იყო და „ტორო როსოს“ მფლობელმა - „რედ ბულის“ შეფმა **დიტრიხ მატეშიცმა** სხვა ვარიანტი აირჩია: გააგრძელა „ტორო როსოში“ ფულის ჩადება, რათა ის უფრო მომხიბვლელი გაეხადა პოტენციური მყიდველისთვის.

მას შემდეგ, რაც „რედ ბულმა“ შარშან ტრიუმფალურად მოიგო ორივე ჩემპიონატი, დიტრიხ მატეშიცისთვის პრიორიტეტული გახდა მთელი არსებული რესურსის გამოყენება შარშანდელი წარმატების შესანარჩუნებლად, შესაბამისად, „ტორო როსოს“ გაყიდვა სავსებით ლოგიკურ ნაბიჯად მიიჩნევა.

### ოლიმპიზმი

## გერმანია ოლიმპიადის გარეშე რჩება

გერმანელმა სპორტის მოყვარულებმა, შესაძლოა, ვერ იხილონ სოჭის ზამთრისა და რიო დე ჟანეიროს ზაფხულის თამაშების პირდაპირი ტრანსლაციები.

ორმა უმსხვილესმა გერმანულმა ტელეკომპანიამ - ARD-მ და ZDF-მა წარმატებით ვერ დაასრულეს მოლაპარაკებები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან თამაშების ჩვენების უფლების შესყიდვაზე. მთავარი პრობლემა გახლავთ თანხა, რომელსაც ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიადებისთვის ითხოვს - 180 მილიონი ევრო. შედარებისთვის, ბუნდესლიგის ერთი სეზონის გაშუქებისთვის ARD 90 მილიონ ევროს იხდის.

ამ მომენტისთვის გერმანია ერთადერთი ქვეყანა არ არის, რომელმაც შეაჩერა მოლაპარაკება 2014 და 2016 წლის ოლიმპიადების ჩვენების შეძენაზე. ოლიმპიურ კომიტეტთან ასევე ვერ გამონახეს საერთო ენა საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. შეთანხმება მხოლოდ ესპანეთთან და იტალიასთან არის მიღწეული.

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მიმოხილვა

**კვირის დაცემა**. სავალალოდ ვითარდება „კლივლენდის“ საქმეები. მეტნაკლებად წარმატებულმა სტარტმა უარყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ **ლებრონ ჯეიმსის** გარეშე „კავალიერზს“ ლიგაში ყველაზე სუსტი შემადგენლობა ჰყავს. მაგრამ დრომ აჩვენა, რომ დღევანდელი კალათბურთელებით „კლივლენდს“ არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ერთადერთი მოგება დეკემბერში - ზუსტად გამოხატავს ოჰაიოს კლუბის დღევანდელ მდგომარეობას.

არასწორი იქნება ყველაფერში მწვრთნელ **ბაირონ სკოტის** დადანაშაულება. რაც უნდა იყოს, მოთამაშეთა იმ ჯგუფით, რომელიც მას გუნდში დახვდა, ნებისმიერი სპეციალისტი განწირული იქნებოდა ფიასკოსთვის. კლუბის მენეჯმენტი აცხადებს, რომ გუნდს გაძლიერება სჭირდება, რისთვისაც მზად არის საკუთარ თავზე აიღოს მრავალმილიონიანი კონტრაქტები, მაგრამ მსგავსი ისტერია მხოლოდ ირონიას იწვევს. „კლივლენდს“ კარდინალური გარდაქმნა თუ უშველის, რადგან ასეთ „ნანგრევებზე“ რაიმე სერიოზულის აშენება წარმოუდგენელი იქნება. ამ შემთხვევაში კი საკმაოდ საინტერესო სურათს ვილებთ: გუნდი, რომელმაც სეზონი უნდა ჩააგდოს დრაფტის მაღალი ნომრის მისაღებად, ლებრონის ჯინაზე ყველანაირად ცდილობს ბოლო ადგილამდე არ დაეშვას, მაგრამ საბოლოოდ, მაინც აგებს თითქმის ყველა შეხვედრას.

**კვირის გაუგებრობა.** სტაბილურად არასტაბილურ თამაშს აჩვენებენ „ლეიკერსი“ და „ნიუ ორლეანი“. მოქმედმა ჩემპიონმა კვირა მხნედ დაიწყო. თავიდან კალიფორნიელებმა სტუმრად მოუგეს „ჰორნეტს“, რის შემდეგაც შინ დაამარცხეს „ფილადელფია“. თითქოს კრიზისი დაძლეული იყო, მაგრამ ბოლო შეხვედრაში „ლეიკერსი“ საკუთარი პუბლიკის წინაშე „მემფისთან“ მატჩში შერცხვა. რაც ყველაზე ცუდია, ბოლოდროინდელ ჩავარდნას ახსნას ვერ უძებნიან ვერც **ფილ ჯექსონი** და ვერც **კობი ბრაიანტი.**

რაც შეეხება „ნიუ ორლეანს“, **მონტი უილიამსის** გუნდის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ „ჰორნეტსმა“ თავიდან უშანსოდ წააგო შინ არასტაბილურ „ლეიკერსთან“, რის შემდეგაც აღმოსავლეთის ტურნეში გაემგზავრა, სადაც პირველივე მატჩში სტუმრად „ბოსტონი“ დაამარცხა!

**ნულები კვირის ცხრილში.** უკვე 2011 წელი დადგა, „ვაშინგტონს“ კი ჯერ სტუმრად არც ერთი შეხვედრა არ მოუგია, თავის მხრივ, „ნიუ ჯერსი“ ვერ ახერხებს თანადივიზიონელთა მატჩებში თუნდაც ერთი გამარჯვების მოპოვებას. დედაქალაქის გარეთ „უიზრდსის“ მაჩვენებლები „შთამბეჭდავია“ - 0:16. რთული გასახსენებელია, რომელ გუნდს ჰქონდა ასეთი შედეგი გასვლით შეხვედრებში. როგორც ვხედავთ, ვერც **რაშარდ ლუისის** დამატებამ და ვერც **ჯოშ ჰოვარდის** გამოჯანმრთელებამ მოუტანა ხეირი **ფლიპ სონდერსის** გუნდს.

„ნიუ ჯერსის“ ამ სეზონში ჯერ არ დაუმარცხებია „ბოსტონი“, „ნიუ იორკი“, „ფილადელფია“ და „ტორონტო“. ატლანტიკის დივიზიონს არ შეიძლება ლიგაში ყველაზე ძლიერი ვუწოდოთ, მაგრამ ეტყობა „ნეტსს“ ჯერ ბევრი უკლია სრულფასოვან გუნდად ჩამოყალიბებამდე.

### კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის“ მცველი **დუიენ უეიდი** და „დენვერ ნაგეტსის“ გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი უეიდი გასულ კვირას ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - საშუალოდ 36.7 ქულა დააგროვა. ამას დაემატა 7.3 მოხსნა, 3.7 შედეგიანი პასი და 2.0 ჩაჭრა. „მაიამიმ“ სამიდან სამი მატჩი მოიგო. ერთ-ერთში („ჰიუსტონის“ წინააღმდეგ) დუეინმა სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა - 70.8 პროცენტის სიზუსტით ისროლა და 45 ქულა მოიპოვა.

დასავლეთში საუკეთესო ბილაპსის ანგარიშზე საშუალოდ 25.3 ქულა (ტყორცნების სიზუსტე - 63.9%), 6.3 შედეგიანი პასი. 3.3 მოხსნა და 1.3 ჩაჭრა მოდის. ვეტერანმა განსაკუთრებით სამქულიანი სროლებისას გამოიჩინა თავი - სამ თამაშში 13 შორეული ტყორცნა შეასრულა და 11-ჯერ იყო ზუსტი. გარდა ამისა, ბილაპსმა ბოლო 47 საჯარიმო ტყორცნიდან მხოლოდ ერთი ააცილა.

### უეიდის კვირა

**28 დეკემბერი. მაიამი-ნიუ იორკი 106:98.** 40 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა.

**29 დეკემბერი. ჰიუსტონი-მაიამი 119:125.** 45 ქულა, 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

**1 იანვარი. მაიამი-გოლდენ სტეიტი 114:107.** 25 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა.

### ბილაპსის კვირა

**28 დეკემბერი. დენვერი-პორტლენდი 95:77.** 18 ქულა, 9 პასი, 4 მოხსნა.

**29 დეკემბერი. მინესოტა-დენვერი 113:119.** 36 ქულა, 5 პასი, 3 ჩაჭრა.

**1 იანვარი. დენვერი-საკრამენტო 104:86.** 22 ქულა, 5 პასი, 4 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დერიკ როუზი** („ჩიკაგო“), **დორელ რაიტი** („გოლდენ სტეიტი“), **კრის პოლი** („ნიუ ორლეანი“), **დუაიტ ჰოვარდი** („ორლანდო“).

**ორლანდო-გ. სტეიტი 110:90**

24:28, 20:25, 35:18, 31:19

**ო:** ჰოვარდი (22+17 მოხსნა), რიჩარდსონი (20+5 მოხსნა), რედიკი (13), ანდერსონი (13), არენასი (11) ნელსონი (11), თურქოგლუ (10+14 მოხსნა+10 პასი+5 ჩაჭრა), ბასი (10).

**გ-ს:** ელისი (20+7 მოხსნა), რაიტი (17+6 მოხსნა), კარი (15+6 მოხსნა+5 პასი).

**შარლოტი-მაიამი 82:96**

28:23, 15:24, 16:31, 23:18

**შ:** ჯექსონი (22+5 პასი), ოგუსტინი (16).

**მ:** ჯეიმსი (38+9 მოხსნა+5 პასი), უეიდი (31+11 მოხსნა), ბოში (11), ენტონი (2+11 მოხსნა+3 დაფარება).

**ბოსტონი-მინესოტა 96:93**

17:25, 26:22, 27:26, 26:20

**ბ:** პირსი (23+6 მოხსნა), ალენი (20), დევისი (17), ვაფერი (10+6 მოხსნა), რონდო (6+16 პასი).

**მ:** ბიზლი (19), უებსტერი (15), მილიჩიჩი (14+6 მოხსნა), რიდნური (13+5 პასი), ლავი (12+24 მოხსნა).




კლივლენდი ფსკერზე დაეშვა

**ნიუ ორლეანი-ფილადელ. 84:77**

23:26, 20:14, 25:18, 16:19

**ნ-ო:** უესტი (17+8 მოხსნა+3 დაფარება), პოლი (15+5 პასი), ოკაფორი (13+8 მოხსნა+3 დაფარება), გრინი (11).

**ფ:** ბრენდი (14+10 მოხსნა), ნოჩიონი (13+7 მოხსნა), სპეიტსი (12+6 მოხსნა), ჰოლიდეი (12+6 მოხსნა+6 პასი), იანგი (10).

**დენვერი-ჰიუსტონი 113:106**

25:21, 27:31, 29:29, 32:25

**დ:** ენტონი (33+11 მოხსნა+5 პასი), ნენე (16+11 მოხსნა), აფლალო (15), ბილაპსი (13+3 ჩაჭრა), ლოუსონი (12), მარტინი (11+6 მოხსნა).

**ჰ:** სკოლა (24+7 მოხსნა), ლოური (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბადინგერი (13), ლი (12).

**იუტა-დეტროიტი 102:97**

25:28, 28:23, 25:28, 24:18

**ი:** უილიამსი (22+10 პასი), ჯეფერსონი (16+8 მოხსნა+3 დაფარება), კირილენკო (15), მილსეპი (15+10 მოხსნა), მაილზი (12), ბელი (11).

**დ:** პრინსი (26+5 პასი), ჰემილტონი (15), გორდონი (14), მაკგრეიდი (11+9 მოხსნა+11 პასი), ვილანუევა (11).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 33 | 26 | 7 | 78.8 |
| 2. მაიამი* | 36 | 27 | 9 | 75.0 |
| 3. ჩიკაგო* | 32 | 22 | 10 | 68.8 |
| 4. ორლანდო | 34 | 22 | 12 | 64.7 |
| 5. ატლანტა | 36 | 22 | 14 | 61.1 |
| 6. ნიუ იორკი | 33 | 19 | 14 | 57.6 |
| 7. ინდიანა | 32 | 14 | 18 | 43.8 |
| 8. მილუოკი | 31 | 13 | 18 | 41.9 |
| 9. ფილადელფია | 34 | 13 | 21 | 38.2 |
| 10. შარლოტი | 32 | 11 | 21 | 34.4 |
| 11. ტორონტო | 33 | 11 | 22 | 33.3 |
| 12. დეტროიტი | 34 | 11 | 23 | 32.4 |
| 13. ნიუ ჯერსი | 34 | 9 | 25 | 26.5 |
| 14. ვაშინგტონი | 32 | 8 | 24 | 25.0 |
| 15. კლივლენდი | 34 | 8 | 26 | 23.5 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 33 | 29 | 4 | 87.9 |
| 2. დალასი | 33 | 25 | 8 | 75.8 |
| 3. იუტა* | 35 | 24 | 11 | 68.6 |
| 4. ლეიკერსი* | 34 | 23 | 11 | 67.6 |
| 5. ოკლაჰომა | 35 | 23 | 12 | 65.7 |
| 6. დენვერი | 33 | 20 | 13 | 60.6 |
| 7. ნიუ ორლეანი | 35 | 21 | 14 | 60.0 |
| 8. პორტლენდი | 34 | 18 | 16 | 52.9 |
| 9. ჰიუსტონი | 34 | 16 | 18 | 47.1 |
| 10. მემფისი | 34 | 15 | 19 | 44.1 |
| 11. ფინიქსი | 32 | 14 | 18 | 43.8 |
| 12. გ. სტეიტი | 34 | 13 | 21 | 38.2 |
| 13. კლიპერსი | 34 | 10 | 24 | 29.4 |
| 14. მინესოტა | 35 | 9 | 26 | 25.7 |
| 15. საკრამენტო | 31 | 7 | 24 | 22.6 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.9 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 26.4 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 24.6 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 24.4 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 24.1 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.0 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 23.7 |
| ერიკ გორდონი (კლიპ) | 23.3 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.2 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 12.5 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.5 |
| მარკუს კემბი (პორ) | 11.3 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.8 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 9.8 |
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 9.8 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.7 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 13.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 10.6 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.7 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.3 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.8 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 8.7 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.6 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 8.5 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 7.9 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 3.0 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.1 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.0 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ) | 1.9 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 1.9 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 1.9 |
| რუდი გეი (მემ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.3 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.3 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.3 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მიმოხილვა




ვანკუვერი ლოგიკური ლიდერია

**კვირის გუნდი**. ეჭვგარეშეა, რომ ეს სტატუსი „ვანკუვერ კენაქსს“ ეკუთვნის, რომელიც უპრობლემოდ უმკლავდება მეტოქეებს და ლიგაში დღეს პირველ ადგილს იკავებს. წლის ბოლოს „დეტროიტთან“ ოვერტაიმში წაგების შემდეგ, „კენაქსმა“, ზედიზედ მოუგო „კოლამბუსს“, „ედმონტონს“, „ფილადელფიას“, „დალასს“, „კოლორადოსა“ და „სან ხოსეს“, თანაც 26 შაიბა გაიტანა.

ბოლო ორი-სამი სეზონია მუდმივად ლაპარაკობენ იმაზე, რომ დროა „ვანკუვერმა“ სტენლის თასი მოიპოვოს, მაგრამ პლეი ოფში გუნდი ისე დამაჯერებლად ვერ გამოიყურება, როგორც რეგულარულში და საწყის ეტაპებზე ეთიშება ბრძოლას.

კანადური კლუბის წარმატებას ხელს უწყობს სუსტი დივიზიონი. მისი სამი წარმომადგენელი - „ედმონტონი“, „კალგარი“ და „მინესოტა“ დასავლეთი კონფერენციის აუტსაიდერებში შედიან, „კოლორადოს“ კი სუსტი შემადგენლობა ჰყავს იმითვის, რომ „ვანკუვერის“ დონის გრანდს ტოლ-სწორად გაეჯიბროს. ამიტომაც „კენაქსი“ ახლა არა უბრალოდ ლიდერობს ლიგას, არამედ დივიზიონში მთელი რვა ქულით უსწრებს „კოლორადოს“, თანაც ორი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**მონრეალის დია აილენდერსის ტრეიდები.** გასული კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი გაცვლა „მონრეალ კანადიენსმა“ განახორციელა, რომელსაც პრაქტიკულად უფასოდ ერგო მაღალი დონის მცველი **ჯეიმს ვიშნევსკი**. მის სანაცვლოდ კანადელებმა „ნიუ იორკ აილენდერსს“ 2012 წლის დრაფტის მეორე და მეხუთე რაუნდებში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება დაუთმეს. 26 წლის ვიშნევსკი კარგად მოქმედებს საკუთარი კარის სიახლოვეს, სასარგებლოა რიცხობრივი უპირატესობის დროს და თავის ზონაში კარგი პირველი პასით გამოირჩევა. ამასთან, ვიშნევსკის წლიური ხელფასი 3.2 მილიონი დოლარია, რაც მისი დონის მოთამაშისთვის არ არის დიდი თანხა.

რაც შეეხება „აილენდერსს“, ვიშნევსკისა და მეკარე **დუეინ როლოსონის** გაშვებით (გამოცდილმა გოლკიპერმა „ტამპა ბეი“ გააძლიერა) კლუბმა ოფიციალურად „აღიარა“, რომ წელს არ აქვს პლეი ოფში მოხვედრის პრეტენზია და დრაფტის მაღალი არჩევის ნომრისთვის იბრძოლებს.

**კრის ოსგუდის მე-400 გამარჯვება.** დაახლოებით ერთი კვირის წინ „დეტროიტ რედ უინგზის“ 38 წლის მეკარე **კრის ოსგუდი** მეცხრე გოლკიპერი გახდა NHL-ის ისტორიაში, ვინც კარიერაში 400 გამარჯვებას მოუყარა თავი. რაც მთავარია, ვეტერანი მეკარე კარგ ფორმაშია და ლიგის ყველაზე წარმატებული მეკარეების სიაში უფრო ზევით ასვლაც შეუძლია. მაგალითად, მეცხრე ადგილზეა **გრანტ ფიური**, რომელსაც 403 გამარჯვება აქვს კარიერაში, შემდეგ მოდის **გლენ ჰოლი** 407 მოგებით. ამ დუეტს კრისი, ალბათ, წელს გაუსწრებს. ხოლო ლეგენდარული **ტონი ესპოზიტოს** შედეგის (423) გასაუმჯობესებლად ოსგუდს სავარაუდოდ შემდეგ სეზონამდე მოცდა მოუწევს. აბსოლუტურ რეკორდსმენამდე **მარტინ ბროდომდე** კი უახლოეს ათწლეულში ვერც ოსგუდი მიაღწევს და ვერც სხვა მეკარე.

**კვირის ტრავმა.** არც ერთი კვირა ისე არ ჩაივლის, რომ თუნდაც ერთი წამყვანი მოთამაშე არ გამოაკლდეს რეგულარულ ჩემპიონატს. ამჯერად ტრავმები მიიღეს „ჩიკაგოსა“ და „ანაჰაიმის“ ლიდერებმა - **ჯონათან ტეუვზმა** და **რაიან გეტცლაფმა**, თუმცა საბედნიეროდ, მათი დაზიანებები სერიოზული არ აღმოჩნდა. ტეუვზი გუშინ დაუბრუნდა ყინულს, გეტცლაფთან დაკავშირებით კი ოდნავ რთულად არის საქმე - მას შაიბა სახეში მოხვდა და ძვალი აქვს გაბზარული. მისი დაბრუნების თარიღი ექიმების საბოლოო ვერდიქტზეა დამოკიდებული.

დაახლოებით თვე-ნახევარს გამოტოვებს „ნიუ იორკ რეინჯერსის“ თავდამსხმელი **ერიკ კრისტენსენი**, რომელმაც მუხლი დაიზიანა. ალბათ, ამ სეზონში ვერ ითამაშებს „პიტსბურგის“ ფორვარდი **მაიკ კომრი** - მას ბარძაყზე ოპერაციის გამო ოთხი თვე გაუცდება. და კიდევ - ერთი თვე ვერ ითამაშებს „დეტროიტის“ ფორვარდი **დენ კლირი**, რომელმაც უხეიროდ მოიგერია მეტოქის დარტყმა.

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „ვაშინგტონ კეპიტალზის“ მეკარე **სემიონ ვარლამოვი** დაასახელა. ამ გოლკიპერმა ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა და 56 დარტყმიდან 55 მოიგერია.

მეორე ვარსკვლავი „ფინიქს კოიოტზის“ ფორვარდი **შეინ დოუნია**. ოთხ მატჩში მან 5 გოლი და 3 შედეგიანი პასი მიითვალა და შედეგიანი მატჩების რაოდენობა ექვსამდე აიყვანა.

მესამე ვარსკვლავი გახდა „დეტროიტ რედ უინგზის“ მცველი **ნიკლას ლიდსტრიომი**. დოუნის მსგავსად მანაც ოთხ მატჩში 8 ქულა (2+6) დააგროვა. ლეგენდარული შვედი ვეტერანი ზედიზედ შვიდი მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს. 40 წლის ლიდსტრიომი მცველებს შორის ქულების რაოდენობით მეორე ადგილზეა - 39 მატჩში 37 ქულა (11+26) აქვს.

**ტორონტო-ბოსტონი 1:2**

1:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 გრაბოვსკი-14 (შენი-7), 1:1 ჰორტონი-12 (საიდენბერგი-13), 1:2 სავარი-2 (ჰორტონი-14, ლუჩიჩი-12).

**კალგარი-აილენდერსი 2:5**

1:3, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ტავარესი-12 (პარენტო-14, ენდრიუ მაკდონალდი-9), 0:2 მოულსონი-13 (პარენტო-15, ტავარესი-14), 1:2 მოსი-5 (პარდი-3, ბაბჩუკი-11), 1:3 ტავარესი-13 (ენდრიუ მაკდონალდი-10, ნილსენი-14), 1:4 მოულსონი-14 (ჰამონიკი-5, კონოპკა-5), 2:4 მოსი-6 (ტჯეკმენი-5), 2:5 გრაბნერი-9 (იტონი-3).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 3:4**

1:1, 1:1, 1:2

გოლები: 1:0 პანძუში-5 (ჯ. ჯონსონი-23, მარტინესი-2), 1:1 მარიან ჰოსა-9 (კოპეცკი-17, შარპი-18), 1:2 შარპი-22 (პ. კეინი-18, ტეუვზი-19), 2:2 რ. სმიტი-15 (ჯასტინ უილიამსი-18), 2:3 შარპი-23 (კოპეცკი-18), 3:3 რ. სმიტი-16 (ჯ. ჯონსონი-24, კოპიტარი-27), 3:4 ტეუვზი-16.

**სან ხოსე-ვანკუვერი 3:4**

0:1, 3:2, 0:1

გოლები: 0:1 დ. სედინი-21 (ჰ. სედინი-41, ბაროუზი-11), 1:1 ქლოუ-11 (დემერსი-11, ფერეირო-4), 1:2 ედლერი-3 (ერჰოფი-15, დ. სედინი-28), 2:2 მარლო-15 (ჰიტლი-21, დ. ბოილი-24), 3:2 მეიერსი-2 (ჰიტლი-22, ჰასკინსი-5), 3:3 ჰანსენი-5 (კესლერი-16, რეიმონდი-12), 3:4 ბაროუზი-8 (ერჰოფი-16, ბალარდი-2).

**კაროლინა-ფლორიდა 3:4 (ო)**

1:1, 0:1, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 დელპი-2 (ბოდი-3), 1:1 ვიდემანი-3 (სტილმანი-6, დვორაკი-6), 1:2 ჰიგინსი-7 (კულიკოვი-7, ფროლიკი-16), 1:3 სტილმანი-4 (სანტორელი-8, დადონოვი-7), 2:3 ბოიჩუკი-3 (კოული-9, ე. სტაალი-20), 3:3 ჰარისონი-1 (კოული-10, მაკბიენი-11), 3:4 ალენი-3 (მატიასი-8, ფროლიკი-17).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 39 | 24 | 10 | 5 | 53 |
| 2. ტამპა ბეი* | 39 | 23 | 11 | 5 | 51 |
| 3. ბოსტონი* | 38 | 21 | 11 | 6 | 48 |
| 4. პიტსბურგი | 40 | 25 | 12 | 3 | 53 |
| 5. ვაშინგტონი | 40 | 23 | 12 | 5 | 51 |
| 6. ატლანტა | 42 | 21 | 15 | 6 | 48 |
| 7. რეინჯერსი | 40 | 22 | 15 | 3 | 47 |
| 8. მონრეალი | 40 | 21 | 16 | 3 | 45 |
| 9. კაროლინა | 38 | 18 | 15 | 5 | 41 |
| 10. ფლორიდა | 37 | 18 | 17 | 2 | 38 |
| 11. ოტავა | 40 | 16 | 19 | 5 | 37 |
| 12. ბაფალო | 38 | 16 | 18 | 4 | 36 |
| 13. ტორონტო | 38 | 14 | 20 | 4 | 32 |
| 14. აილენდერსი | 37 | 12 | 19 | 6 | 30 |
| 15. ნიუ ჯერსი | 38 | 10 | 26 | 2 | 22 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 38 | 25 | 8 | 5 | 55 |
| 2. დეტროიტი* | 39 | 24 | 10 | 5 | 53 |
| 3. დალასი* | 40 | 23 | 13 | 4 | 50 |
| 4. სან ხოსე | 40 | 21 | 14 | 5 | 47 |
| 5. ანაჰაიმი | 42 | 21 | 17 | 4 | 46 |
| 6. სტ. ლუისი | 38 | 20 | 13 | 5 | 45 |
| 7. ლოს ანჯელესი | 39 | 22 | 16 | 1 | 45 |
| 8. კოლორადო | 39 | 20 | 14 | 5 | 45 |
| 9. ჩიკაგო | 41 | 21 | 17 | 3 | 45 |
| 10. ნეშვილი | 38 | 19 | 13 | 6 | 44 |
| 11. კოლამბუსი | 39 | 20 | 16 | 3 | 43 |
| 12. ფინიქსი | 38 | 17 | 13 | 8 | 42 |
| 13. მინესოტა | 38 | 18 | 15 | 5 | 41 |
| 14. კალგარი | 40 | 18 | 19 | 3 | 39 |
| 15. ედმონტონი | 37 | 12 | 18 | 7 | 31 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 65 (32+33) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 56 (31+25) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 50 (16+34) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 50 (9+41) |
| დანიელ სედინი (ვან) | 49 (21+28) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 45 (18+27) |
| კორი პერი (ანა) | 44 (21+23) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 44 (14+30) |
| ლუი ერიქსონი (დალ) | 42 (16+26) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 42 (15+27) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 42 (14+28) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 31 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 23 |
| კორი პერი (ანა) | 21 |
| დანიელ სედინი (ვან) | 21 |
| რაიან კესლერი (ვან) | 19 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 18 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 18 |
| ლოგან კუტური (ს-ხოს) | 18 |
| ალექსანდრ სიომინი (ვაშ) | 18 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 18 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 18 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 41 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 34 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 33 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 30 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 28 |
| დანიელ სედინი (ვან) | 28 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 27 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 27 |
| ტობიას ენტრიომი (ატლ) | 27 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 27 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 17 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ბლეკპული-ბირმინგემი | 1:2 |
| ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 3:0 |
| მანჩესტერ იუნ.-სტოკი | 2:1 |

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| კარდიფი-ლიდსი | 2:1 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-პლიმუტი | 2:3 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ჰეიესი-ლუტონი | 0:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ბეითი-ეირდრი | 3:4 |
| ანენი-ბრეჩინი | 2:5 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ლარისა | 3:0 |
| ქსანტი-პანათინაიკოსი | 0:2 |
| არისი-კავალა | 1:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბალიმენა-პორტდაუნი | 3:1 |
| კლიფტონვილი-ლისბურნი | 3:2 |
| კოლრეინი-გლენტორანი | 3:1 |
| დუნგანონი-დონეგალი | 3:1 |
| გლენავონი-ნიური | 2:1 |
| ლინფილდი-კრუზეიდერსი | 3:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ს. არაბეთი-ანგოლა | 0:0 |
| ბაჰრეინი-ჩრ. კორეა | 0:1 |
| ალ ვასლი-ჰამბურგი | 2:3 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| გრან კანარია-ბუდუჩნოსტი | 62:60 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შალონი-შოლე | 92:69 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ცსკა | 4:1 |
| სევერსტალი-დინამო (მ) | 4:3 |
| სპარტაკი-სკა | 1:0 |
| ტორპედო-დინამო (რ) | 5:2 |
| დინამო (მნ)-ვიტიაზი | 1:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-ზალცბურგი | 6:0 |
| ალგა-ლინცი | 3:6 |
| ვილახი-ვენა | 4:1 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 3:4 |
| ზაგრები-ოლიმპია | 7:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| სოკილი-შახტარი | 3:2 |
| იუნოსტი-ვიტებსკი | 9:3 |
| ბრესტი-მეტალურგი | 2:4 |
| გომელი-ხიმვოლოკნო | 5:1 |
| ლიეპაიასი-ხიმიკი | 5:3 |
| ნემანი-შინიკი | 3:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოდენსე-სონდერიისკი | 1:4 |
| როდოვრე-ფრედრიკშავნი | 2:6 |
| ჰვიდოვრე-ოლბორგი | 3:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-სტორჰამარი | 4:3 (ო) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| მარტინი-ბისტრიცა | 5:3 |
| პოპრადი-ჟილინა | 3:1 |
| კოშიცე-ნიტრა | 3:2 (ო) |
| ტრენჩინი-სკალიცა | 4:1 |
| ზვოლენი-სლოვანი | 1:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰიფკ | 3:2 (ო) |
| იოკერიტი-ტაპარა | 6:3 |
| კერპეტი-ტპს | 1:4 |

| | |
|---|---|
| ლუკო-საიპა | 3:1 |
| პელიკანსი-ბლუზი | 3:1 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 3:1 |
| ესეტი-კალპა | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სლავია | 5:3 |
| ზლინი-კარლოვი ვარი | 5:4 (ბ) |
| კლადნო-პარდუბიცე | 4:3 (ო) |
| ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე | 4:3 |
| ბრნო-პლზენი | 2:3 |
| ბოლესლავი-ვიტკოვიცე | 2:7 |
| ლიბერეცი-სპარტა | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ბილი | 0:1 |
| დავოსი-ლანგნაუ | 3:4 |
| კლოტენი-ბერნი | 3:2 (ბ) |
| ლუგანო-სერვეტი | 1:5 |
| რაპერსვილი-ციურიხი | 4:5 (ბ) |
| ცუგი-ფრიბურგი | 4:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ბრიუნასი | 5:2 |
| სიოდერტალე-მოდო | 4:3 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 5:2 |
| ფრიოლუნდა-ლულეო | 3:4 (ო) |
| შელეფტეო-ტიმრა | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბრისბენი**

| | |
|---|---|
| შტეპანეკი-კამკე | 5:7, 6:1, 6:4 |
| ბეკერი-ვერდასკო | 6:1, 6:7, 6:3 |
| ანდერსონი-ლუჩაკი | 6:4, 6:4 |
| კლემანი-ბერანკისი | 4:6, 3:6 |
| ფიში-მანარინო | 6:1, 6:4 |
| ბალდატისი-სერა | 3:6, 7:5, 6:4 |
| მილმანი-ებდენი | 6:4, 2:6, 4:6 |
| სიოდერლინგი-ჰარისონი | 6:2, 6:4 |

**ATP. ჩენაი**

| | |
|---|---|
| ბამბრი-კუდრიავცევი | 2:6, 2:6 |
| მალისე-ილჰანი | 6:3, 6:1 |
| როჟე ვასელენი-გასკე | 1:6, 3:6 |
| ბერდიხი-ჟილი | 6:1, 6:1 |
| ჰაასე-დანჩევიჩი | 6:7, 6:4, 6:4 |
| ფალა-მაშადო | 7:5, 6:3 |
| ვავრინკა-ბოპანა | 6:4, 6:4 |
| ბრაუნი-სუგიტა | 4:6, 6:2, 2:6 |
| შარდი-კავჩიჩი | 3:6, 2:6 |
| დევარმანი-გოფენი | 2:6, 4:6 |

**ATP. დოჰა**

| | |
|---|---|
| ჰანესკუ-გულბისი | 3:6, 6:7 |
| შუტლერი-გაბაშვილი | 4:6, 6:7 |
| ელ ამრანი-ჩიუდინელი | 6:3, 6:7, 3:6 |
| ვეიჩი-შერიფი | 3:6, 7:5, 6:0 |
| ლაჩკო-რიბა | 5:7, 7:6, 7:6 |
| ნიემინენი-პრსიეჟნი | 6:2, 3:6, 6:3 |
| სხორელი-ფედერერი | 6:7, 3:6 |
| კოლშრაიბერი-სეპი | 6:2, 6:4 |
| ნადალი-კ. ბეკი | 6:3, 6:0 |
| ტროიცკი-სტახოვსკი | 6:4, 7:5 |
| კარლოვიჩი-როსოლი | 7:6, 7:6 |

**WTA. ოკლენდი**

| | |
|---|---|
| ლისიცკი-მოლინერო | 6:1, 6:3 |
| ვესნინა-ერაკოვიჩი | 6:2, 6:2 |
| უოტსონი-ლერტჩეევაკარნი | 6:1, 6:1 |
| ჰალეპი-მორიტა | 6:0, 7:6 |
| საფინა-ვიკმაიერი | 3:6, 7:6, 1:6 |
| პაჩეკი-არვიდსონი | 3:6, 1:6 |
| გორჯესი-მედინა გარიგესი | 6:4, 6:0 |

**WTA. ბრისბენი**

| | |
|---|---|
| მაკჰეილი-ვინჩი | 2:6, 6:7 |
| საფაროვა-პეერი | 3:6, 6:1, 7:5 |
| პავლიუჩენკოვა-იოვანოვსკი | 6:2, 7:5 |
| სტოსური-გროტი | 2:6, 4:6 |

**ჰოფმანის თასი**

| | |
|---|---|
| ანენი-კარატანჩევა | 6:4, 6:3 |
| ბემელმანსი-გოლუბევი | 6:4, 6:4 |
| ივანოვიჩი-მოლიკი | 6:4, 6:0 |
| ჯოკოვიჩი-ჰიუიტი | 6:2, 6:4 |

TV პროგრამა

**5 დეკემბერი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

17:10 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. სპრინტი. ქალები, კაცები. დობიაკო. იტალია (LIVE).
00:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. მე-3 ადგილისთვის. აშშ-შვედეთი. აშშ (LIVE).
04:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ფინალი. რუსეთი-კანადა. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. კნაკი (ბელგია)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დალასი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

04:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-მილუოკი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

13:00 ჩოგბურთი. ჰოფმანის თასი. ბრიტანეთი-საფრანგეთი. პერტი. ავსტრალია (LIVE).

**SPORT+**

17:10 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. სპრინტი. ქალები, კაცები. დობიაკო. იტალია (LIVE).
19:40 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. ლოკომოტივი (რუსეთი)-სისლეი (იტალია) (LIVE).
23:25 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. უნტერჰახინგი (გერმანია)-ზენიტი (რუსეთი) (LIVE).
04:25 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ფინალი. რუსეთი-კანადა. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

13:45 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. კონიგზეე-გერმანია (LIVE).
14:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. კონიგზეე-გერმანია (LIVE).
17:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. ტურ დე სკი. სპრინტი. ქალები, კაცები. დობიაკო. იტალია (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. ოთხი ტრამპლინის ტურნე. HS140. კვალიფიკაცია. ბიშოფსჰოფენი. ავსტრია (LIVE).
20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
22:00 დარტსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
23:15 რალი-რეიდი დაკარი. IV ეტაპი. არგენტინა (LIVE).

**EUROSPORT-2**

16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. დოჰა. კატარი (LIVE).
00:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. მე-3 ადგილისთვის. აშშ-შვედეთი. აშშ (LIVE).
04:30 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდულები. ფინალი. რუსეთი-კანადა. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი



# კლიჩკოები საახალწლოდ გასუქდნენ

## ჰეისთან ბრძოლაზე შეთანხმება თითქმის მიღწეულია, WBC-მა კი წლის ლაურეატები დაასახელა

უკრაინელი ძმებნოსნები - **ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოები** გერმანული ფიტნეს-კლუბების ქსელის რეკლამაში მონაწილეობისთვის რამდენიმე ათეული კილოგრამით „გასუქდნენ“.

კლიპის რეჟისორთა ჩანაფიქრით, ჩემპიონი ძმები მაღალკალორიულ კერძებს მიეძალნენ და ზედმეტი წონა აკრიფეს. რეკლამაში მოკრივეები ამ პრობლემის მოგვარებისა და ფიზიკური ფორმის აღდგენის სხვადასხვა გზას ეძებენ და ბოლოს ფიტნეს-ცენტრს მიმართავენ...

■ ■ ■

ვლადიმერ კლიჩკოსთან დაკავშირებით გაცილებით უფრო საინტერესო ინფორმაციას „ლოს ანჯელეს თაიმსი“ აქვეყნებს. გაზეთი წერს, რომ სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის ჩემპიონის მენეჯერთა მოლაპარაკებები WBA-ის ჩემპიონ **დევიდ ჰეის** გუნდთან პროდუქტიულად მიმდინარეობს. თუ ამერიკელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, გასარკვევი დარჩა მხოლოდ შეხვედრის ადგილი და თარიღი.

„ჰეის ძალიან უნდა ამ ბრძოლის ორგანიზება“, - ამბობს ბრიტანელი მოკრივის ერთ-ერთი პრომოუტერი **რიჩარდ შეფერი**. ამ უკანასკნელის სიტყვებს ადასტურებს კლიჩკოების წარმომადგენელი **ტომ ლევლერი**: *„ექვგარეშეა, რომ ბრიტანელის გუნდის მხრიდან დღეს უფრო მეტ სურვილს ვხედავთ, ვიდრე ეს წინა მოლაპარაკებებისას იყო. ვლადიმერსა და ვიტალის ყოველთვის უნდოდათ ჰეისთან შეხვედრა და ახლა, როგორც ჩანს, დევიდი მზად არის გამოწვევის მისაღებად“.*

პრომოუტერების თქმით, ევროპის რამდენიმე სტადიონი (მაგალითად, დიუსელდორფში ან ფრანქფურტში) მზად არის მოკრივეების მისაღებად. ახლა აუცილებელია თარიღისა და ადგილის ისე შერჩევა, რომ მან ხელი არ შეუშალოს დაძაბულ საფეხბურთო კალენდარს. თანაც, ამ არჩევანმა უნდა დააკმაყოფილოს ბრიტანული ტელეარხის Sky Sports-ისა და გერმანული RTL-ის მოთხოვნები. შეფერმა აღნიშნა, რომ ბრძოლა გაზაფხულის ბოლოს ან ზაფხულის დასაწყისში გაიმართება.

■ ■ ■

რაც შეეხება ვიტალი კლიჩკოს, ის მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) ვერსიით 2010 წლის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა. კერძოდ, უკრაინელმა მოკრივემ „ყველაზე სამაგალითო ჩემპიონის“ ნომინაციაში გაიმარჯვა.

WBC-მა პრიზები გუშინ დაარიგა. წლის მოკრივედ აღიარეს ამ ვერსიით საშუალო წონაში ჩემპიონი, არგენტინელი **სერხიო მარტინესი**. წლის ბრძოლად გამოცხადდა ნახევრადმძიმე წონაში WBC-ის საჩემპიონო დაპირისპირება **ჟან პასკალსა** და **ბერნარდ ჰოპკინსს** შორის.

ნომინაცია - „წლის ნოკაუტი“ მოიგო სერხიო მარტინესმა. არგენტინელმა ეს პრიზი **პოლ უილიამსთან** ბრძოლის მეორე რაუნდში განხორციელებული ნოკაუტისთვის მიიღო. ყველაზე დრამატულ ბრძოლად აღიარეს უმჩატეს წონაში WBC-ის ტიტულისთვის შეხვედრა **ფერნანდო მონტიელსა** და **ჰოზუმი ჰასეგავას** შორის.

ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ნომინაციაში - „გასული ათწლეულის მოკრივე“ - ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** გაიმარჯვა. დაბოლოს, ორი მექსიკელი - **საულ ალვარესი** და **ხულიო სეზარ ჩავესი** წლის აღმოჩენად და წლის იმედად მონათლეს.

კალათბურთი

# სუპერმატჩებს ვნახავთ

## ევროლიგაზე მეორე ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა

გუშინ, ბარსელონაში ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის, ე. წ. TOP16-ის წილისყრა გაიმართა. პირველი ეტაპის 16 საუკეთესო გუნდი ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**E ჯგუფი**

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
კახა ლაბორალი (ესპანეთი)
უნიკახა (ესპანეთი)
ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)

**F ჯგუფი**

მაკაბი (თ-ა, ისრაელი)
ოლიმპია (სლოვენია)
ბარსელონა (ესპანეთი)
რომა (იტალია)

**G ჯგუფი**

მონტეპასკი (იტალია)
რეალი (ესპანეთი)
ეფესი (თურქეთი)
პარტიზანი (სერბეთი)

**H ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
ფენერბაჩე (თურქეთი)
ჟალგირისი (ლიტვა)
ვალენსია (ესპანეთი)



მთავარი ევროპული პრიზი

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს E ჯგუფი, სადაც „პანათინაიკოსს“ ორ ესპანურ კლუბთან და არაპროგნოზირებად ლიტველებთან მოუწევს თამაში. ყველაზე თანაბარი H ჯგუფი ჩანს, სადაც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფავორიტია - **დუშან ივკოვიჩის** „ოლიმპიაკოსი“. და, რა თქმა უნდა, წინ არის ორმატჩიანი სუპერდაპირისპირება: „მაკაბი“ „ბარსელონას“ წინააღმდეგ. ისრაელის ჩემპიონმა პირველ ეტაპზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა“ კი აშკარად შედის ოპტიმალურ ფორმაში.

TOP16 19 იანვარს დაიწყება და 3 მარტამდე გაგრძელდება. თითო ჯგუფიდან მეოთხედფინაში ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა, იქ კი გაიმართება სერიები სამ მოგებამდე.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ჯგუფებში მითითებული პირველი და მესამე, აგრეთვე მეორე და მეოთხე გუნდები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი. დაკარი 2010

# ისევ საინსი და დეპრე

„დაკარის“ მეორე ეტაპზე პრაქტიკულად იგივე შედეგები დაფიქსირდა, რაც პირველ ეტაპზე ვიხილეთ. მანქანების კლასში ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია მოქმედმა ჩემპიონმა, ესპანელმა **კარლოს საინსმა**, რომელმაც წუთით აჯობა კატარელ **ნასერ ალ-ატიიასა** და წუთნახევრით - ფრანგ **სტეფან პეტერანსელს**. სამხრეაფრიკელი **ჟინიელ დე ვილიერსის** ჩამორჩენამ ხუთნახევარი წუთი შეადგინა, ლიდერთა შორის სიმჭიდროვის გათვალისწინებით კი ეს საკმაოდ დიდი დროა.

ამასთან, არ შეიძლება იმის თქმა, რომ საინსს კონკურენტებისგან განსხვავებით ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ფინიშის შემდეგ ესპანელმა მცირე ტექნიკური პრობლემების გამო დაიჩივლა. *„ნელა სიარული მომიწია, - ამბობს საინსი. - ძალიან განაწყენებული ვარ. სავარაუდოდ, ბევრი დრო დავკარგე. არ ვიცი, რატომ აქვს ჩემს მანქანას პრობლემები, მექანიკოსებმა ხომ გუშინ ყველაფერი შეამოწმეს?!“*

პრობლემები ჰქონდა ალ-ატიიასაც - ისევე როგორც წინა დღეს, ბოლო 100 კილომეტრზე მისმა ძრავამ სიმძლავრე დაკარგა. თუმცა ეს არაფერია „ფოლკსვაგენის“ კიდევ ერთი პილოტის **მარკ მილერის** გასაჭირთან. ამერიკელის „ტუარეგი“ ამოტრიალდა და სერიოზულად დაზიანდა. ხანგრძლივი რემონტის შემდეგ მილერმა ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ ახლა მისივე სიტყვებით, მომდევნო ეტაპებზე მხოლოდ დანარჩენ სამ „ფოლკსვაგენს“ გაუწევს დახმარებას. მილერი საერთო ჩათვლაში მე-16 ადგილზეა და საინსს 56 წუთით ჩამორჩება.

ზედიზედ მეორე ეტაპი ჩააგდო **რობი გორდონმა**. მან „ჰამერით“ მოზრდილ ქვას გადაუარა და თითქმის საათი არემონტებდა მანქანას, რამაც ის 21-ე ადგილამდე ჩამოაქვეითა.

■ ■ ■

მოტოციკლისტთა კლასში ასევე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა სირილ დეპრემ. ფრანგმა სოლიდური უპირატესობით - ორი წუთით აჯობა **მარკ კომას**. კიდევ ერთმა ცნობილმა „დაკარელმა მებრძოლმა“ დავიდ კასტომ თანამემამულესთან თითქმის ოთხი წუთი წააგო. პირველი ეტაპის ექს-ტრიუმფატორმა **რუბენ ფარიამ** ღირსეული მეხუთე ადგილი დაიკავა და ჯერ არ აპირებს ლიდერთა ჯგუფთან გამომშვიდობებას.

დეპრემ თავიდანვე მოიპოვა ლიდერობა, კომა კი ასეთივე წარმატებული არ ყოფილა და ერთი პირობა კასტოსთან მოუწია ბრძოლა. მაგრამ ბოლოს ესპანელმა დაძლია პრობლემები და მეორე ადგილი შეინარჩუნა.

რაც შეეხება ფარიას, რომელსაც პირველი ეტაპზე მოპოვებული გამარჯვება ჩამოართვეს, თავიდან პორტუგალიელი ჩრდილში მოექცა და პირველ საკონტროლო მონაკვეთზე მხოლოდ მე-19 დრო აჩვენა. ამის შემდეგაც ის სტაბილურად აგებდა ლიდერებთან, მაგრამ სხვები უფრო მეტად ჩამორჩებოდნენ დაწინაურებულებს, რისი წყალობითაც რუბენი მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა და ამან საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია მოუტანა.

**II ეტაპი**

**მანქანები**

1. **კარლოს საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი“) - 3:11.28; 2. **ნასერ ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი“) - +1.03; 3. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +1.34; 4. **ჟინიელ დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი“) - +5.43; 5. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +8.14...

**საერთო ჩათვლა**

1. **კარლოს საინსი** (ესპანეთი, „ფოლკსვაგენი“) - 5:30.00; 2. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, BMW) - +3.05; 3. **ნასერ ალ ატიია** (კატარი, „ფოლკსვაგენი“) - +3.19; 4. **ჟინიელ დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, „ფოლკსვაგენი“) - +10.49; 5. **კშიშტოფ ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, BMW) - +16.04...

**მოტოციკლები**

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 3:19:11; 2. **მარკ კომა** (ესპანეთი, KTM) - +1:49; 3. **დავიდ კასტო** (საფრანგეთი, Sherco) - +3:46; 4. **ფრანსისკო ლოპეს კონტადრო** (ესპანეთი, Aprilia) - +4:06; 5. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +5:42...

**საერთო ჩათვლა**

1. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - 5:17:42; 2. **მარკ კომა** (ესპანეთი, KTM) - +2:35; 3. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +6:13; 4. **ფრანსისკო ლოპეს კონტადრო** (ესპანეთი, Aprilia) - +6:51; 5. **პაულუ გონკალვეში** (პორტუგალია, BMW) - +9:28...


კარლოს საინსი უკონკურენტოდაა

ავტოსპორტი

# კიმი კარიერას ასრულებს?

სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს ყოველკვირეული „მოტორსპორტი“. ჟურნალი წერს, რომ ცნობილმა ფინელმა ავტომრბოლმა **კიმი რაიკონენმა**, შესაძლოა, 2011 წელს აღარ გააგრძელოს კარიერა. როგორც ირკვევა, ფორმულა 1-ის 2007 წლის ჩემპიონმა მძიმედ გადაიტანა მამის გარდაცვალება და შეაჩერა რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან მოლაპარაკებები.

*„მატი რაიკონენის გარდაცვალების შემდეგ კიმი აღარ ფიქრობს კარიერის გაგრძელების ვარიანტებზე. იმედი ვიქონით, რომ რაიკონენი დარჩება რალიში, მით უმეტეს, რომ ამ სერიაში მეორე წელს უფრო მეტის მიღწევის შანსი ექნება, ვიდრე სადებიუტო სეზონში ჰქონდა. მას აღარ მოუწევს ეტაპების მსვლელობისას სწავლა“,* - ამბობს ფინელი პილოტის მეწყვილე **კაი ლინდსტრიომი**.


კიმის რალი აღარ აინტერესებს